ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო.

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტ. 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

ოთხშაბათი, 21 ივლისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 164 (1709)

დ ღ ი უ რ ი

- პილსუდსკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის უთანხმოება ჩამოვარდა.
- პარიზში ამერიკელებისა და ინგლისელების მიმართ უკმაყოფილება იზრდება.
- ამხ. რაკოვსკი პარიზიდან მოსკოვში გაემგზავრა.
- საბჭოთა კავშირში მოემგზავრება დ. ფერბენკსი და მერი პიკფორდ.
- საბერძნეთში შესდგა ახალი მთავრობა.
- კალკუტაში (ინდოეთი) შეტაკებები მუსლიმანებსა და ინდუსებს შორის გრძელდება.
- სახალხო არმია ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს ჩან-ძოლინისა და უ-პეი-ფუს ჯარებს.

გარდაიცვალა ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკი

მოსკოვი, 20 ივლისი. დღეს, 20 ივლისს, 15 საათ. და 40 წ. უეცრად გარდაიცვალა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე და სოც. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. ძერჟინსკი.

მოსკოვი, 20 ივლისი. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცაკის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცაკის წევრის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარისდა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარის ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 20 ივლისს, 15 ს. და 40 წუთზე

საკავშირო კომპარტიისაგან

პარტიის ყველა წევრების, ყველა მუშების, ყველა მშრომელების და წითელი არმიისა და ფლოტის მიმართ.

მოსკოვი, 20 ივლისი. ჩვენ პარტიას ახალი უბედურება დაატყდა თავს.

უეცრად გარდაიცვალა ამხ. ძერჟინსკი—ბურჟუაზიის რისხვა, პროლეტარიატის გმირი რაინდი, კომუნისტური რევოლიუციის კეთილშობილი მრჩეველი, ჩვენი მრეწველობის დაუღალავი აღმშენებელი, მარად მშრომელი და დიდი ბრძოლების უშიშარი ჯარისკაცი. ამხ. ძერჟინსკი გარდაიცვალა უეცრად, როცა სახლში დაბრუნდა თავისი მხურვალე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ცენტრალურ კომიტეტის პლენუმზე. მისმა დაავადმყოფებულმა, მეტის-მეტად დატვირთულმა გულმა ველარ შესძლო მუშაობის განგრძობა და სიკვდილმა სწრაფად შესწყვიტა მისი სიცოცხლე.

სახელოვანი სიკვდილი მოწინავე პოსტზე. ჩვენი პარტია ამხ. ძერჟინსკის სახით ჰკარგავს ერთ გამოჩენილ და უგმირეს თავის ბელადთაგანს. მეფის რუსეთის ციხეებში, ციმბირში, დაუსრულებელი მრავალი წლების განმავლობაში საკატორღო ციხეებში ბორკილებით, ჰერქვეშ მუშაობაში, სახელმწიფო პოსტზე საგანგებო კომისიაში, აღმშენებლობითი მუშაობაში, ყოველთვის და ყველგან ამხ. ფელიქს ძერჟინსკი იყო ბრძოლის ცეცხლის მოწინავე ხაზზე. იგი განსაკუთრებულის გმირობით ქმნიდა პოლონეთის, ლიტვის პროლეტარულ პარტიას ყველაზე უფრო საშინელ წლებში. ყველაზე უფრო საშინელი ხანა ვერ აშინებდა ჰერქვეშა რევოლიუციონერს და, როგორც კი დიდმა რევოლიუციამ დაამსხვრია მისი ბორკილები, იგი მაშინვე ჩადგა ბოლშევიკების მებრძოლთა რიგებში.

ოქტომბრის გადატრიალების გმირი, ერთი მისი ხელმძღვანელთაგანი, ამხ. ძერჟინსკი სულ მალე დგება ყველაზე უფრო საძნიმო, მტანჯავძნელ პოსტზე. მისი ხელმძღვანელობით იგერიებდა საგანგებო კომისია მტერთა შემოტევას. ყველაზე უფრო საშინელ, დაუბოლოვებელ შეთქმულებათა და კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყებათა ხანებში, როდესაც საბჭოთა მიწა-წყალი გავარვარებული იყო ცეცხლში და მტერთა სისხლის რგოლი გარს ერტყა თავის განთავისუფლებისათვის მებრძოლ პროლეტარიატს, ამხ. ძერჟინსკი, ზეადამიანურ ენერგიით, დღეები და ღამეები, ღამეები და დღეები უძილოდ, უსმელ-უჭმელად, შეუსვენრად მუშაობდა თავის სადარაჯო პოსტზე.

იგი სძულდათ მუშების მტრებს, მაგრამ უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა მუშებს შორის. მისმა რაინდულმა ფიგურამ, პირადმა სიმამაცემ, ულრმესმა პრინციპიალობამ, პირდაპირობამ და განსაკუთრებულმა კეთილშობილებამ მოუპოვა მას უდიდესი ავტორიტეტი. მისი დამსახურებანი დიდია, მისი დაფასება შეუძლებელია. აი, დამთავრდა სამოქალაქო ბრძოლების ხანა და ამხ. ძერჟინსკი იგზავნება ახალ მოწინავე პოზიციაზე. იგი იწყებს ბრძოლას დანგრეული მეურნეობის აღსადგენად და ზეადამიანური ენერგიით მუშაობს ტრანსპორტისა და შემდეგ ჩვენი მრეწველობის ასაღორძინებლად.

„მშვიდობიანმა ხანამ", რომელიც სხვებისათვის დასვენების დროთ გადაიქცა, ამხ. ძერჟინსკის არ მისცა ეს დასვენება. ეხლაც იგი მუშაობს დღე და ღამე. ეხლაც მან არ იცოდა „უქმე". ეხლაც იგი თავის პიროვნების, თავისი უდიდესი ტემპერამენტის, თავისი გონების და თავისი ნებისყოფის მთელ ძალებს სწირავდა იმ საქმეს, რომლისათვისაც იბრძოდა იგი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. მისი საქმე იყო მშვენიერი, მშვენიერი იყო მისი შესანიშნავი ცხოვრება, მშვენიერი იყო მისი სიკვდილი ბრძოლის პოსტზე. ჩვენ ვხრით ჩვენი ბრძოლის დროშებს შენი სხეულის წინაშე, უშიშარო ჩვენო მეგობარო! ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მშრომელებს და ყველა პროლეტარებს, რომ უკანასკნელი მოვალეობა შეასრულონ მებრძოლის წინაშე, რომლის სახელი დაუვიწყარია და რომლის საქმე დაიპყრობს მთელ ქვეყანას.

— გაუმარჯოს კომუნიზმს!
— გაუმარჯოს ჩვენს პარტიას!

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საკავშირო კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისია.

20 ივლისი. 1926 წელი.

ამხ. ძერჟინსკის ბიოგრაფია

ძერჟინსკი დაიბადა 1877 წელს, სწავლობდა გიმნაზიაში ქალაქ ვილნოში, 1894 წელს, ჯერ კიდევ გიმნაზიის მე-7 კლასში ყოფნის დროს, ის შევიდა თვით განვითარების სოციალ-დემოკრატიულ წრეში, ხოლო 1895 წელს შევიდა „ლიტვის სოციალ-დემოკრატიაში". ის თვით სწავლობდა მარქსიზმს და ამავე დროს ხელმძღვანელობდა შინამრეწველობისა და ქარხნების მუშა ახალგაზრდების წრეებს. გიმნაზია ძერჟინსკიმ თავის ნებით მიატოვა, რადგან გადასწყვიტა, რომ დაახლოებოდა მუშათა მასებს.მაშინ ორგანიზაციაში სწარმოებდა ბრძოლა მუშებსა და ინტელიგენტებს შორის. მუშების ზედაფენა მოითხოვდა, რომ ინტელიგენციას მათთვის ესწავლებია წერა-კითხვა, მიეწოდებია საერთო განვითარება, და სხვა, ხოლო მასებში არ გარეოდა.

მიუხედავათ ამისა, ძერჟინსკი აგიტატორი გახდა და მან შესძლო მუშათა ისეთ ფენებამდის მიღწევა, სადაც პოლიტიკურ მუშაობაზე და ბრძოლაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ.

1897 წლის დასაწყისში პარტიამ ის როგორც აგიტატორი და ორგანიზატორი გაგზავნა კოვნოში, სადაც მაშინ არ იყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და სადაც რამოდენიმე ხნის წინ პოლიციამ აღმოაჩინა და დაარბია პოლონეთის სოციალისტ. პარტიის ორგანიზაცია. აქ მან მოახერხა მუშების ფართო ფენებთან დაახლოვება და ნახა, რომ ისინი საოცარ სიღატაკეში ცხოვრობდენ და საშინელ ექსპლოატაციას განიცდიდენ; განსაკუთრებით ქალები. მაშინ ძერჟინსკიმ პრაქტიკაზე შეისწავლა გაფიცვების მოწყობა, 1897 წლის მეორე ნახევარში მას აპატიმრებენ ქუჩაში (დააბეზღა მოზარდმა მუშამ), ხოლო 1898 წელს 3 წლით აგზავნიან ვიატკის გუბერნიაში, ჯერ ნოლინსკში, შემდეგ კი დაუდეგარ ხასიათისა და პოლიციასთან შეტაკებისათვის 500 ვერსით უფრო შორს სოფელ კაიგოროდსკში. 1899 წ. ძერჟინსკი გაიქცა კაიგოროდსკიდან და დაბრუნდა ვილნოში, სადაც იმ დროს „ლიტვის



სოციალ-დემოკრატია" მოლაპარაკებას აწარმოებდა პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთან გაერთიანების შესახებ.

მოსკოვის სოციალ-დემოკრატიის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს ძერჟინსკი, როგორც ნაციონალიზმის ულმობელი მტერი, არ მიეკარებიათ მუშებისათვის და ეცადნენ მის საჩქაროდ გაგზავნას საზღვარგარეთ. მაგრამ ის წავიდა ვარშავაში, სადაც მაშინ მუშობდენ პეპეესოველები და ბუნდი, სოციალ-დემოკრატიული პარტია კი განადგურებული იყო. აქ ძერჟინსკიმ მოახერხა მუშებთან კავშირის გაბმა და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის აღდგენა. ამისთვის პოლ. სოც. პარტიას მან ჩამოაშორა ჯერ მეჩექმენი, ხოლო შემდეგ მთელი ჯგუფები დურგლებისა, მელითონეებისა, მეტყავეებისა და პურის მცხობელთა.

დაიწყო გააფთრებული ბრძოლა, რომელიც დასრულდა სოციალ-დემოკრატების მოულოდნელი გამარჯვებით, მიუხედავათ იმისა, რომ მათ არ გააჩნდათ რაიმე სალარი, ლიტერატურა და არც ინტელიგენცია ჰყავდათ. 1900 წლის თებერვალში ძერჟინსკი დააპატიმრეს კრებაზე და, ცოტა ხნით ვარშავის ციხეში გაჩერების შემდეგ, გადაიყვანეს სედლეცის ციხეში, 1902 წელში კი გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში. გზაში ის გაიქცა და ნავით ვერხოლენსკიდან გავიდა საზღვარგარეთ. მალე, ბერლინში მისი ჩასვლის შემდეგ, მოწვეულ იქნა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატების პარტიული კონფერენცია, სადაც გადაწყდა „ჩერვონნი შტანდარ"-ის გამოცემა.

ამხ. ძერჟინსკი გადასახლდა კრაკოვში. 1905 წლის იანვრამდე იგი დადიოდა ხანგამოშვებით რუსეთის პოლონეთში და შემდეგ სრულიად გადასახლდა იქ და დაიწყო მუშაობა, როგორც წევრმა პოლონეთის და ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ გამგეობისა. ივლისში მას აპატიმრებენ ქალაქგარეთ კრებაზე, მაგრამ მალე ანთავისუფლებენ, 1905 წლის მალე ანთავისუფლებენ, 1905 წლის ამხ. ძერჟინსკი გაიგზავნა დელეგატად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის გამაერთიანებელ ყრილობაზე სტოკჰოლმში და შევიდა რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცეკაში, როგორც პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი. 1906 წლის დასასრულს იგი დაატუსაღეს ვარშავაში და 1907 წლის ივნისში განთავისუფლებულ იქნა გირაოს ქვეშ; შემდეგ 1908 წლის აპრილში კვლავ დაატუსაღეს. სასამართლოში მისცეს ორჯერ, ახალი და ძველი საქმის გამო. ორივეჯერ სასამართლომ გადაუწყვიტა გადასახლება და 1909 წლის დასასრულს გადასახლებულ იქნა ციმბირში კოსოევკაში. იქ დარჩა 7 დღე და შემდეგ ამხ. ძერჟინსკი გაიქცა ვარშავის გზით და საზღვარგარედ წავიდა; კვლავ დასახლდა კრაკოვში, იქიდან დადიოდა ხოლმე რუსეთის პოლონეთში და 1912 წელს გადავიდა ვარშავაში.

1-ლ სექტემბერს ის დააპატიმრეს და საცხოვრებლად მიჩენილ ადგილიდან გაქცევისათვის მიუსაჯეს სამი წლის კატორღა. 1914 წ. ომის დაწყების შემდეგ გადაიყვანეს ორიოლში, სადაც მოიხადა მისჯილი კატორღა დ შემდეგ გადაგზავნეს მოსკოვში: მოსკოვში 1916 წ. გასამართლეს 1910—12 წლამდე პარტიულ მუშაობის წარმოებისათვის და მიუმატეს კიდევ 6 წლით კატორღა.

1917 წლის რევოლიუციამ გაანთავისუფლა ამხ. ძერჟინსკი მოსკოვის ცენტრალიდან. ამავე წლის აგვისტომდე ის მოსკოვში მუშაობდა, ხოლო აგვისტოს გაგზავნილ იქნა დელეგატად მოსკოვიდან რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) ყრილობაზე, რომელზედაც არჩეულ იქნა პარტიის ც. კ. წევრად. ამის შემდეგ ძერჟინსკი დარჩა ლენინგრადში სამუშაოდ. ოქტომბრის რევოლიუციაში ის ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას, როგორც სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის წევრი. სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის დაშლის შემდეგ: მას დაევალა კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლ ორგანოს—სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის—შექმნა, რომლის თავმჯდომარეთაც ის იქნა დანიშნული და რომელზედაც დარჩა სიკვდილამდე. შემდეგში ძერჟინსკი დანიშნულ იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, ხოლო 1921 წლის 14 აპრილს გზათა სახალხო კომისრად. მისი იშვიათი ენერგიის წყალობით იქნა აღდგენილი ჩვენი ტრანსპორტი. რომელიც დღემდი შეუჩერებლივ მუშაობს. ამის შემდეგ ის უდგება სათავეში ჩვენს საბჭოთა მრეწველობას, საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს თავმჯდომარის სახით. ის იყო პარტიის ც. კ. მუდმივი წევრი და, აგრეთვე, პოლიტბიუროს წევრის კანდიდატი.

საკავშირო მთავრობისაგან

მოსკოვი, 20 ივლისი. დღეს, 20 ივლისს, 16 საათზე და 40 წუთზე საკუთარ ბინაზე გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი.

იშვიათი ენერგიის მქონე, რევოლიუციის საქმისათვის უსაზღვროდ თავდადებული, ის იწვოდა შემოქმედებითი ცეცხლით თავის საპასუხისმგებლო პოსტებზე. და ამ პოსტზე დაიწვა კიდეც. სიკვდილმა მოუსწრო ამხ. ძერჟინსკის საკავშირო კომ. პარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და ცენტ. კომიტეტის და ცენტ. საკონტრ. კომისიის პლენუმზე მის მიერ წარმოთქმულ ცხოველი, შინაარსიანი სიტყვის 3 საათის შემდეგ.

მთელი პლენუმი უაღრესი ყურადღებით უსმენდა თავის საყვარელ ამხანაგს. საბჭოთა კავშირის მთავრობა, უეცრად დამდგარი ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეთაგანის ასე მოულოდნელი სიკვდილის, ფაქტის წინაშე, ვერ ნახულობს სიტყვას იმ დანაკლისის გამოსათქმელად, როგორიც დაატყდა თავს მთელ საბჭოთა კავშირს ამხ. ძერჟინსკის სიკვდილით.

მოკვდა ადამიანი, რომელიც არა მარტო ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღორძინება - განვითარებას, არამედ იყო ოქტომბრის რევოლიუციის ერთი გმირთაგანი და მის მონაპოვართა სადარაჯოზე მდგომი.

მოსკოვი, კრემლი,
1926 წლის 20 ივლისი.

ამხ. ძერჟინსკის ცხედრის გადატანა

მოსკოვი, 20 ივლისი. ამხ. ძერჟინსკის ცხედარი 21 ივლისს, დღის 12 საათზე, გადატანილ იქნება მისი ბინიდან კავშირთა სახლის მცირე დარბაზში, სადაც დარჩება დასაფლავებამდე.

კავშირთა სახლის დარბაზში თავისუფლად შესვლა მთელი დღე-ღამის განმავლობაში გაგრძელდება 21 ივლისის 14 საათიდან—22 ივლისის 16 საათამდე.

მოჯადოებული წრე

(მთავრობის კრიზისი საფრანგეთში).

მთავრობის კრიზისმა საფრანგეთში ქრონიკული ხასიათი მიიღო, რაც ანარეკლია მთელი ბურჟუაზიული წყობილების, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის უნუგეშო დაავადების. პარლამენტი ვერ ახერხებს ცოტათ თუ ბევრად მტკიცე მთავრობის შედგენას. აი ეხლაც: ბრიანი დაემხო, ახალი კაბინეტი ერიომ შეადგინა,—ასეთია უკანასკნელი ცნობები.

ბრიანი-კაიო მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები იყვენ, თუმცა ფორმალურად თითქო „მემარცხენე" ბლოკის პარტიებს ეკუთვნიან. ქვეყნის ფინანსიური „გაჯანსაღება", ფრანკის ამოთრევა უფსკრულიდან, ბანკირების კარნახით, მათ მოიწადინეს მშრომელთა ხარჯზე ინფლიაციის პოლიტიკის გაგრძელება, რაც ანადგურებს ფასიან ქაღალდების მატარებელ წვრილ ბურჟუაზიულ მასსას და ხელს უწყობს ბირჟის ყაჩაღების გამდიდრებას, არაპირდაპირ გადასახადების გადიდება, რვა საათის სამუშაო დღის გაუქმება, ამავე დროს საშემოსავლო გადასახადის შემცირება და მსხვილი ბურჟუაზიის „მძიმე ტვირთის" შემსუბუქება—ასეთია ექსპერტების და მათი კაცის კაიოს პროგრამა.

ამასთან მათ საჭიროდ მიაჩნიათ ფრანკის სტაბილიზაციისათვის უცხოეთიდან (ამერიკიდან) სესხის აღება, რაც ნიშნავს საფრანგეთის დაუესიზაციას, მის ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის შეზღუდვას და ორმაგი ტყავის გაძრობას საფრანგეთის მუშათა კლასისაგან—„მშობლიური" და უცხოელი ბურჟუაზიის მხრივ.

ამ გეგმების განსახორციელებლად კაიო მოითხოვდა პარლამენტის უფლებების შეკვეცას და მთავრობისათვის დიქტატორულ რწმუნებულებათა მინიჭებას, რათა „მაგარი" ხელით გადაელახა ამ გზაზე აღმართული ყოველი წინააღმდეგობა და დაბრკოლება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ, თუ წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები ასეთ პროგრამას გაიზიარებდენ. ეს იქნებოდა მათი საბოლოო თვითმკვლელობა, სრული გაკოტრება ამომრჩეველთა თვალში. სასიკვდილო განაჩენის გამოტანა იმ პარლამენტარულ „დემოკრატიაზე", რომლის ნიადაგზე ოფიციალურად მაინც დგანან ისინი. მასების მოძრაობის ზეგავლენით ისინი იძულებული გახდენ ეს „გმირობა" ჩაედინათ, რასაც კაიო-ბრიანის დამხობა მოყვა.

აქ აღსანიშნავია შემდეგი: როცა კაიო პირველად გამოვიდა დეპუტატთა პალატაში ზოგადი დეკლარაციით, რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი ფინანსიური პროგრამის საფუძვლები, პალატამ მას ნდობა გამოუცხადა, მართლა—უმნიშვნელო, რაღაც ოციოდე ხმის უმრავლესობით. ხოლო როცა კაიომ ეხევე პროგრამა უკვე კანონპროექტის სახით წარადგინა, მას უნდობლობა გამოუცხადეს. ეს მეტად დამახასიათებელია „მემარცხენე" ბლოკის ჯგუფებისათვის და მოწმობს მათ მერყეობას, წაჯექ-უკუჯექობას. ასეთ მოქანავე ხალხს მშრომელთ მასსა, რა თქმა უნდა, ვერ დაემყარება.

ახალი მთავრობა, როგორც ვთქვით, შესდგა ერიოს მეთაურობით. ეს პოლიტიკის თითქო მარცხნივ გადახრას ნიშნავს; ახალ კაბინეტში წარმოდგენილი არიან „მემარცხენე" ბლოკის ჯგუფები; სოციალისტები თუმცა არ შედიან, მაგრამ პირდებიან მხარის დაჭერას.

ერიოს ჩვენ კარგად ვიცნობთ. 1924 წ., 11 მაისის არჩევნების შემდეგ, რომელმაც „მემარცხენე" ბლოკს მიანიჭა გამარჯვება, ერიო ჩაუდგა მთავრობას სათავეში. მაშინ ერიოს ფინანსიური პროგრამის მთავარი მუხლი იყო მსხვილი კაპიტალის დაბეგვრა. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ როგორ შეასრულა მან ეს დაპირება: მემარცხენე ბლოკი მსხვილი ბურჟუაზიის სრული მაჩანჩალა აღმოჩნდა. და როცა დღეს იგივე ერიო აცხადებს, რომ ის მომხრეა შეძენილ სიმდიდრეზე გადასახადის შემოღებისა, ნაციონალური ვალის დაფარვის მიზნით და საკუთრებაზე დამატებითი გადასახადის დაწესებისა, ეს სასაცილოა, მეტი რო არ ვსთქვათ. „თეორიული" მომხრეობა, როგორც ვიცით, არ არის საკმარისი. საჭიროა „სიტყვიერებიდან" საქმეზე გადასვლა და მსხვილი კაპიტალის ნამდვილად დაბეგვრა. ერიომ ეს ვერ მოახერხა და არც უცდია სერიოზულად მაშინ, როცა პალატაში უმრავლესობა ყავდა, როცა „მემარცხენე" ბლოკი ერთგვარ მთლიან ორგანიზაციას წარმოადგენდა. ეხლა კი, როცა ეს ბლოკი დაშლილია და მისი მემარჯვენე წრეები ნაციონალურ ბლოკისაკენ იხედებიან, ერიოს ხსენებულ „კეთილ სურვილს" არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე რეალური ღირებულება.

ერიოს პროგრამის მეორე საყურადღებო მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ ის წინააღმდეგია უცხოეთის სესხის. საფრანგეთის ფინანსების გამოკეთება საზღვარგარეთის სესხის გარეშე შესაძლებელია მხოლოდ მსხვილი კაპიტალის ექსპროპრიაციით. ჩვენ ვიცით. რომ ამერიკა ხელს იშვერს საფრანგეთისკენ და ცდილობს მის დამონებას. ის მოითხოვს მელონ-ბერანჟეს შორის ვალების საკითხის შესახებ [illegible]. საფრანგეთისათვის მეტად მძიმე შეთანხმების რატიფიკაციას. ამ გზით ნიუ-იორკის ბირჟა ხელოვნურად სცემს ფრანკის კურსს. საფრანგეთი იძულებული იქნება ქედი მოიდრიკოს დოლარის სიძლიერის წინაშე, დაამტკიცოს ხსენებული ხელშეკრულება. სესხი აიღოს ამერიკიდან ფრანკის განმტკიცებისათვის და თავი გაყოს დაუესიზაციის უღელში.

ამ დღეებში ერიო წარსდგება პალატის წინაშე. ძალიან საეჭვოა, რომ მან იქ გაატაროს თავისი პროგრამა, თუ ის მართლა წამოაყენებს მსხვილი კაპიტალის დაბეგვრას. ხოლო სენატში, სადაც მემარჯვენეებს უმრავლესობა ყავთ, რომ ერიო ვერ გაიმარჯვებს, ეს ეხლავე შეიძლება დანამდვილებით ითქვას.

მთავრობის კრიზისი კვლავ მოსალოდნელია. მოხდება თუ არა პარლამენტის დათხოვნა, თუ ძალა-უფლებას მემარჯვენე ბლოკი აიღებს, ეს მოკლე ხანში გამოირკვევა. მაგრამ ერიო რომ ყველაზე ნაკლებად გამოდგება ფრანკის მხსნელის და მსხვილ კაპიტალის დამბეგვრელის როლში, ამაში რაიმე ეჭვის შეტანა გულუბრყვილობა იქნებოდა. წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები ერთხელ კიდევ გამოაშკარავებენ თავის უძლურებას. და ამით კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში უფრო გარკვეულ ხასიათს მიიღებს: უფრო აშკარად დაუპირდაპირდება ერთმანეთს ორი მთავარი ძალა—ერთი მხრით მსხვილი ბურჟუაზია, მეორე მხრით პროლეტარიატი, რომლის მხარეზე თანდათან გადადის გაღატაკებული წვრილი ბურჟუაზიაც.

რაკოშის პროცესი

ჰუნგრეთის, ყალბი ფულის მჭრელთა მთავრობა დიდ ხანს ყოყმანობდა, სანამ პროცესს დაიწყებდა რაკოშისა და 57 ბრალდებულის წინააღმდეგ. უკვე პირველი ინსტანციის სასამართლოს კამათი, რომელიც რაკოშისა, ვეანბერგერისა, გოეგესისა, ოერისა და ჰაძანის საქმის გარშემო გაიმართა, ბრალდებულთა გმირული ყოფაქცევის გამო, ძლიერ აგიტაციათ გადაიქცა ჰუნგრეთის არალეგალური კომუნისტური პარტიისთვის. ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატია, რომელიც ხან აშკარა, ხან ფარული მოკავშირეა ბერტლენისა, იძულებული გახდა ჰუნგრეთის კომუნისტური პარტიის ლეგალობის საკითხი დაესვა. თვით ზოგიერთმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა ის აზრი გამოსთქვა, რომ უმჯობესია, თუ „დასავლეთის მაგალითის მიხედვით კომუნისტური აგიტაციის ბუდეები დღის სინათლეზე იქნება გამომზეურებული".

თუ ბეტლენის მთავრობამ ბოლოს მაინც გადასწყვიტა ეს სახიფათო ნაბიჯი გადაედგა, ამისათვის რამდენიმე მიზეზი არსებობს შინაურ და საგარეო პოლიტიკაში.

1. თვით არაჩვეულებრივად ლმობიერმა განაჩენმა, რომელიც სასამართლომ ყალბი ფულის მჭრელთა პროცესში გამოიტანა, უკმაყოფილება გამოიწვია უკიდურეს მემარჯვენე წრეებში, ბეტლენი კი ამ პროცესის შემდეგ ხელ-ახლა დაუახლოვდა ამ წრეებს. მათი შურის ძიების დასაკმაყოფილებლად საჭიროა, რომ კომუნისტური და მემარცხენე სოციალისტური მუშათა მეთაურები დასჯილ იქნენ.

2. მუშათა მოძრაობა შეუჩერებლივ მარცხნივ ვითარდება. კომუნისტური პარტია და სოციალისტური მუშათა პარტია ღრმა ფესვებს იდგამს არა მარტო სამრეწველო მუშათა კლასში, არამედ სოფლის მუშათა წრეებშიც. ძლივს შეაჩერეს ჟანდარმებმა და მათმა მოკავშირეებმა, სოციალ-დემოკრატიის ბელადებმა, მემაღაროების ათასეულების მარში რალგოტარჟანის ოლქიდან ბუდაპეშტისკენ რომ თავი წამოეყო მომკალთა გაფიცვამ ჰუნგრეთის დაბლობებში. კომუნისტების აგიტაციური და ორგანიზაციული მოქმედება ვრცელდება ყველა ლეგალურ მუშათა ორგანიზაციებზე, მათ შორის თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზეც. მუშათა კლასის დასაშინებლად საჭიროა ტერორისტული განაჩენის გამოტანა, მათი მიზანია აგრეთვე კომუნისტების განდევნა ლეგალური მუშათა მოძრაობიდან.

3. მემარცხენე მუშების პარტიამ, ჰუნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ, ბუდაპეშტის პროლეტარიატს 1926 წლის მარტის დასაწყისში წინადადება მისცა მასსიური დემონსტრაციის მოეხდინა ყალბი ფრანკის მჭრელ მთავრობის წინააღმდეგ. თუმცა სოციალ-დემოკრატიამ მოახერხა, რომ ეს გამოსვლა ფართო მასსიურ დემონსტრაციათ არ გადაქცეულიყო, მაგრამ მაინც მეორე დღესვე მთავრობამ დააჭერინა სოციალისტური მუშათა პარტიის მეთაურები, სტეფან ვაგი, ვეისჰაური, პაულ განდორი და სხ. გარდა ამისა, რათა მათი დასჯა უზრუნველი ყოფილიყო, სახელმწიფო ბრალმდებელმა მათი საქმე რაკოშის პროცესს დაუკავშირა, თუმცა თვით საბრალმდებლო ოქმი აღიარებს, რომ პოლიციას არავითარი ურთიერთობა არ აღმოუჩენია ამ ორ პარტიებს შორის.

4. ამ „კომინტერნის პროცესით" ჰუნგრეთის მთავრობას სურს აამოს თავის ინგლისელ ბატონებს. მას უნდა ჩემბერლენსა და ჩერჩილს მასალა მიაწოდოს იმის დასამტკიცებლად, რომ „საბჭოთა აგენტი რაკოში", კომინტერნის ყოფილი მდივანი რამდენიმე წლის განმავლობაში, „მოსკოვის ფულითა და დავალებით ხელახლა პროლეტარული დიქტატურის დამყარებას აპირებდა შუა ევროპაში". ხალხთა ლიგაში ჩემბერლენმა იკისრა ყალბი ფრანკის მჭრელი მთავრობა საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფ ჩეხო-სლოვაკელ იმპერიალისტებისაგან დაეცვა. უმთავრესად ამ გარემოებით აიხსნება ბეტლენის მთავრობის გადარჩენა. ახლა ჰუნგრელი ოინბაზები თავიანთ მეგობრებს, ინგლისელ კონსერვატორებს რომელნიც დღეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებენ, სამაგიეროს უხდიან, მაგრამ არა ყალბი ფრანკებით, არამედ ნაღდი კონტრრევოლიუციონური სამსახურით.

განსაკუთრებით დამახასიათებელი ამ პროცესისთვის ის არის, რომ რაკოშის წინააღმდეგ ბრალდება წარდგენილია მხოლოდ მისი მოღვაწეობის გამო კომინტერნში. საბრალმდებლო ოქმში სრულიად მოხსენებული არ არის ის „დანაშაულები", რომელიც მან იმ დროს ჩაიდინა, როცა ჰუნგრეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის წევრი იყო. ამ საქმეების გამო ის ერთხელაც არ დაუკითხავთ. ჰუნგრეთის გაბატონებულ კლასებისთვის ხელსაყრელი არ არის, რომ სოციალ-დემოკრატიული ტყვეობის ბორკილებიდან განთავისუფლებულ მუშათა კლასსა და გლეხკაცობაში ხელახლა პროლეტარული დიქტატურის მოგონებებმა გაიღვიძოს. ამიტომ მთავრობა გაურბის, რომ რაკოში სასამართლოში დაკითხულ იქნას, როგორც ყოფილი სახალხო კომისარი პროლეტარული დიქტატურის დროს ჩადენილი „დანაშაულისთვის".

მეორე საყურადღებო მომენტი ამ პროცესში ჰუნგრელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის როლია. ბრალმდებელს სუსტი საბუთები აქვს ხელში. მან შესძლო მხოლოდ ორი უფროსი პოლიციელის, ორი-სამი პროვოკატორის და ჰუნგრელი სოციალ-დემოკრატის გამოყვანა: ამ უკანასკნელს ჰქვია გაბრიელ პოროოვიჩი. ამ სათნოებით აღსავსე ვაჟბატონმა პოლიციას განუცხადა, რომ ჰუნგრეთის სოციალისტური პარტია ბოლშევიკური პარტიაა, და პროცესში მისი როლი იქნება ეს დებულება დაამტკიცოს, როგორც ექსპერტმა.

ბრალდებულები შეიძლება 2 ნაწილად გაიყოს. ერთ ჯგუფში შედის რაკოში და ოთხი მისი ამხანაგი, რომელნიც უკვე ერთხელ იყვნენ სასამართლოში და რომელთა წინააღმდეგ კონკრეტულად ის ბრალდებაა წარდგენილი, რომ ისინი მონაწილეობას იღებდენ ჰუნგრეთის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე უცხოეთში ან კიდევ უცხოეთშივე დაარსებულ პარტიულ სკოლის ხელმძღვანელობდნენ. მეორე ჯგუფი სტეფან ვაგის ჯგუფია, მას ბრალად ედება, რომ ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გათიშვის შემდეგ ფარული „ბოლშევიკური პარტია" დაარსა და მეორე ინტერნაციონალის კონგრესს დაესწრო მარსელში, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ პროლეტარიატს კლასობრივი ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ორივე ჯგუფის ბრალდებულთა უმრავლესობა მუშებია, მაგრამ მათ შორის გლეხებიც მოიპოვება. დიდმა ნაწილმა უკვე განვლო ჰუნგრეთის თეთრი ტერორის სატუსაღო, მაგრამ ამ გარემოებამ ვერ შესძლო მათი რევოლიუციური ნებისყოფის მოდრეკა. ამიტომ პროკურატურა მთელს თავის აპარატს იყენებს მათ წინააღმდეგ და შურისძიებას აპირებს რაკოშისა და იმ ამხანაგების წინააღმდეგ, რომელნიც სასამართლოს პირველ ინსტანციაში, საღრჩობელას მუქარის წინაშე, ენერგიულად შეებრძოლენ ჰუნგრეთის თეთრი ტერორის იუსტიციას.

ამ პროცესში ჰუნგრეთის თეთრი ტერორის ორგანიზატორები შურის ძიების განაჩენს გამოიტანენ კომინტერნისა, ჰუნგრეთის კომუნისტური პარტიისა და რევოლიუციონური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობამ ერთხელ უკვე დაიცვა რაკოში საღრჩობელასაგან. დღეს ეს თავგანწირული, უშიშარი რევოლიუციონერი თავის 57 ამხანაგთან ერთად ხელახლა მოუწოდებს პროლეტარიატს საერთაშორისო სოლიდარობისაკენ.

მოსკოვი.

ბელა კუნ.

მთავრობის ახალი კრიზისი საფრანგეთში

მხოლოდ ერთი თვე იდგა ბრიანის კაბინეტი ხელისუფლების სათავეში და უკვე გადადგა. სამინისტროს კრიზისები, სრული ან ნაწილობრივი, საფრანგეთში უფრო და უფრო ხშირდება და თითქო საბედისწერო დამოკიდებულებაში იმყოფება ფრანკის დაცემასთან. ეს ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური რეჟიმის კრიზისი საფრანგეთში თანდათან უფრო ღრმავდება.

ეს კრიზისი მეტად რთულ, დახლართულ პირობებში ვითარდება. ამ წვრილი ბურჟუაზიისა და წვრილი რანტიეების კლასიკურ ქვეყანაში ბოლო დრომდე გადახლართული იყო კაპიტალისტებისა და წვრილი ბურჟუაზიის, წვრილი ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის პრივილეგიური წრეების ინტერესები. პოლიტიკური პარტიები გამოხატავენ ამ კლასობრივ ინტერესთა არევას, რაიცა ახასიათებს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მთელს სირთულეს.

დღევანდელი ფინანსიური კრიზისი იწვევს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესთა სოლიდარობის გათიშვას და ამჟღავნებს ღრმა წინააღმდეგობებს, განსაკუთრებით მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიისა და წვრილ ბურჟუაზიას შორის.

ყველა დღემდე გამოცვლილ მთავრობათა პოლიტიკა წარმოადგენდა აუჩქარებელი ინფლიაციის პოლიტიკას, ის გლეხკაცობას ზოგავდა, რათა მისი ნეიტრალიტეტი უზრუნველ ეყო. ხელოვნური კეთილდღეობის შეწყობით, რომელიც ამ ფინანსიურმა პოლიტიკამ გამოიწვია, მსხვილმა მრეწველობამ ახალი ბაზრები დაიპყრო და თითქმის მთელი საწარმოვო აპარატი აღადგინა მეტად ხელსაყრელ პირობებში.

ყველაზე მეტად ამ პოლიტიკამ წვრილი ბურჟუაზია დააზიანა ფრანკის დაცემის წყალობით წვრილი ბურჟუაზიის ზოგიერთი წრეების ნამდვილი ექსპროპრიაცია მოხდა. წვრილი ბურჟუაზია მტრულად ეპყრობა ინფლიაციას; ის ემხრობა ფრანკის ოქროს ღირებულების აღდგენას და ეწინააღმდეგება მძიმე გადასახადებს, რომელიც წვრილ ვაჭრობას აფერხებს.

მუშათა კლასი რამდენიმედ პასიურად უყურებდა კრიზისს, სანამ ეს უკანასკნელი მას არ შეეხო.

სამრეწველო კეთილდღეობამ და ხელფასის, — განსაკუთრებით, — კვალიფიციურ მუშების ხელფასის შედარებითმა ზრდამ მიიყვანეს საფრანგეთი იმ პარადოქსალურ მდგომარეობამდე, რომ წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი და აგრეთვე ჩინოვნიკობა, რომლის ჯამაგირი ერთ და იმავე დონეზეა შეჩერებული, ისეთ ელემენტებს წარმოადგენენ, რომელნიც მსხვილი კაპიტალის ფინანსიურ პოლიტიკის წინააღმდეგ უფრო აქტიურად ილაშქრებენ, ვიდრე პროლეტარიატის ზემოხსენებული შუაფენები.

მუშათა კლასის და წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგობა წარმოადგენს სამინისტროების კრიზისების ერთ-ერთს მიზეზს.

1924 წლის 11 მაისის არჩევნებში მემარცხენე უმრავლესობა გამოხატავდა მასების უკმაყოფილებას მსხვილი მრეწველობის წარმომადგენელთა კომიტეტის პოლიტიკით, პუანკარეს და მილერანის პოლიტიკით, მაგრამ ამ უმრავლესობამ ვერ შესძლო ცხოვრებაში გაეტარებია წვრილი ბურჟუაზიის დამოუკიდებელი პოლიტიკა მსხვილი კაპიტალის ინტერესების წინააღმდეგ. ერიო, რომელსაც სოციალისტებიც ეხმარებოდნენ, თავიანთი დემაგოგიის მიუხედავათ, პუანკარეს მზგავსათ, გახდა სათამაშო ტიკინად ზემოხსენებულ კომიტეტის ხელში. მან მოამზადა ნიადაგი მაროკოს ომისათვის, მან გააგრძელა ინფლიაციის პოლიტიკა, ვერ გაბედა კაპიტალის დაბეგვრა, გაადიდა გადასახადები, რომელნიც უმთავრესად მძიმე ტვირთად აწვა პროლეტარიატს და წვრილ ბურჟუაზიას. ერიოს დაცემა გამოიწვია ინფლიაციის საკითხმა. კაიო საფინანსო ექსპერტებთან ერთად სცდილობდა გამოენახა გამოსავალი საფინანსო რეფორმით, რომელიც ცინიკურად გამოააშკარავა მსხვილი კაპიტალის ზრახვები.

ფრანკის დაცემით გამოწვეული შიშის გამოყენებით კაიო სცდილობდა მიეღო პარლამენტიდან პრინციპიალური თანხმობა ექსპერტთა გეგმასა და თავისთვის განუსაზღვრელ რწმუნებათა მინიჭებაზე.

გასულ კვირაში კაიოს პროგრამას მიემხრო 22 ხმით გადამეტებული უმრავლესობა. მეტად მერყევი კაბინეტი ეხლა საბოლოოდ დაეცა საფინანსო რწმუნებათა გამო, რომლის მიღებასაც კაიო სცდილობდა მსხვილი კაპიტალის პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად.

ეს საშუალო კლასების და პროლეტარიატის წინააღმდეგობის ახალი გამოაშკარავება არის. კომპარტიამ მოაწყო დიდი დემონსტრაცია ექსპერტების გეგმის წინააღმდეგ. წვრილი ბურჟუაზიის ბელადები იძულებული გახდენ ამომრჩეველთა ზეგავლენით გაეკეთებიათ ოპოზიციონური ჟესტი. მაგრამ თავის პოლიტიკით ისინი ერეკებიან მასებს ან მარცხნით — კომუნისტების ბანაკში, ან მარჯვნით—ფაშისტების ბანაკში, რომელნიც დემაგოგიურად სცდილობენ გამოიყენონ მემარცხენე ბლოკის დამარცხება.

შეუძლია კი ერიოს, რომელსაც მინდობილი აქვს მთავრობის შედგენა, აღადგინოს მემარცხენე ბლოკი და მიიმხროს სოციალისტები?.

ერიომ კიდეც რომ შესძლოს მემარცხენე ბლოკის აღდგენა, მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ მან პარლამენტში უმრავლესობა მიიღოს. უფრო ნაკლებ სარწმუნოა, რომ იგი შესძლებს კაპიტალის დაბეგვრის პროგრამის გატარებას. ამის გარეშე, ერიოს ფეხი დაუცდება სენატში.

თუ კი ერიოს ცდა დამარცხდა, რესპუბლიკის პრეზიდენტი შეეცდება მთავრობის თავმჯდომარე გამონახოს მემარჯვენეთა შორის. მაგრამ პუანკარეს ერიოზე მეტი შანსები არა აქვს პარლამენტში უმრავლესობის მისაღებად, — და ბრიანი ისევ გამოცხადდება სცენაზე იმისათვის, რომ შეაკოწიწოს თავის მე-11 ეფემერული კაბინეტი.

პოლიტიკურ მერყეობას და გამოუვალ მდგომარეობას შეუძლია პარლამენტი აიძულოს ახალი არჩევნები დანიშნოს. საფრანგეთის დემოკრატიის დაჩანაკებული პარლამენტარიზმი ააშკარავებს თავის უსუსურობას. პოლიტიკური და ფინანსიური კრიზისი ხდება [illegible] კრიზისად. მემარჯვენეები [illegible] და მოითხოვენ თავის [illegible]: ხოლო მასსები კი მარცხნით იხრებიან. საფრანგეთის კომუნისტებს მართებთ მოხერხებით გამოიყენონ შექმნილი მდგომარეობა.

მოსკოვი, 20 ივლისი.

ერიომ შეადგინა საფრანგეთის ახალი მთავრობა

დე-მონზი-ფინანსთა მინისტრი.--სტერლინგი 225 ფრანკი ფასობს

პარიზში ქაღალდის ფულებს არ იღებენ—მოელიან დიდ მღელვარებას

ბელგიელ მენშევიკების გაზეთი „პეპლ" სწერს: „ევროპას იხსნის მხოლოდ მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობა საბ. კავშირთან."

ერიოს კაბინეტი

პარიზი, 20 ივლისი. ერიომ რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგინა თავისი კაბინეტის სია შემდეგი შემადგენლობით:



ე რ ი ო.
საფრანგეთის ახალი პრემიერი

პრემიერ მინისტრი და გარეშე საქმეთა მინისტრი—**ერიო**, იუსტიციის და ელზას ლოტარინგიის მინისტრი—**კოლბრა**, შინაგან საქმეთა მინისტრი—**შოტანი**, ფინანსთა **დე-მონზი**, სამხედრო—**პენლევე**, საზღვაო—**რენო**, ვაჭრობის—**ლუშერი**, სახალხო განათლების—**დალადიე**, საზოგადოებრივ სამუშაოთა—**გეს**, მიწათმოქმედების—**კენილი**, შრომის—**პასკე**, პენსიების—**მოკრე**, ახალშენების—**მარიაკი**.

მინისტრების ამხანაგები: გარეშე საქმეთა — **მელის**, ხაზინის—**ჟოკის ბიუჯეტის**—**მორილი**, სამხედრო—**დიუმენილი**, განთავისუფლებულ ოლქების—**მეტო**, ტეხნიკურ განათლების და ხელოვნების—**ბაზილი**, სავაჭრო, ფლოტის—**მალარმე**, ავიაციის—**რომაია**.

სამინისტროში შედის 12 დეპუტატი, 3 სენატორი, ცენტრის /ჯგუფის 6 წევრი და(გამოტოვებულია) ...მემარცხენე ბლოკის.

ერიოს პროგრამა

ლონდონი, 20 ივლისი. ერიომ თავის საფინანსო პოლიტიკის შესახებ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია საზღვარგარეთიდან სესხის აღების და მიმართავს საფრანგეთის ხალხს თხოვნით გაიღოს საჭირო მსხვერპლი. **ის მხარს უჭერს გადასახადს შეძენილ სიმდიდრეზე, ნაციონალური ვალის დაფარვის მიზნით, და დამატებითი გადასახადს საკუთრებაზე.**

ბირჟის წრეებში სთვლიან, რომ ერიო მოითხოვს ერთა ლიგის, ან ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის არბიტრაჟს საერთაშორისო ვალების შესახებ.

როგორ გადადგა ბრიანი

პარიზი, 19 ივლისი. დეპუტატთა პალატამ მუხლობრივად განიხილა პროექტი მთავრობისათვის ფართო უფლებების მინიჭების შესახებ და მთავრობამ უნდობლობა გამოუცხადა 286 ხმით, 243 წინააღმდეგ. მთავრობა გადადგა.

მთავრობის შედგენა ერიოს მიანდვეს

პარიზი, 19 ივლისი. საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა მიიღო ბრიანის კაბინეტის გადადგომა, გამოიწვია ერიო და წინადადება მისცა შეადგინოს მთავრობა. ერიო დასთანხმდა.

პარიზი, 20 ივლისი. ერიომ მიიღო წინადადება კაბინეტის შედგენის შესახებ. სოციალისტებმა უარი სთქვეს მთავრობაში მონაწილეობაზე, მაგრამ განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ ერიოს მთავრობას.

ერიოს ცდა

პარიზი, 20 ივლისი. შუადღისას ერიოს მოლაპარაკებამ წარმატებითი ხასიათი მიიღო. თუ არ მოხდა რაიმე მოულოდნელი, საღამოსთვის კაბინეტი შემდგარი იქნება მემარცხენე ბლოკის ფორმულის მიხედვით. დე-მონზი ჩაიბარებს ფინანსთა სამინისტროს. პორთფელების უმრავლესობა მიეცემა ერიოს ყოფილ თანამშრომლებს.

ერიოსთან თათბირის შემდეგ **ლუი მორენმა განაცხადა, რომ ოპოზიცია თავის დამოკიდებულებას იცავს.**

„ევრ" ამბობს, რომ ერიოს ხელმძღვანელობით შესაძლოა მხოლოდ ერთი კომბინაცია—დემოკრატიული ძალებით შექმნა ბლოკის 11 მაისის პროგრამის საფუძველზე.

ფრანკის კურსი ეცემა

პარიზი, 19 ივლისი. **მემარცხენე ბლოკის მთავრობის შედგენის შესაძლებლობის გამო ბირჟაზე ფრანკის კურსი კვლავ დაეცა. გირვანქა სტერლინგი 19 ივლისს ღირდა 225 ფრანკი, დოლარი—48.**

დე-მონზის განცხადება



დე-მონზი

პარიზი, 20 ივლ. დე-მონზიმ განაცხადა, რომ ის არ მოითხოვს ინფლიაციას, მაგრამ **საჭიროდ სთვლის ფინანსიურ საკითხებში უფლებების გაფართოებას.**

ბერლინი, 20 ივლ. დე-მონზისს განცხადების გამო, რომ არ არის განზრახული ახალი ინფლიაცია, ავტორიტეტულ წრეებში აღნიშნავენ, რომ **მომავალ კვირაში ხაზინამ უნდა გადაიხადოს 2 მილიარდი ფრანკი, ხოლო ხაზინის სალარო ცარიელია.**

პანიკა პარიზში

ბერლინი, 20 ივლისი. **პარიზში გამეფებულია პანიკა. ფრანკი ეცემა. ბევრ მაღაზიებში უარს ამბობენ ქაღალდის ფრანკის მიღებაზე. პურზე ფასები თანდათან იზრდება. მოსახლეობის დამოკიდებულება ამერიკელებსა და ინგლისელებისადმი თანდათან საშიში ხდება; შიშობენ, რომ შესაძლოა დაიწყოს სერიოზული უწესობება.**

გაზეთი „ვიქტუარ" წინასწარმეტყველებს, რომ ახლო მომავალში გირ. სტერლინგი 500 ფრანკი ეღირება.

ბერლინი, 20 აპრილი

პრესა კრიზისის შესახებ

პარიზი, 19 ივლისი. საფრანგეთის ბურჟუაზიულ პარტიების უმრავლესობა მოითხოვს „ნაციონალური კონცენტრაციის" მთავრობის შედგენას.

კაიოს ორგანო „ვოლონტე" მოითხოვს პარლამენტის დათხოვნას, რადგან ახლანდელ პარლამენტს არ შეუძლია შექმნას მტკიცე მმართველი უმრავლესობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთს მოსალოდნელად მიაჩნია ფინანსიური კატასტროფა.

კომუნისტური „ჰუმანიტე" ამტკიცებს რომ ერიო ჯერ კიდევ ბრიანის კაბინეტის გადადგომამდე აწარმოებდა მოლაპარაკებას მორენთან და ბოკანოვსკისთან (რესპუბლიკანურ დემოკრატიულ კავშირის წარმომადგენლები) კოალიციური მთავრობის შედგენის შესახებ.

კაიო ხელს იბანს

პარიზი, 20 ივლისი. ბრიანის კაბინეტის გადადგომის შემდეგ კაიომ ჟურნალისტებთან საუბარში კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ის იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

მდგომარეობა რთულია

პარიზი, 20 ივლისი. ეხება რა ბრიანის კაბინეტის გადადგომას და ერიოსათვის ახალი მთავრობის შედგენის დავალებას, „ერ ნუველ" სწერს, რომ **მდგომარეობა რთულია, რადგან უერიოთ არ არის უმრავლესობა, ხოლო ერიოს უმრავლესობა არ ჰყავს.**

„ფიგარო" სწერს: „ჩვენ ორი წლით უკან დავიხიეთ".

„ეკო დე პარი" იუწყება, რომ ნდობის ვოტუმის შემდეგ ერიო პალატას დაითხოვს საზაფხულო არჩევნებისათვის.

ახალი უზენაესი კომისარიატი

პარიზი, 20 ივლისი. ერიო ფიქრობს ნატურალიზაციის და იმიგრაციის ახალი უზენაესი კომისარიატის შექმნას. ახალი დაწესებულების სათავეში იქნება დეპუტატი რონი ლამბერ.

კრიზისი გაჭიანურდა

პარიზი, 19 ივლისი. მთავრობის კრიზისის გადაჭრა ჭიანურდება, რადგან ცენტრის ჯგუფები, რადიკალ-სოციალისტების მემარჯვენე ფრთასთან ერთად მოითხოვენ „ნაციონალურ კონცენტრაციის" მთავრობის შედგენას, ხოლო უმრავლესობა მხარს უჭერს მემარცხენე ბლოკის სამინისტროს (რადიკალ-სოციალისტების, სოციალისტ-რესპუბლიკანელების და სოციალისტებისაგან).

ერიო აყენებს პროგრამას ფინანსიურ გაჯანსაღებისა, მემკვიდრეობაზე ერთდროული გადასახადის შემოღებისა და მოძრავი ქონების დაბეგვრის გზით. რესპუბლიკანელ-დემოკრატების მემარცხენე ჯგუფმა დაადგინა მხარი დაუჭიროს ყოველგვარ კაბინეტს, რომელიც არ შეიცავს თავის პროგრამაში კაპიტალის დაბეგვრას.

მემარცხენე ბლოკის ორგანო „ერ ნუველი", მოითხოვს რა ერიოსაგან მემარცხენე ბლოკის მთავრობის შედგენას, აღნიშნავს, რომ აუცილებელია ახალი საპარლამენტო არჩევნები, თუ მთავრობამ არ მიიღო უმრავლესობა.

რა იხსნის ევროპას

პარიზი, 19 ივლისი. ბელგიის სოციალისტური პარტიის ორგანო „პეპლ" სწერს:

„ბელგიამ საფრანგეთთან და იტალიასთან ერთად ეკონომიური კავშირი უნდა შეჰკრას გერმანიასა და საბჭოთა კავშირთან. საბჭოთა რესპუბლიკას ვესაჭიროებით ჩვენ და, პირიქით, ის გვესაჭიროება ჩვენ. პურის ნაცვლად ჩვენ საბჭოთა კავშირს მივსცემთ მანქანებს, ხალხს და ინიციატივას. სავაჭრო ხელშეკრულების დადება არ ნიშნავს საბჭოთა რეჟიმის ცნობას. **ამერიკის პლუტოკრატები უკვე სარგებლობენ იმით, რაც ჩვენ უარვყავით. ევროპას იხსნის თანამშრომლობა ნედლი მასალის დამამზადებელ საბჭოთა კავშირთან".**

კომუნისტების გამარჯვება

ჩეხო-სლოვაკიაში

სოც. დაზღვევის სალაროში გავიდნენ კომუნისტები

პრაღა, 19 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის **სამთამადნო მუშათა სოც. დაზღვევის ცენტრალურ სალაროს არჩევნების დროს კომუნისტებმა მიიღეს უმრავლესობა.** არჩეულია 59 კომუნისტი, 4 თანამგრძნობი, 146 ჩეხელი სოც. დემოკრატი, 12 გერმანელი სოც. დემოკრატი და 5 ნაციონალ სოციალისტი.

ამერიკა არის დამნაშავე

ბერლინი, 20 ივლისი. ლონდონში დაიწყო ანტი-ამერიკული კამპანია. თემთა პალატაში **კონსერვატორმა იუნგმა** ბრალი დასდო ამერიკას საფრანგეთის კრიზისში.

კონვენცია საბჭოთა კავშირსა და ლატვიის შორის

რიგა, 19 ივლისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლატვიაში ჩერნიხმა და ლატვიის მინისტრმა ულმანისმა ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირსა და ლატვიის შორის კონვენციას საზღვრის კონფლიქტების მოწესრიგების შესახებ.

საკოს და ვანცეტის საქმე

ბერლინი, 19 ივლისი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ვინაიდან ჩრდილოეთ ამერიკის მასაჩუზეტის შტატის უზენაესმა სასამართლომ უარი სთქვა საკოს და ვანცეტის საქმის ხელ-ახლა გარჩევაზე, ამერიკის მისიაში ბერნში მიდის მრავალი წერილები პროტესტით და მუქარით.

შვეიცარიის პოლიციამ მიიღო ზომები ამერიკის მისიის და ამერიკის საკონსულოების დასაცავად.

კონსერვატორების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ლონდონი, 19 ივლისი. უკიდურეს მემარჯვენე კონსერვატორები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო კამპანიისათვის.

ლორდი ბირკენხედი სარგებლობს ინდოეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობით და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ინდოეთს საფრთხე მოელის საბჭოთა კავშირისაგან. ჯერ მან დაიწყო კამპანია ამერიკის პრესაში, ხოლო ამჟამად გაძლიერებული კამპანია სწარმოებს ინგლისის კონსერვატიულ პრესაში. ეს კამპანია თავის გამოხატულებას პოულობს „რედაქტორულ წერილებში".

მაგალითად, „მორნინგ პოსტში" 14 ივლისის თარიღით გამოქვეყნებულია ამრიცარის მასიური დახვრეტების გმირის, პენჯაბის ყოფილ გუბერნატორის ო'დვაიერის წერილი, სათაურით: „რუსეთ-ავღანისტანის მუქარა ინდოეთის მიმართ". ის სწერს: „ჩვენი კალკუტელი კორესპონდენტი მშვენივრად მოიქცა, როცა საზოგადოების ყურადღება მიაქცია იმას, რომ ინდოეთი ბოლშევიკური საფრთხის წინაშე იმყოფება, რაც ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე თავის მოხსენებაში ინდოეთის სამხედრო დაზვერვის უფროსმა".

აცხადებს რა შემდეგ, რომ ინდოეთი ყოველთვის „რუსეთის სამხედრო მისწრაფებათა" ობიექტი იყო, წერილის ავტორი სწერს, რომ ავღანისტანის ეხლანდელმა გმირმა ავიაციის განვითარების საქმეში დახმარება სთხოვა რუსეთს. „ავღანისტანის განვითარებული ავიაცია, აცხადებს შემდეგ დაიერი, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ინდოეთისათვის. მაგრამ ეს ბოლშევიკების ავღანისტანში განმტკიცების მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა. წარმოიდგინოთ, რომ შეტაკებები ინდოელებსა და მუსლიმანების შორის, რომელთაც ფაქტიური სამოქალაქო ომი გამოიწვევს, გრძელდება და ფართოვდება. ამ შემთხვევაში სავსებით მოსალოდნელია, რომ მუსლიმანთა უმცირესობა დახმარებისათვის მიმართავს თავის თანამორწმუნეებს ავღანისტანში და მაშინ რუსეთ-ავღანისტანის მუქარა სინამდვილე შეიქმნება.

რა საშუალებები გაგვაჩნია ჩვენ ამ საფრთხის წინააღმდეგ? ინდოეთში არის ინგლისის მცირე რიცხოვანი არმია—60.000 კაცის შემადგენლობით და რამოდენიმე ათასი ოფიცერი".

„მორნინგ პოსტ"-ის იმავე ნომერში სათაურით: „წითელი საფრთხე ინდოეთის მიმართ" გამოქვეყნებულია მაიორ კანდერსლეის წერილი, რომელშიაც ის მადლობას უძღვნის გაზეთის რედაქტორს იმისათვის, რომ მან გამოაქვეყნა ინდოეთის სამხედრო დაზვერვის უფროსის, პოლკოვნიკ საუნდერსის განცხადება „საბჭოთა მუქარის შესახებ ინდოეთის იმპერიის მიმართ".

„ბევრნი ფიქრობენ, სწერს ის, რომ ბოლშევიკური საფრთხე არის მხოლოდ ზოგიერების ფანტაზიის ნაყოფი, მაგრამ გაფრთხილება ისეთ წყაროდან, როგორიცაა პოლკოვნიკ საუნდერსი, სერიოზულად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში".

ლონდონში (?) ახალშენების მინისტრმა ემერიმ განაცხადა, რომ მუშათა პარტია არ ვარგა ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის და არც გამოდგება ამისათვის, „სანამ საბოლოოდ არ განთავისუფლდება მოსკოვის ზეგავლენისაგან და არ გაითიშება მოსკოვის განზრახვებისაგან".

ვაჭრობის მინისტრმა კენლიფ ლისტერმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა გოლდერსგრინში, განაცხადა, რომ, „სანამ მუშათა პარტია უცხოელ კომუნისტების ზეგავლენის ქვეშ იმყოფება", ის ვერ მიაღწევს ხელისუფლებას.

ინგლისის პოლიტიკის ხაზი

ლონდონი, 19 ივლისი. ინგლისის ვაჭრობის მინისტრმა **ლისტერმა** იორკშირში კონსერვატორების მიტინგზე განაცხადა, რომ ინგლისის პოლიტიკაა—საბჭოთა კავშირის საქმეებში არ ჩარევა.

„მაგრამ ამავე დროს,—განაცხადა ლისტერმა, ინგლისის პოლიტიკის ძირითადი ხაზი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ დაუშვებთ არც აშკარა და არც ფარულ ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში. **ჩვენ უსათუოდ უნდა ვაწარმოოთ ვაჭრობა რუსეთთან, მაგრამ ისეთი პირობების საფუძველზე, როგორიც სხვა დანარჩენ ქვეყნებთან გვაქვს".**

გენერალ ნოკსის გამოსვლა

ლონდონი, 19 ივლისი. გენერალმა ნოკსმა (ინგლისის სამხედრო მისიის ყოფილი უფროსი დენიკინთან) „ტაიმსში" გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც იგი აქვეყნებს საბჭოთა კავშირის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან ვაჭრობის ცნობებს და სცდილობს დაამტკიცოს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობამ ინგლისს არავითარი სარგებლობა არ მისცა.

ამის გამო ნოკსი აცხადებს, რომ მატერიალური სარგებლობის მოსაზრებით ინგლისის მთავრობას უარი უნდა ეთქვა ინგლის - საბჭოთა 1921 წლის სავაჭრო შეთანხმებაზე და უკან წაეღო „წითელი მთავრობის" დე - იურე ცნობა.

ინგლის-პოლონეთის ინტრიგები

(„პრავდას" მოწინავე)

მოსკოვი, 20 ივლისი. ამ სათაურით მოწინავე წერილში „პრავდა" აღნიშნავს, რომ ინგლისი, შინაგან სიძნელეების მიუხედავად, რომელნიც ინგლისის კაპიტალიზმის განაწყენებული კრიზისიდან გამომდინარეობენ, განაგრძობს ხალხთა მოტყუების, მოსყიდვის ინტრიგების და ავანტიურების პოლიტიკას. აღმოსავლეთის ხალხთა იმპერიალისტური ჩაგვრის პოლიტიკა წინანდებურად ინგლისის საგარეო პოლიტიკის მთავარ ღერძად რჩება. ამ მიზნით, რათა აღმოსავლეთში ხელები გაიხსნას, ინგლისს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იერიშები მიაქვს დასავლეთიდან. ინგლისის დიპლომატია ანტისაბჭოთა კამპანიის ხმაურობაში, პოლონეთის გზით, ხიფათს უმზადებს საბჭოთა კავშირს და ამისათვის სპეკულაციას ეწევა ფაშისტურად განწყობილ პოლონეთზე.

ინგლისს სურს, რომ პოლონეთი ბალტიის მხრის სახელმწიფოების ახალი ანტისაბჭოთა მოძრაობის სათავეში იხილოს. გაფორებული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონსერვატიულ პრესაში, პოგრომული მიტინგები, „აღშფოთებული" მოთქმა „რუსულ ფულსა" და „რუსულ ძარცვა-ღლეტაზე"—ეს ყოველივე ფილენზის ქარების გამოხატულებაა, რომელიც უკანასკნელ დროს „მუზლმაგარ" ინგლისს გამოჰხნდა. მაგრამ ამასთანავე ეს ყოველივე ახალი ინგლისურ-პოლონური მანევრის საფარია.

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები ხედავენ საით უმიზნებს ინგლისის დიპლომატია. ისინი ხედავენ, რომ პოლონეთის ყოფაქცევა თანდათან უფრო ორაზროვანი ხდება, ის ერთი მხრივ გვარწმუნებს, რომ „მშვიდობიანადაა" განწყობილი, ხოლო მეორე მხრით აფერხებს საგარანტიო ხელშეკრულობის დადებას ბალტიის მხრის სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

მაგრამ პოლონეთის განზრახვა, რომ ინგლისის კაპიტალის კარნახით „დიდი ანტი-საბჭოთა თამაში" დაიწყოს არ დარჩება შეუმჩნეველი. ამ განზრახვებს საბჭოთა კავშირი მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს.

დუგლას ფერბენქსი და მერი პიკფორდი

ს. ს. ს. რ. მოემგზავრებიან

ვარშავა, 19 ივლისი. ვარშავაში ჩამოვიდნენ დუგლას ფერბენქსი და მერი პიკფორდი. პრესის წარმომადგენლებს მათ განუცხადეს, რომ ისინი საბჭოთა კინო - მრეწველობის მოწყობით მოსკოვს მიემგზავრებიან. პარიზში მათ ინახულეს რაკოვსკი, რომელმაც ურჩია მათ ს. ს. ს. რ.-ში გამგზავრება.

ფერბენქსმა განაცხადა, რომ მისი [illegible] გაეცნოს რუსულ ხელოვნებას. იგი „ჯავშნოსან პატიომკინს" სთვლის უდიდეს სურათათ, რომელიც მას ოდესმე უნახავს. პიკფორდმა სთქვა, რომ ამ სურათმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

უკანასკნელი ცნობები

ლოიდ - ჯორჯის

ლონდონი, 20 ივლისი. დღეს ლოიდ-ჯორჯმა, ქრისტიანულ საზოგადოების ლიდერების სხდომაზე, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 30 ეროვნება, წარმოსთქვა სიტყვა. „თავის სიტყვაში ლოიდ-ჯორჯმა სთქვა:" ყოველ თაობას აქვს თავისი ამოცანა და ჩვენი დროის მოზარდი თაობის უმთავრესი ამოცანაა ორგანიზებულ ძალადობის ორგანიზებულ სამართლიანობით გარდაქმნა. ჩვენ მოწყურებულები, მოვედით ამ ქვეყნად, და ვნახეთ შეიარაღებანი ომები, როგორიც ბორკილები, რომელიც თან ახლავს ცივილიზაციას. ჩვენ ჯერ კიდევ ამ იდეების მორჩილი ვართ. ახალგაზრდობა კი უნდა განთავისუფლდეს მისგან. ყველაზე უსაშინელესი დაწყევლილი და უდიდესი ომი დაიწყება მაშინ, თუ ახალგაზრდობა არ აღმოფხვრის ცივილიზაციის გულიდან ამ იდეას. ევროპა იარაღდებოდა მანამ, სანამ არ მივიდა 1914 წლის ამბებამდე. ეხლა ევროპაში ისეთი მრავალრიცხოვანი ჯარია, იმდენია, რამდენიც არ ყოფილა არასოდეს". ლოიდ-ჯორჯი იცავდა ერების და კლასების შორის არბიტრაჟის სისტემას. გაფიცვის საქმეში ეკლესიის ჩარევა ლოიდ-ჯორჯმა დაასახელა როგორც დიადი საქმის დასაწყისი.

რესპუბლიკის შეურაცყოფისათვის

ბერლინი, 20 ივლისი. ერფურტის გაზეთი „ეხო გერმანი", რესპუბლიკანური მმართველობის ფორმის შეურაცყოფისათვის, აკრძალულია ერთი თვით.

ერიოს კაბინეტის სხდომა

ბერლინი, 20 ივლისი. დღეს საღამოთი შესდგება ერიოს კაბინეტის პირველი სხდომა, რომელზედაც გადაწყდება მთავრობის დეკლარაციისა და ფინანსიურ პროგრამის საკითხი.

პრესის განცხადებით, ერიო თავის ფინანსიურ პროგრამაში უარჰყოფს უცხოელების ყოველგვარ დახმარებას, მათ რიცხვში სესხსაც. თუმცა ერიო დარწმუნებულია, რომ მას პალატის უმრავლესობა დაუჭერს მხარს, მაგრამ უეჭველია, რომ მის ფინანსიურ პროგრამას დაბრკოლებები გადაეღობება.

ვირტის მოწოდება

ბერლინი, 20 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატში" მოთავსებულ წერილში ყოფილი კანცლერი ვირტი მოუწოდებს გერმანიის რესპუბლიკის ყველა მომხრეებს, რომ განამტკიცონ იგი და შექმნან „რესპუბლიკანური კავშირი". ვირტის აზრით, ამ მოწოდების მიზანია, რომ გაერთიანოს მემარცხენე პარტიები სახალხო კავშირის შესაქმნელად.

ბოლდუინის ცდა უშედეგოდ დამთავრდა

ბერლინი, 20 ივლისი. ბოლდუინისა და ინგლისის ეკლესიის წარმომადგენლების თათბირი მეშახტეთა გაფიცვის დამთავრების საკითხის შესახებ, უშედეგოდ დამთავრდა.

მთავრობა პასუხისგებაში

ოსლო, 19 ივლისი. ნორვეგიის პარლამენტმა დაადგინა პასუხისგებაში მისცეს ბერგის კონსერვატიული კაბინეტის ყოფილი წევრები, რომლებმაც 1923 წელში სტორტინგის ნებადაურთველად 25 მილ. კრონი გადასცეს ნორვეგიის გაკოტრებულ ბანკს. სტორტინგის კომისიამ ბრალმდებლათ წამოაყენა კომუნისტ-ვექილის სტანგის კანდიდატურა, რომელიც უარყოფილ იქნა უმნიშვნელო უმცირესობით.

გაფიცვა ინგლისში

უცხოეთის ნახშირის შემოზიდვის საკითხი

ლონდონი, 19 ივლისი.. ტრანსპორტის მუშების და შავ მუშათა კავშირის გენერალურ მდივანმა ბევინმა განაცხადა, რომ უცხოეთის ნახშირის გადაზიდვის აკრძალვა ნიშნავს ნავთსადგურის მუშების ახალი გაფიცვის გამოცხადებას ნაციონალური მასშტაბით.

„ასეთი ცდა, განაცხადა ბევინმა, მოხდენილ იქნა 1921 წელში, მაგრამ ის უშედეგოთ დამთავრდა".

ბევინმა განაცხადა, რომ ტრანსპორტის მუშების და შავ მუშათა კავშირმა დახარჯა ყველა თავისი თანხები და ის ახალ გაფიცვას ველარ გაუძლებს.

„მე არ შემიძლია იმის წარმატებით განხორციელება, რასაც ითხოვენ სამთამადნო მუშები, მე სავსებით გულახდილათ განუცხადე მათ ამის შესახებ"—სთქვა ბევინმა.

სამხრეთ-უელსში

ლონდონი, 19 ივლისი. სამხრეთ-უელსის სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევს სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომს უკან წაიღოს კონფლიქტის მოწესრიგების პირობები, რომელნიც წამოაყენეს სმიტმა, კუკმა და რიჩარდსონმა, ეპისკოპოსებთან თათბირის დროს და მოიწვიოს სამთამადნო მუშათა საერთო ნაციონალური სადელეგატო კონფერენცია, რომელიც განიხილავს შექმნილ მდგომარეობას.

ამნისტიის ღირსი არ არიან

ლონდონი, 19 ივლისი. ინგლისის თემთა პალატის დეპუტატმა ლიბერალმა რენსიმენმა მოითხოვა ამნისტია ყველა იმ პირთათვის, რომელიც დასჯილი იყვნენ საყოველთაო გაფიცვის დროს პოლიტიკური დანაშაულობის ჩადენის გამო.

კონსერვატორებმა წინადადება შეიტანეს უარყოფილ იქნას ეს ამნისტიის რეზოლუცია და საყოველთაო გაფიცვის დროს დასჯილნი არ იქნენ ცნობილი პოლიტიკური დამნაშავეებათ.

ეკლესიამაც ვერ უშველა

ბერლინი, 20 ივლისი. იმედები, რომ ინგლისის ეკლესია შესძლებს მეშახტეთა გაფიცვის შეწყვეტას, დაიმსხვრია ბოლდუინის წერილმა, რომელიც მან მისწერა ლიჩფილდის ეპისკოპოსს და რომელშიაც აცხადებს, რომ უნაყოფოა ეკლესიის წინადადების სერიოზულად განხილვა, ვინაიდან მთავრობას არ აქვს საშუალება, რომ განაგრძოს სანახშირო მრეწველობისათვის სუბსიდიის მიცემა.

ლონდონი, 20 ივლისი. იუწყებიან, რომ ეკლესიის ლიდერები კვლავ განაგრძობენ მუშაობას გაფიცვის დამთავრების მიზნით. ვინაიდან მთავრობა წინააღმდეგია სუბსიდიის მომავალში კვლავ გაგრძელების, მოსალოდნელია მოლაპარაკება სამრეწველო - ქრისტიანულ ძმობისა და სამთამადნო მუშების წარმომადგენლებს შორის სუბსიდიის სესხით შეცვლის შესახებ.

„დეილი ჰერალდი" იუწყება, რომ მთელი რიგი გავლენიანი პოლიტიკურ მოღვაწეთა და საქმის ხალხი მხარს უჭერს სიტის იდეას, ნახშირის მრეწველობისათვის 5 მილ. გირვანქა სტერლინგის მიცემის შესახებ.

ინგლისის რკინისგზებზე

ლონდონი, 20 ივლისი. მოძრაობა ინგლისის რკინისგზებზე, რომელიც ძალიან შემცირებული იყო, ამჟამად აღდგენილია. გუშინ მოუმატეს 20.000 ვაგონი, რომლებსაც, უმთავრესად ნახშირი შემოაქვთ.

გაფიცულთა ბავშვების კვება

ლონდონი, 20 ივლისი. სამხრეთ-უელსის გაზეთები აღნიშნავენ, რომ სამთამადნო მუშების შვილები ამჟამად სკოლის სასურსათო დუქნების საშუალებით უკეთ იკვებებიან, ვიდრე გაფიცვის დაწყებამდე. ამას ამოწმებს „დეილი მეილის" პროტესტი იმ მოწოდების წინააღმდეგ, რომლითაც ინგლისის მღვდლებმა მიმართეს შეერთებულ შტატების სამღვდელოებას, რომ ფულითა და სურსათით დახმარება აღმოუჩინონ მეშახტეთა შვილებს, რომლებიც „იღუპებიან სიმშილისაგან".

ინგლისი და საფრანგეთი

თემთა პალატა საფრანგეთის ვალის შესახებ

ლონდონი, 20 ივლისი. თემთა პალატაში კამათი საფრანგეთის ვალების გარშემო მიღწეულ შეთანხმების შესახებ გახსნა ლიბერალ ვეჯვუდ ბენმა. აღნიშნა რა, რომ იტალიის დავალიანება ინგლისისადმი აღწევდა (დამახინჯებულია)... 6/7, ხოლო საფრანგეთის ვალი—3/5, **ვეჯვუდ ბენმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ხაზინის კანცლერმა ამ ქვეყნებს არ მოსთხოვა შემცირება შეიარაღებისა, რომელიც ემუქრება ევროპის მშვიდობიანობას.** ორატორი კითხულობს—არის თუ არა ეს შეთანხმება საბოლოო და ქმნის თუ არა ის მტკიცე მდგომარეობას საფრანგეთში.

საგარანტიო მუხლების შესახებ, ორატორმა აღნიშნა, რომ, თუ გერმანიამ არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი, მოგვიხდება პირობების ხელ-ახლა გამომუშავება, რაც ინგლისსა და გერმანიის შორის გამოიწვევს პოლიტიკურ გაუგებრობას.

კონსერვატორ იუნგმა აღნიშნა, რომ, თუ შეთანხმება ბრწყინვალე არ არის, ის, ყოველ შემთხვევაში, გონიერია.

მაკდონალდის მთავრობის ყოფილმა კანცლერმა სნოუდენმა აღნიშნა, რომ ჩერჩილს არ შეუძლია იმის თქმა, რომ ის იცავდა ბალფურის ნოტის პრინციპებს, რადგან მას კონტინენტალურ დებიტორებისაგან არ მიუღია ის თანხები, რომლებიც საკმარისია ინგლის-ამერიკის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

ლიბერალ რენსიმენმა გააკრიტიკა წერილი, რომელიც ჩერჩილმა გაუგზავნა კაიოს გერმანიის მიერ ვალდებულების დარღვევის შესაძლებლობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ კაიოს ტონი გაურკვეველია და არავის არაფერს არ ავალებს.

ჩერჩილმა მთავრობის სახელით საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ კამათის დროს არ ყოფილა იმის ნიშანი, რომ პარლამენტი ჰგმობს მთავრობის მიერ აღებულ კურსს. რაც შეეხება მუხლს გარანტიების შესახებ. საფრანგეთის მთავრობა მოითხოვდა, რათა შეთანხმებაში შეტანილი ყოფილიყო მუხლი, რომელიც საფრანგეთის ინგლისისადმი დავალიანების გასტუმრებას დაუკავშირებდა გერმანიის რეპარაციებს. მთავრობამ გადაჭრით უარყო ასეთი მუხლის შეტანა შეთანხმებაში. საფრანგეთის ერთდროული გადასახადის 12½ მილ. გირ. სტერლინგამდე შემცირება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გადასახადი დარჩება მხოლოდ საფრანგეთის კრედიტზე და არ იქნება დაკავშირებული გერმანიის სარეპარაციო გადასახადებთან.

ჩერჩილი არ ფარავს პალატის წინაშე, რომ ის ამ პუნქტში წავიდა დათმობაზე, მაგრამ ეს დათმობა არ უნდა იქნეს განზოგადებული და არ უნდა იქნეს გამოყენებული ყალბი დასკვნებისთვის. წერილი, ეჭვს გარეშეა, უფლებას აძლევს საფრანგეთს იმ შემთხვევაში, თუ გერმანია სერიოზულად დაარღვევს თავის ვალდებულებებს, აღძრას საკითხი შეთანხმების გადასინჯვის შესახებ. მაგრამ ინგლისის მთავრობას თავისუფლად შეუძლია განაცხადოს, რომ არ არის აუცილებელი შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა, თუ კი მთავრობა დარწმუნებული იქნება, რომ მდგომარეობა ამას მოითხოვს.

ტყვილად გონიათ ზოგიერთებს, რომ ამ შეთანხმების დადების დროს მთავრობის მიზანი იყო ფრანკის და უცხოეთის სხვა ვალიუტების გადარჩენა. ჩერჩილს იმედი აქვს, რომ ვალების თანდათანობით მოწესრიგება და შეთანხმებებზე გადასვლა საუკეთესო გავლენას იქონიებს ევროპის საერთო აღდგენის საქმეზე, მაგრამ ინგლისის მთავრობა ამ საკითხის განხილვის დროს ხელმძღვანელობდა იმით, თუ რა [illegible] სასარგებლო იქნება ინგლისის ინტერესებისთვის.

საფრანგეთის დავალიანება შეერთებულ შტატებისადმი 1925 წლის 15 ივლისს შეადგენდა 827 მილ. გირ. სტერლინგს და ეს ვალი არის არა იმდენად სამხედრო, რამდენადაც ომის შემდეგ აღებული. ამავე დროს საფრანგეთის დავალიანება ინგლისისადმი უდრიდა 557 მილ. გირ. სტერლინგს, გარდა 53 მილ. გირ. სტერლინგისა, რომელიც საფრანგეთის ოქროს სახით ინახება ინგლისის ბანკებში. საფრანგეთის მიერ შეერთებული შტატებისათვის გადასახდელი ფულის ეხლანდელი ჯამი უდრის 412 მილიონს ე. ი. უწინდელი ვალის 49 პროცენტს, ხოლო ინგლისისთვის გადასახდელ ვალის ჯამი—262 მილიონს, ანუ უწინდელი ვალის 47 პროცენტს. მაშასადამე განსხვავება უდრის 2 პროცენტს. ამრიგათ თუ შევადარებთ შეერთებულ შტატებისადმი და ინგლისისადმი დავალიანებას მივიღებთ 6:5:

საბერძნეთში

ახალი კაბინეტი

პარიზი, 20 ივლისი. ათინიდან მიღებული ცნობით, შედგენილია ახალი კაბინეტი ეფტა-ქსი-სის თავმჯდომარეობით. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია რუფოსი.

საბერძნეთის შეთქმულთა გადასახლება

ლონდონი, 20 ივლისი. ათინიდან მიღებული ცნობის მიხედვით, დემოკრატიული ლიდერები კაფანდარისი, პაპანასტასიუ, მიხალოკოპულოს და სხვ. არსებული რეჟიმის წინააღმდეგ შეთქმულობის მოწყობის გამო დატუსაღებულ და გადასახლებულ იქნენ კუნძულ ნაქსოსზე. პანგალოსის მიერ გამოქვეყნებულ პროკლამაციაში ნათქვამია, რომ ვენიზელოსის პარტიის ლიდერებმა გენერალ პლასტირასის მეთაურობით მოაწყეს შეთქმულება არსებული მთავრობის დამხობისა და გენერალ პანგალოსის მოკვლის მიზნით.

ბელგიის მთავრობის ღონისძიებანი

ლონდონი, 20 ივლისი. ბელგიის მთავრობამ დაადგინა სპეციალური გადასახადით დაბეგროს სასტუმროების ანგარიშები და ბელგიაში მცხოვრებ უცხოელების მიერ ნაყიდი საქონელი, ღამის გასართობები აკრძალულია. იხილავენ პროექტს [illegible] გადასახადის დადების შესახებ. დაწესებულია დიდი ჯარიმა იმ პირებზე, რომლებიც ცრუ ხმებს ავრცელებენ ფრანკის კურსის დაცემის მიზნით. [illegible] ვალიუტის გატანა აკრძალულია. სათბობის შემოტანა განსაკუთრებული ნებართვით შეიძლება.

სამი დღე თელავის მაზრაში

(დასასრული *)

თელავის მაზრა წარმოადგენს ჩვენში ერთ იმ მაზრათაგანს, სადაც ყველაზე უფრო შეიძლება გაეცნოს ადამიანი იმ მოვლენებს, რომლებიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ანუ „ნეპ"-ის გავლენის პირდაპირი შედეგია. ჩვენ ვამბობდით, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას უნდა გამოეწვია გლეხკაცობის დიფერენციაცია, ე. ი. მისი დაყოფა სხვადასხვა ფენებად ქონების და სიმდიდრის მხრით. ეს დაყოფა დღეს უკვე ფაქტია. რა ქთმა უნდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ჩვენში არ შეუქმნია მდიდარი და ღარიბ-ღატაკი გლეხი. ესენი უკვე არსებობდენ მანამდიც. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ მხოლოდ ხელი შეუწყო გლეხკაცობის ამ კატეგორიების განვითარებას და ამ განვითარებამ დღეს მიაღწია იმ საფეხურს, როცა ერთი მხრით მდიდარ გლეხებსა და მეორე მხრით ღარიბ-ღატაკ გლეხკაცობას შორის ჩაღდება უკვე ნამდვილი კლასობრივი ბრძოლა. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, უაღრესად საინტერესოა ვიცოდეთ, რაში იხატება ან რა ხასიათს ღებულობს სოფლად დღეს ეს ბრძოლა. მაგრამ საკმარისი არაა, რომ ჩვენ ეს მარტო ვიცოდეთ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამასთანავე ისიც, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ამ ბრძოლის გამოსაყენებლად ღარიბ-ღატაკ გლეხების შესაკავშირებლად და ორგანიზაციულად დასარაზმავად მდიდარ, ღონიერ გლეხების („კულაკების") წინააღმდეგ. ამაზე ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს ჯერ უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ თეორიაში რჩება. პრაქტიკაში ჯერ ამ მხრით არაფერი გაკეთებულა ან თუ გაკეთდა, სულ ცოტა. ამას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება.

ის, რაც ამ მხრით მე ვნახე თელავის მაზრაში, მეტად საგულისხმიეროა. რა თქმა უნდა საბოლოო დასკვნების გამოტანისათვის ჩვენი დაკვირვება საკმარისი არაა; ამისათვის უფრო ღრმა დაკვირვება და შესწავლაა საჭირო. მაგრამ ზოგიერთი ფაქტები იმდენად თვალსაჩინოა, რომ იმათი შეუმჩნევლობა ან უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია.

რომ ჩვენი სოფელი **საერთოდ მოღონიერდა** და ფეხზე წამოდგა, ეს დღეს ყველასათვის აშკარაა. სტატისტიკაც რომ არ მოვიშველიოთ, ისედაც შევამჩნევთ, რომ სოფლად დღეს გაცილებით მეტი იხნება, ითესება, ვინემ ამ რამოდენიმე წლის წინედ. საქონლის რიცხვმაც შესამჩნევად იმატა, როგორც სხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის. ამას შეამჩნევთ უბრალო თვალით, ამას სტატისტიკოდაც კარგად შეამჩნევთ. მაგრამ რაც ყველაზე უფრო მოწმობს სოფლის მოღონიერებას, მის ზრდას,—ესაა **ახალი სახლების აგება სოფლად.** ეს აღმშენებლობა დაიწყო ჩვენ სოფლებში დაახლოვებით ამ 1-2 წლის წინედ, განსაკუთრებით დაიწყო ეს კახეთის სოფლებში.. ყველა ეს ახალი შენობები ეკუთვნის გლეხებს. რა თქმა უნდა, ეს ახალი შენობები ერთი ზომის და ერთნაირი ღირებულების როდია. აქ თქვენ შეხვდებით უბრალო ქოხმახებსაც, რომლებსაც ღატაკი ხალხი აშენებს დიდი გაჭირვებით და ვაივაგლახით. მაგრამ ამ ქოხმახების გვერდით თქვენ დაინახავთ საკმარისად დიდ, ლამაზ და მკვიდრ შენობებს, რომლებიც მოწმობენ, რომ იმათი პატრონები შეძლებული და მდიდარი ხალხია, რომლებმაც არ იცის გაჭირვება. საგულისხმიეროა აქ კიდევ ის, რომ თითქმის ყველა ეს ახალი შენობები, ან იმათი 90-95 % მაინც, **ქვითკირისაგანაა აგებული და დახურული კრამიტით.** ამ უკანასკნელ გარემოებას ხაზი უნდა გაესვას. წავიდა ის დრო, როცა ჩვენი ხალხი დაუზოგველად ჩეხავდა ტყეს, როცა ყველაფერს ხისაგან აკეთებდა. ტყეები ბევრ ალაგას გაიჩეხა, და დღეს ყველა ხედავს იმას, თუ რა ზარალი მოაქვს ამას ხალხისათვის. და აი ხალხი ხის მაგიერ ხმარობს დღეს ქვას, აგურს, კრამიტს, ხეს ხმარობს მხოლოდ იქ, სადაც ეს აუცილებელია. **ყავრით დახურულ სახლს ახლა თქვენ ველარ დაინახავთ კახეთში;** ეს ემჩნევა დუშეთის მაზრაშიაც. შეიძლება ეს საერთო მოვლენა იყოს აღმოსავლეთ საქართველოში, გარდა ბორჯომის რაიონისა და ახალციხის მაზრისა. მაგრამ დასავლეთ საქართველოში ამ მხრით მდგომარეობა მეტად არა სასურველია: სახლების შენებაში იქ კიდევ ხეს აქვს დათმობილი პირველი ალაგი. ქვას, კირს, აგურს და კრამიტს იქ კიდევ არ უჭირავს ის ადგილი, რაც მათ უნდა ეჭიროთ. ჯერ კიდევ ხმარობენ ხეს იქ, სადაც მისი ადგილი შეეძლო დაეჭირა სხვა მასალას. უნდა წარმოიდგინოთ, თუ როგორ ნადგურდება ამის მეოხებით ტყე. ყველაზე უფრო ანადგურებს ტყეს ძველი ჩვეულება—**ყავრის სახურავი.** დროა ბოლო მოეღოს ამას, და მის მაგიერ უნდა მივმართოთ ქვას, აგურს და კრამიტს. ბოლოს და ბოლოს შეიძლება კიდევაც აიკრძალოს სრულიად **ყავრის ახდა,** როგორც ტყის გამანადგურებელი ჩვეულება, რასაც შეუძლია დაატეხოს ხალხს დიდი უბედურება.

როცა ჩვენ დღეს სახლების აშენებაზე ვლაპარაკობთ სოფლად, არ შეიძლება ერთ გარემოებას არ მიექცეს აქ კიდევ ყურადღება. საქმე ისაა, რომ, მართალია, სოფელი შენდება, მაგრამ აქ არ არის არავითარი **გეგმა, არავითარი სისტემა,** მაშინ, როცა შეიძლებოდა და საჭიროც იყო, რომ ამ აღმშენებლობითი მოქმედებას ქონებოდა რაიმე შემუშავებული გეგმა, რაიმე სისტემა. თქვენ ხედავთ, რომ ეს აღმშენებლობა ხდება, ეს სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ სოფელი ისევ ძველებურად მინგრეულ-მონგრეულია, ისევ მოუწყობელი და დაულაგებელი, ისევ გაჭუჭყიანებული, ის ისევ ტალახში იხრჩობა, მას ვერ დაუღწევია თავი სიბინძურისათვის. ყოველივე ეს მოწმობს ჩვენ უკულტურობას და უკან ჩამორჩენას. დროა გამოვფხიზლდეთ, თვალები გავახილოთ და დავინახოთ ის, რაც არის, და რაც არ უნდა იქნეს შემდეგში ამას ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება. ამისთვის სრულებით საჭირო არაა რამე განსაკუთრებული ხარჯების გაწევა; აქ საჭიროა უმთავრესად გაგება და გონიერი ხელმძღვანელობა საბჭოთა ორგანოების მხრით.

საკმარისია სოფლის ზერელე დათვალიერებაც კი, რომ მიხვდეთ, რომ სოფელში გლეხკაცობის **ფენებად დაყოფა საკმარისად შორს წასულა.** სიმდიდრე და სიღატაკე თქვენ აშკარად წარმოგიდგებათ წინ, ჯერ მარტო საცხოვრებელი სახლები რომ აიღოთ. თქვენ აშკარად გეცემათ თვალში: ერთი მხრით დარბაზები, რომლებშიაც მდიდრები და შეძლებული გლეხები ცხოვრობენ, მეორე მხრით კი ქოხები, რომლებშიაც თავს აფარებენ ღატაკი გლეხები.

ფრიად დამახასიათებელი მოვლენა, რომელსაც ახლა ადგილი აქვს კახეთის სოფლებში, კერძოდ თელავის მაზრაში, არის ის, რომ ამ ჟამად ხდება **იერიშის მიტანა ორივე მხრით,** როგორც მდიდრების ღატაკებზე, ისე ამ უკანასკნელების მდიდრებზე. რა თქმა უნდა მდიდრები უფრო გაწვრთნილი, მოქნილი და ტაქტიკის მქონე ხალხია, ვინემ ღარიბნი. ამიტომ მდიდრები თავის გამოსვლების დროს მთავრობის პოლიტიკის ან ღარიბების წინააღმდეგ დიდ სიფრთხილეს იცავენ. ოფიციალურად ისინი ან სრულებით არ გამოდიან, ან თუ გამოდიან, გამოდიან საერთოდ გლეხობის სახელით, კიდევ მეტი—ხშირად ისინი ასეთ გამოსვლების დროს თითქოს უღარიბესი გლეხების ინტერესებს იცავენ. რაც შეეხება ღარიბ-ღატაკ გლეხებს, ისინი კრებებზე ან სრულებით გაჩუმებული არიან, ან პირდაპირ დაურიდებლად გამოდიან მდიდრების წინააღმდეგ. მაგრამ ეს უფრო იშვიათად ხდება. ჩვეულებრივად მოლაპარაკე, ე. ი. **ორატორად, გამოდის სოფლის შეძლებული ხალხი.** პასუხისმგებელ მუშაკს ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილე და ტაქტიკა მართებს. სოფლის გამო[illegible] ამოქმედებას და გამოფხიზლებას ჩვენ ვესალმებით. ყოველივე ეს სწორედ ის არის, რაც კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას სურთ. ეს არის სოფლის ხალხის, გლეხკაცობის სასიცოცხლო ძალების ამოძრავება. ამ ძალების ამოძრავება უნდა იქნეს სავსებით გამოყენებული.

იქ, სადაც გლეხკაცობის დიფერენციაციამ უკვე საკმარისათ იჩინა თავი, გლეხობის უღარიბესი ნაწილი აღარ მალავს თავის უკმაყოფილებას სოფლის „კულაკები"-ს წინააღმდეგ. ამ უკმაყოფილებას საფუძვლად უდევს მიწის არათანასწორად განაწილება, სახელდობრ ის, რომ „კულაკებს" დღემდის აქვსთ შერჩენილი ნორმაზე მეტი მიწა, მაშინ, როცა გლეხების უმრავლესობას ნორმაზე ნაკლები მიწა აქვთ, და გარდა ამისა არიან ისეთებიც, რომელთაც ან სულ მცირე მიწა აქვთ, ან სრულებით არა. ამას უშველის მხოლოდ **მიწათმოწყობა,** რასაც საბჭოთა ხელისუფლება რაც შეიძლება აჩქარებს, მაგრამ გლეხის თვალში ეს მაინც ნელი ნაბიჯით ხდება. რა თქმა უნდა, იქ, სადაც მიწის კანონიერი ნორმა აშკარად დარღვეულია კულაკების სასარგებლოდ, მიწისმოწყობამდეც შეიძლება, რომ ასეთებს ზედმეტი მიწა ჩამოერთვას, მაგრამ შესაძლებელია, რომ ამან გაუგებრობა დაბადოს. ამიტომ ასეთ ზომას შეიძლება მივმართოთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ყველაზე უკეთესი ღონისძიება, რასაც ჩვენ უნდა მივმართოთ დღეს სოფლად უღარიბესი გლეხკაცობის ინტერესების დასაცავად, უკვე ნაჩვენებია მეთოთხმეტე პარტკონფერენციის და პარტყრილობის მიერ,—ესაა თავის **მოყრა და ორგანიზაცია სოფლის ღატაკების, შეკავშირება იმათი სამეურნეო იარაღების, თესლის შეძენის და კოოპერატივის ნიადაგზე,** ერთი მხრით და **საბჭოებში მოქმედების ნიადაგზე,** მეორე მხრით. მხოლოდ ასეთი მიზანშეწონილი და გეგმიანი მუშაობის მეოხებით შევძლებთ ჩვენ როგორც სოფლის ღატაკების ინტერესების დაცვას, ისე სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით წინ წაწევას. ჩვენთვის დღეს აშკარაა, რომ სოფლის შეძლებული, ღონიერი გლეხობა ირაზმება და ილაშქრებს საბჭოების წინააღმდეგ; ილაშქრებს, რა თქმა უნდა, მეტად ფრთხილად, არაპირდაპირი იერიშით, რადგანაც იცის, რომ აქ ბრძოლას იგი წააგებს, არამედ შემოვლით, საშუალო გლეხების თავისკენ მიმხრობით და ხანდისხან ღარიბი გლეხების ინტერესების სიტყვიერი დაცვის მეოხებით. ამას ისინი ჩადიან მეტად მოხერხებულად და, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ჩინებულად. სხვადასხვაგვარი ოინბაზობის საშუალებით ეს ვაჟბატონები საშუალო და [illegible] გლეხობას უბნევენ დავთარს, [illegible] საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ამ მიზნით იყენებენ ხშირად და ბერავენ ამას გაუგებარი გლეხობის თვალში. და ამრიგად აკეთებენ თავის საქმეებს.

აი სწორედ ერთ ასეთ მოქნილ და [illegible] გლეხთან მომიხდა მე საქმის დაჭერა თელავის მაზრის ერთ სოფელში—**ს. თეთრი წყლები**—ესაა მთიანი ადგილი და იქ ცხოვრობენ ხევსურები. ისინი ცხოვრობენ ტყეებში მეტად გაფანტულად, ასე რომ ხშირად სოფელი შესდგება ერთი ან ორი-სამი კომლისაგან. ამათ უჭირავთ შედარებით დიდი ტერიტორია. გზები მათ არა აქვთ და არც შეიძლება რომ ქონდეთ, ვინაიდნა ასეთ პირობებში გზების გაკეთება იმათთვის შეუძლებელია. მაზრის ხელისუფლებას განუზრახავს იმათი შემჭიდროება, ე. ი. სოფლის მოწყობა ერთ ადგილას, სადაც თელავის გზატკეცილი გადის, ეს გაადვილებს სკოლის საქმესაც, კოოპერატივის დაარსებასაც, საექიმო დახმარების მოწყობასაც და სხვ. და სხვ.

ყოველივე ეს შეეფერება, რა თქმა უნდა, სწორედ ღარიბ-ღატაკ და საშუალო გლეხების ინტერესებს. მაგრამ ეს არ შეეფერება მდიდარ გლეხების, კულაკების ინტერესებს. როცა ეს შემჭიდროება მოხდება, მაშინ ბოლო მოეღება იმათ ფარფაშს, მაშინ იმათ ალბად შეუმცირდებათ მიწის რაოდენობაც, ვინაიდან დღეს იმათ სარგებლობაში ნორმაზე გაცილებით მეტი მიწა აქვთ. დღეს, როგორც სჩანს, სოფ. თეთრ წყლებში ხალხი კულაკების გავლენას მოყოლია ქვეშ. ამაში დავრწმუნდი ამ სოფლის ყრილობაზე დასწრებით. აქ სიტყვით მომმართა ერთმა გლეხმა (რომელიც საერთოდ საკმარისად ცნობილი ყოფილა, მაგრამ მე ეს გარემოება არ ვიცოდი მაშინ), და ამ სიტყვაში მან ის აზრი გაატარა, რომ გლეხები არ საჭიროებენ არც დახმარებას და არც ხელმძღვანელობას მთავრობის მხრით. მთავრობა კარგს იზამს, თუ სრულებით თავს დაგვანებებსო. აი რას ამბობდა ეს ვაჟბატონი თავის სიტყვაში, რა თქმა უნდა, ეს აზრი მან გამოთქვა თავისებური მოქნილი ენით. , ასეთი სიტყვის მოსმენა გლეხების წარმომადგენლების მხრით ჩემთვის პირველი შემთხვევაა. მე გაოცებული დავრჩი. თანაც მე არ ვიცოდი არც მისი წარსული, და არც მისი მდგომარეობა ნივთიერი შეძლების მხრით. მაგრამ ჩემთვის აშკარა იყო, რომ საქმე მქონდა ხალხის გამოქნილ მატყუარასთან,რომოელსაც მასთან საკმარისად შეთვისებული ქონდა დემაგოგიური ოინები და რომელიც ახდენდა ხალხზე ერთნაირ გავლენას. ეს სოფლის ტიპიური „კულაკი", **რაც შემდეგში გამოირკვა,** ლაპარაკობდა მთავრობის წარმომადგენლის წინაშე ხალხის სახელით, და უბედურებაც სწორედ იმაში იყო. ღარიბ-ღატაკ გლეხების — „ბელადად" გამოდის სოფლად სწორედ ის ადამიანი, რომელიც მათ კლასიური მტერია და რომელიც მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ატყუილებს და სჩაგრავს, როგორც კი წაახელებს. მე ვუპასუხე ამ ხალხის მატყუარას, როგორც ეკადრებოდა, მე ავუხსენი ხალხს ის, თუ ნამდვილად რას ურჩევდა მას ეს მატყუარა, ერთი სიტყვით ჩამოვხადე ამ უკანასკნელს ნიღაბი, განვუმარტე, რომ ეს ვაჟბატონი არის არა ხალხის მეგობარი, არამედ მისი მტერი. ჩვენი „ბელადი" ამას არ მოელოდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი ოინები ამ შემთხვევაშიაც გასჭრიდა და იგი იძულებული შეიქნა ხმა გაეკმინდა. მაგრამ ეს არ კმარა, მით უფრო, რომ ასეთი „ბელადები" სოფლად დღეს ბლომად მოიპოვებიან. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ადგილობრივ სისტემატიური მუშაობა გლეხებში, უწინარეს ყოვლისა გლეხკაცობის უღარიბეს ნაწილში, მოჯამაგირეებში. არავის ისე კარგად არ შეუძლია ფარდა ახადოს ამ სოფლის მატყუარებს, როგორც ადგილობრივ ღარიბ-ღატაკ გლეხებს. ამიტომ ასეთი მუშაობა აუცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება დროზე იქნას მოწყობილი. ეს ვაჟბატონები **საშიშარი** ხალხია, მათ ათასგვარ პროვოკაციის გავრცელება შეუძლიათ ხალხში, ამიტომ ისინი უნდა ალაგმონ მით, რომ მათ მივუსიოთ თავისივე სოფლის გლეხები.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ სოფლის პირობები უკანასკნელ დროს მეტად გართულდენ, ამიტომ იქ მუშაობაც მეტის მეტად გართულდა. დღეს მარტო მუშაობის ახალ მეთოდებზე როდია ლაპარაკი. დღეს სოფლის მუშაობისთვის და ამ მუშაობის ხელმძღვანელობისათვის საჭიროა **მეტი გამოცდილება, მეტი ცოდნა, მეტი სიფრთხილე.** ვინემ საჭირო იყო ამ რამდენიმე წლის წინედ.

სოფლად მომუშავე და სოფლის ცხოვრების ხელმძღვანელს საკმარისად ნათლად და გარკვევით უნდა ქონდეს წარმოდგენილი ის პოლიტიკა, რომელსაც პარტია და ხელისუფლება ატარებენ დღეს. დღევანდელი ჩვენი სოფლის პირობებში ადვილად შესაძლებელია ჩვენი დღევანდელი მთავარი ამოცანა და მომავალი პერსპექტივა დაჩრდილულ იქნას უფრო ნაკლები მნიშვნელობის ამოცანებით. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვეწევით სოციალისტურ აღმშენებლობას საქმით, სინამდვილეში და არ ვიმეორებთ მარტო სიტყვებს.

ასეთია მოკლედ ის შთაბეჭდილებები, რომლებიც მე მივიღე თელავის მაზრაში ყოფნის დროს და რომელთა გაზიარება მკითხველებისთვის მე საჭიროდ დავინახე.

ფ. მახარაძე.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა პოლონეთში

კონსტიტუციის შეცვლის საკითხი

ვარშავა, 19 ივლისი. დამთავრდა კამათი კონსტიტუციის შეცვლის საკითხის გარშემო. კამათში კომუნისტურ ფრაქციის სახელით მონაწილეობა მიიღო ხოხაცკიმ. დეპუტატთა ხელშეუხებლობის შეზღუდვის საკითხის გარშემო სიტყვები სთქვეს უკრაინის დეპუტატმა პრისტუპამ და გლეხთა დამოუკიდებელ პარტიის დეპუტატმა ბელლინიმ.

საზაფხულო შვებულების გაუქმება

ვარშავა, 19 ივლისი. პილსუდსკიმ განკარგულება გასცა შესწყვიტონ გაცემა სამხედრო საზაფხულო შვებულების, რომელიც ჩვეულებრივად ნებადართული იყო.

პილსუდსკი და გარეშე საქმეთა მინისტრი

ვარშავა, 19 ივლისი. გაზეთი „ვარშავსკა პორანა“ იტყობინება, რომ პილსუდსკთან მომხდარ კონფლიქტის გამო, გარეშე საქმეთა მინისტრს ზალესკის განზრახვა აქვს გადადგეს. გავრცელებულ ხმების მიხედვით გარეშე საქმეთა სამინისტროში დიდი გავლენა აქვს კნოლს, რომელიც ელჩად იყო საბჭოთა კავშირში.

აპრილის დემონსტრაციის მონაწილეთა გასამართლება

ვარშავა, 19 ივლისი. დამთავრდა უმუშევართა აპრილის დემონსტრაციის (ლიუბლინში) 23 მონაწილეთა გასამართლება. ბრალდებულთ მიუსაჯეს ციხე სხვადასხვა ვადით 3 თვიდან 2 წლამდე.

განაჩენის გამოცხადების დროს დამსწრე საზოგადოებამ დარბაზში საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყო.

გაფიცვა ბელოსტოკში

ვარშავა, 19 ივლისი. ბელოსტოკის ფეიქართა გაფიცვა, რომელიც რამოდენიმე დღის წინად დაიწყო, ბელოსტოკის მთელ რაიონს მოედო. სულ გაფიცულია 7.000 კაცი.

კონფლიქტი ლოძის ფაბრიკებში

ვარშავა, 19 ივლისი. ლოძის ზოგიერთ ფაბრიკებში მუშებსა და მწარმოებლებს შორის წამოიჭრა კონფლიქტი, რაც გამოიწვია იმან, რომ მწარმოებლებმა უარი განაცხადეს შეასრულებიათ პარიტეტული კომისიის დადგენილება ხელფასის 12 პროცენტით გადიდების შესახებ.

ბარტელის „დებიუტი“

ვარშავა, 20 ივლისი. მაისის ამბების შემდეგ სეიმში პირველად გამოვიდა ბარტელი, რომელმაც განაცხადა, რომ აუცილებელია ხელისუფლების გაძლიერება. ეკონომიური გაჯანსაღება მოითხოვს ხელისუფლების სისრულეს სწრაფი რადიკალური ზომების მისაღებათ. შემდეგ ბარტელმა აღნიშნა, რომ ივნისში, პირველად რამოდენიმე თვის განმავლობაში, მიღწეულ იქნა ბიუჯეტის წონასწორობა. კურსის მდგომარეობა რადიკალურად გაუმჯობესდა. ზლოტი უდრის 9.20 დოლარი. მთავრობამ დასდო ხელშეკრულება ამერიკელ ფინანსისტების ჰარიმანის ჯგუფთან.

სანახშირო მრეწველობის ექსპორტი ივნისში 1.100.000 ტონას უდრის ნაცვლად მაისის 700.000 ტონისა. უმუშევართა რიცხვი 360.500-დან 300.000-მდე შემცირდა, შემდეგ ბარტელი გადავიდა პოლიტიკურ საკითხებზე და აღნიშნა, რომ განსხვავებულ უნდა იქნეს პოლიტიკური ხაზის დემოკრატიზაცია ნამდვილი დემოკრატიზაციისაგან. ნამდვილი დემოკრატიის ბაზა ესაა ხელისუფლების წონასწორობა, რომელიც საშუალებას აძლევს მთავრობას, რომ ნამდვილად მართოს. მთავრობამ შეიტანა კონსტიტუციის რეფორმის პროექტი.

გადასახადების გადიდება

ბერლინი, 20 ივლისი. პოლონეთის ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომლის ძალით 10%-ით მომატებულია ყველა პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადი; გამონაკლისს შეადგენს 7 მოსავლის კვალობაზე გადასახადი.

ჩინეთის ამბები

ჩინეთის დელეგაცია საბაჟო კონფერენციაზე

პეკინი, 19 ივლისი. პეკინის მთავრობის სხდომაზე არჩეულ იქნა ახალი დელეგაცია საბაჟო კონფერენციაზე. დელეგაციაში შედის 12 კაცი, მათ შორის —ჩჟან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს წარმომადგენლები.

შანხაის პროფკავშირთა საბჭო

შანხაი, 19 ივლისი. ნანკინის საფეიქრო მუშების, მენავეების და რიკშების კავშირებმა გამოაქვეყნეს გაერთიანებული მოწოდება, რომელშიაც მოითხოვენ შანხაის პროფკავშირთა საბჭოს გახსნას.

შანხაი, 19 ივლისი. პროფკავშირთა დელეგატების კრებაზე არჩეულ იქნა პროფკავშირთა ახალი საბჭო. კრებამ წამოაყენა მოთხოვნილება კავშირთა კრებების თავისუფლების, ფაბრიკებში მომუშავე ბავშვების და ქალების შრომის პირობების გაუმჯობესების და უმიზეზოდ დათხოვნის აკრძალვის შესახებ.

კამპანია კანტონის წინააღმდეგ

პეკინი, 19 ივლისი. უ-პეი-ფუმ ხელშეკრულება დასდო იუ-ნანის პროვინციის სამხედრო გუბერნატორთან ტან-ცზი-იაოსთან.

ტან-ცზი-იაომ უნდა დაიწყოს კამპანია კანტონის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ მოხდეს ხუნანის პროვინციაში და უ-პეი-ფუს მომხრეების წინააღმდეგ გაგზავნილ კანტონის ჯარების გადაჯგუფება.

მოითხოვენ ინგლისის კომისარის გადაყენებას

პეკინი, 19 ივლისი. კანტონის საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოითხოვენ ინგლისელ ბელლის გადაყენებას საბაჟოს კომისარის თანამდებობიდან, რადგან ბელლი განზრახ ქმნის კონფლიქტებს.

სუნ-იატ-სენის პორტრეტი კინემატოგრაფში

პეკინი, 19 ივლისი. კანტონის მთავრობის განკარგულებით, კინემატოგრაფის ყოველი სეანსი უნდა იწყებოდეს სუნ-იატ-სენის პორტრეტის დემონსტრაციით.

მდგომარეობა ფრონტებზე ჩინეთში

პეკინი, 19 ივლისი. ჩინეთში მდგომარეობა ფრონტებზე უცვლელი რჩება.

იუწყებიან, რომ სახალხო არმიამ მთებზე გასავლელ ადგილებში მოაწყო ელექტრო - გატარებული მავთულის ხლართი.

გაფიცვა იაპონელთა ფაბრიკებში

პეკინი, 19 ივლისი. დაირენში იაპონელების საფეიქრო ფაბრიკებში დაიწყო გაფიცვა. დაპატიმრებულია მრავალი მუშა, რომელთაც აწამებენ.

ამასთან დაკავშირებით რკ. გზელთა კავშირმა გამოაქვეყნა მიმართვა ჩინეთის მუშების და საერთაშორისო პროლეტარიატისადმი, რომელშიაც მოუწოდებს მათ გაუწიონ დახმარება დაირენის მუშებს.

სტუდენტების დაქორწინების საკითხი

პეკინი, 19 ივლისი. გომინდანის ორგანიზაციის ქალთა განყოფილებამ შანხაიში გამოაქვეყნა პროტესტი სუნ-ჩუან-ფანის ბრძანების წინააღმდეგ, რომელიც უკრძალავს სტუდენტებს დაქორწინებას და აგრეთვე დაუშვებლათ სთვლის ორივე სქესის ერთად სწავლებას.

პროტესტში ნათქვამია, რომ ჩინეთის სტუდენტობა შეეცდება გაუქმებულ იქნეს ეს ბრძანება, რომელიც მიზნად ისახავს ჩინელი ქალის დამონებას.

გაფიცვები

პეკინი, 19 ივლისი. შანხაიში გაიფიცენ ადგილობრივ საფეიქრო ფაბრიკების მუშები, რომელნიც მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას და სამუშაო დღის შემცირებას.

პეკინი, 19 ივლისი. ნახ-იანში ჩინეთის თამბაქოს ფაბრიკაში გაფიცვა დამთავრდა, რადგან ადმინისტრაცია დასთანხმდა სამუშაო ხელფასის გადიდებაზე, უქმე დღეების ანაზღაურებაზე და მუშების სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

კანტონის ჯარები

პეკინი, 19 ივლისი. კანტონიდან იუწყებიან, რომ ახალი წესების თანახმად, საფინანსო და სამოქალაქო ორგანოები მობილიზაციის შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ ემორჩილებიან მთავარსარდალს, რომელიც პასუხისმგებელია ნაციონალურ მთავრობასა და გომინდანის ალმასკომის წინაშე.

მთავარსარდალის ფრონტზე გამგზავრების შემთხვევაში, მისი მოვალეობა გადადის საზოგადოებრივ უშიშროების კომიტეტზე, რომელიც გომინდანის პოლიტბიუროს კანტროლს ექვემდებარება.

ბენეშმა უარი სთქვა დეპუტატობაზე

პრაგა, 19 ივლისი. „ჩეხიის სიტყვა“ იუწყება, რომ ბენეშმა უარი განაცხადა ნაციონალ-სოციალისტურ პარტიის დეპუტატობაზე იმ მიზნით, რომ უხერხულობიდან გამოიყვანა თავისი პარტია, რომელიც ოპოზიციაში იმყოფება.

დემონსტრაცია გერმანიაში

ბერლინი, 19 ივლისი. მიუხედავად აკრძალვისა, ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის განყოფილებამ შპეერში მოაწყო დემონსტრაცია მადენის, საარის ოლქის და გესენის განყოფილებათა მონაწილეობით.

პოლიცია შეეცადა დაეშალა დემონსტრაცია, რამაც გამოიწვია შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის. პოლიციელებმა დემონსტრანტებს დაუშინეს ცემა რეზინის ჯოხებით. დაჭრილია 20-მდე კაცი. მათ შორის არის რამოდენიმე პოლიციელიც.

ამხ. რაკოვსკის გამომგზავრება

პარიზი, 19 ივლისი. პარიზიდან მოსკოვში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ელჩი რაკოვსკი.

შეტაკებები ინდოეთში

ახალი შეტაკება კალკუტაში

ლონდონი, 19 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 18 ივლისს ინდოელთა დღესასწაულის დროს კალკუტაში ხელ-ახლა მოხდა სერიოზული შეტაკებები ინდოელებსა და მუსლიმანებს შორის. პოლიცია იძულებული გახდა აეტეხა სროლა. საავადმყოფოში მოთავსებულია 7 დაჭრილი.

ფარისევლები

ლონდონი, 19 ივლისი. რეიტერის სააგენტო სიმლიდან (ინგლის-ინდოეთის მთავრობის რეზიდენცია) იტყობინება:

მეფის მოადგილემ ინდოეთში ლორდ ირვინმა თავის სიტყვაში, ინდოელებსა და მუსლიმანებს შორის მომხდარ შეტაკებების შესახებ, კატეგორიულად უარყო ის ბრალდება, თითქოს ინგლის-ინდოეთის მთავრობა გულგრილად უყურებს ამ შეტაკებებს ან ხელს უწყობს მათ.

აღნიშნა რა, რომ ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობები ცდილობენ ხელი შეუწყონ მეგობრული ურთი-ერთობის განმტკიცებას ინდოელებსა და და მუსლიმანებს შორის, ლორდმა ირვინმა განაცხადა:

„ინგლისის მთავრობა თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ შეთანხმება იმ ორ სარწმუნოებრივ მიმდინარეობას შორის, რომლებიც არსებობენ ინდოეთში, არის აუცილებელი პირობა, რომლის გარეშე შეუძლებელია ამ ორი ხალხის მიზნების განხორციელება.

თუ ამ ორ მიმდინარეობას შორის შუღლი და მტრობა თან და თან გაძლიერდა და შესუსტდა სრულიად ინდოეთის პატრიოტიზმი, რომლის საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ ინდოეთის სახელმწიფოებრივობის აგებას, მე მაინც ვერ წარმომიდგენია, რომ ინგლისის გენია იძულებული იქნება დამარცხებულათ იცნას თავი ინდოეთში...

ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მდგომარეობასთან, როცა მოსახლეობა იმდენათ გაღიზიანებულია, რომ საკმარისია რაიმე ყალბი ცნობა, რომ შეტაკებამ საყოველთაო ხასიათი მიიღოს და სამარცხვინო ლაქა დასტოვოს სარწმუნოებაზე და ერის ცხოვრებაში“

აღნიშნა რა, რომ შესაძლოა მოწვეულ იქნეს სრულიად ინდოეთის კონფერენცია შექმნილი მდგომარეობის განსახილველად, ლორდმა ირვინმა დასასრულ მოუწოდა ინდოელებს და მუსლიმანებს მშვიდობიანობისა და ახალ შეტაკებების თავიდან აცილებისაკენ.

ინჟენერების გაფიცვა

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. ჩიკაგოს მუნიციპალიტეტის 700 ინჟენერმა გაფიცვა გამოაცხადეს; მოითხოვენ ჯამაგირის მომატებას.

ასეთი გაფიცვა პირველია ჩიკაგოს ისტორიაში. გაფიცვის გამო გაჭირებულია მრავალი საზოგადოებრივი სამუშაოები (მათ რიცხვში ხიდების აშენება), რომელთა საერთო ღირებულება 4 მილ. დოლარს უდრის.

ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტის ინჟენერებმა განაცხადეს, რომ უნდა შეიქნას სამუშაო ხელფასის მომატებისათვის მებრძოლი ასოციაცია.

„ძია შეილოკი“

ბერლინი, 20 ივლისი. „დეილი მეილ“-მა მოათავსა წერილი სათაურით: „ძია შეილოკი“, რომელშიაც იძლევა შეერთებულ შტატების დახასიათებას და ირონიულად აღწერს ამერიკის მონაწილეობას ომში.

დიდი საბჭოთა გადაფრენები

გადაფრენა მოსკოვი—ანგორა

მოსკოვი, 20 ივლისი. 19 ივლისს დილის 2 საათზე ტროცკის სახელობის აეროდრომიდან ანგორაში გადაფრინდა „კრასნაია ზვეზდა“. აეროპლანზე მფრინავი არის მეჟრაუპი, მექანიკოსი—გოლომანოვი.

მოსკოვი, 20 ივლისი. მფრინავი მეჟრაუპი გადაფრინდა მოსკოვიდან ხარკოვამდე 3 საათის და 45 წუთის განმავლობაში. საათში 196 კილომეტრის საშუალო სიჩქარით. ხარკოვიდან სევასტოპოლში გადაფრენა მოხდა საათში 182 კილომეტრის საშუალო სიჩქარით.

მფრინავი მ. პ. შებანოვი

მფრინავი შებანოვი ბერლინში

მოსკოვი, 20 ივლისი. მფრინავი შებანოვი, აეროპლანით „მოსკოვის ავიაქიმი“ ჩაფრინდა ბერლინში. კენიგსბერგიდან გადმოფრენის დროს შებანოვს მოუხდა რამოდენიმეჯერ შეჩერება, მატორის წახდენის გამო. ეს მატორი, რომელიც „მაიბახის“ სისტემის არის 260 ცხენის ძალა აქვს, და უცხოეთშია დამზადებული.

ბერლინი, 19 ივლისი. ბერლინში ჩაფრინდა საბჭოთა კოლონიის სახელით მფრინავს მიეგებნენ საბჭოთა დაწესებულებების, გერმანიის მთავრობის, გერმანიის ავიაციის წარმომადგენლები და აგრეთვე მუშები, რომელნიც საკუთარი ინიციატივით მივიდნენ.

საბჭოთა კოლონიის სახელით მფრინავს მიესალმა საბჭოთა კავშირის ელჩი კრესტინსკი.

ამხ. მოისეევი თეირანში

თეირანი, 19 ივლისი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის სამხედრო ატაშემ ბობრიშჩევმა სპარსეთის არმიის შტაბის უფროსს წარუდგინა მფრინავი მოისეევი და მექანიკოსი მოროზი.

საბჭოთა კავშირის ელჩმა იურენიმა საბჭოთა მფრინავები წარუდგინა პრემიერს მუსტაფაელ-მემალეკს, რომელსაც მოისეევმა გადასცა ამხ. ჩიჩერინის წერილი. პრემიერი მეგობრული სიტყვებით მიესალმა საბჭოთა მფრინავებს.

საბჭოთა მოტორის გამარჯვება

თეირანი, 19 ივლისი. მფრინავმა მოისეევმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: გზაში არავითარი მარცხი არ ყოფილა. მოტორი მშვენივრად მუშაობდა და სამწუხაროა, რომ პეხლევიში მომხდა შეჩერება ქარიშხალის გამო.

მე ყოველთვის უცხოეთის მოტორებზე ვფრინავდი და მოსკოვიდან გამგზავრების წინ არ ვიყავი სავსებით დარწმუნებული, რომ საბჭოთა მოტორი უნაკლოდ აღმოჩნდებოდა. მაგრამ გადაფრენამ დაამტკიცა, რომ საბჭოთა კავშირის ავიაციას შეუძლია იამაყოს თავისი მოტორით, რომელსაც მე უპირატესობას ვაძლევ უცხოეთის მოტორების წინაშე.

თვით აპარატი უფრო მსუბუქი, მაგარი და სწრაფმავალია, ვინემ იმავე ხასიათის უცხოეთის აპარატები. აპარატმა გამოცდა ბრწყინვალეთ ჩააბარა.

მე და მოროზი ძლიერ კმაყოფილი ვართ გადაფრენით და იმ შეხვედრით, რომელიც ჩვენ გაგვიმართეს სპარსელებმა და საბჭოთა კოლონიამ თეირანში. იმედი გვაქვს, რომ უკან გადაფრენასაც წარმატებით ჩავატარებთ“.

სხვადასხვა

ნიაღვრები და სიცხე ევროპაში

სილეზიაში, ვიურტემბერგში და ბადენში მოვიდა არაჩვეულებრივი ნიაღვარი და ქარიშხალი. ცენტრალურ გერმანიაში საშინელი სიცხეებია. ძლიერი ნიაღვრები მოვიდა აგრეთვე ავსტრიაში.

— **ინგლის-ამერიკის კაპიტალი სპარსეთში.** „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი იხილავს რიზა-ხანის დაწვრილებითი გეგმას სპარსეთში გზების გაყვანისა, კერძოდ ახალ რკინის-გზებისა, გზატკეცილებისა, და არხების გაყვანის შესახებ და ასხადებს, რომ სპარსეთის რკინის გზების აღმშენებლობისათვის საჭირო იქნება ამერიკისა და ინგლისის კაპიტალის დახმარება.

— **ინგლისის წარმომადგენლები ერთა ლიგაში.** ბოლდუინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე, ინგლისის დელეგატებათ ინიშნებიან: გარეშე საქმეთა მინისტრი ჩემბერლენი, ინგლისის წარმომადგენელი ერთა ლიგაში სესილი, გარეშე საქმეთა სამინისტროს იურისკონსულტი ჰერსტი, გრაფი სანსლოუ, თემთა პალატის წევრი იუნგი და ლიტლტონი.

— **„მეფის ძმა-ბიჭები“.** პარიზის ერთ-ერთ სადგურზე „მონარქისტი ძმა-ბიჭები“ რიცხვით 40 კაცი თავს დაესხნენ მუშებს და რეველვერებით დასჭრეს 15 კაცი. დაპატიმრებულია 18 „ძმა-ბიჭი“.

— **კატორღა.** დამასკში (სირია) სამხედრო საბჭომ უცხოეთის ლეგიონის 4 ჯარისკაცს სადარაჯოს დატოვებისათვის მიუსაჯა საკატორღო მუშაობა სხვადასხვა ვადით 5-დან 8 წლამდე.

— **ამერიკის ფინანსები.** წინასწარი გამოანგარიშებით, მთავრობის ხარჯები განვლილ 1925—26 წლის აღწევს 3.584.000.000 დოლარს, ხოლო შემოსავალი 3.962.000.00 დოლ. შემოსავალი გასავალს სჭარბობს 378.000.000 დოლარით სახელმწიფოს საშინაო ვალი 1925—26 წლის განმავლობაში შემცირდა 870.000.000 დოლარით.

— **ხანძარი დიუნკირხენში.** დიუნკირხენში (საფრანგეთი) ხანძარმა გაანადგურა პურის საწყობები. ზარალი მილიონ ფრანკამდე აღწევს.

— **ჯარისკაცთა საარჩევნო უფლება.** ჩეხო-სლოვაკიის მთავრობას პარლამენტში შეაქვს კანონპროექტი ჯარისკაცთა საარჩევნო უფლების გაუქმების შესახებ.

— **მოსულის ხელშეკრულება.** ანგორიდან მიღებული ცნობით, დღეს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მოსულის შესახებ.

— **მეფე დაიკარგა.** „დეილი მეილ“-ის ცნობით, ჟენევაში ძლიერ დაინტერესებული არიან იმით, რომ ბულგარეთის მეფის შესახებ არ არის არავითარი ცნობები მას შემდეგ, რაც ის მილანიდან ბულგარეთში გაემგზავრა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საექიმო პერსონალის დასაცავად

მოსკოვი, 20 ივლისი. იუსტიციის სახ. კომისარიატმა გამოსცა ცირკულიარი, რომლის ძალით საექიმო პერსონალის, სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს სიტყვით ან მოქმედებით შეურაცხმყოფელნი მიიცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის იმ მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ 6 თვისა.

გაფიცვა ხე-ტყის სახერხ ქარხანაში

რიბინსკი, 20 ივლისი. სიზოვის კერძო ხე-ტყის სახერხ ქარხანაში პატრონების მიერ კოლექტიურ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის გამო გაიფიცნენ მუშები. ქარხანაში მუშაობა შეჩერდა.

ქარხნის მოიჯარადრე, რომელიც დიდხნის განმავლობაში უარს ამბობდა კოლექტიურ ხელშეკრულების დადებაზე, გაფიცვის გამოცხადების შემდეგ თვითონ გამოცხადდა პროფკავშირში და ხელშეკრულება დასდო კავშირის მიერ წაყენებულ პირობების მიხედვით. გაფიცვა გაგრძელდა მხოლოდ ერთი დღე.

კალია

გროზნა, 20 ივლისი. კალმიკების ველებიდან და დაღესტანის მხრიდან დაიძრა დიდი გროვა კალიებისა. ალმასკომმა საგანგებო კომისია გამოყო კალიასთან საბრძოლველად. მცხოვრებნიც ემზადებიან.

რეისი ახალ მიწაზე

არხანგელსკი, 20 ივლისი. პირველი რეისით ახალ მიწისკენ წავიდა გემი „დეკაფერი“. გზაში გემი გაივლის კუნძულ ვაიგაჩზე.

ექსპედიცია თეთრ ზღვიდან შავ ზღვაში

არხანგელსკი, 20 ივლისი. 16 ივლისს თეთრ ზღვიდან შავ ზღვისაკენ მიმავალ ხომალდებს ჩრდილოეთ ყინულიან ოკეანეში მოუსწრო ქარიშხალმა. ქარის ძალა უდრიდა 10½ ბალს. ტალღები 20 საათის განმავლობაში გემებს ნაფოტებივით ისროდენ.

დილით, 17 ივლისს, ექსპედიცია იყო 35 მილის მანძილზე კუნძულ კოლდინოდან, რომელიც მურმანსკის ახლოს იმყოფება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მოგების განაწილება

ბაქო, 20 ივლისი. აზერბეიჯანის რესპუბლიკის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტრესტების და წარმოებების 1924—25 წლის მოგება ასეთი წესით ნაწილდება:

სარევიზიო კაპიტალში—არა ნაკლებ 25 პროცენტისა. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში— 10 პროც., მრეწველობის გრძელვადიანი სესხის ფონდში—არა ნაკლებ 25 პროცენტისა, ხაზინის სასარგებლოდ შემოსავლის კვალობაზე გადასახადთან ერთად არა უმეტეს 45 პროცენტისა.

ნიაღვარი

ბაქო, 20 ივლისი. 18 ივლისს, ღამით ბაქოში ძლიერი ნიაღვარი მოვიდა. ნიაღვარი გაგრძელდა ერთ ნახევ. საათი და ყველა ქუჩები წყლით აივსო. ზოგიერთ ადგილას წყალი სარდაფებში ჩავიდა. ნიაღვარმა მოძრაობა შეაჩერა.

ნავთის ექსპორტი

ბაქო, 20 ივლისი. ნავთის სინდიკატმა ინგლისის ფირმას „მედვეი ოილ კომპანიას“ 3.400 ტონა ნავთი მიჰყიდა. ფირმა „კორი ბროზერსმა“ იყიდა 25.000 ტონა ნავთი.

სამთამადნო მრეწველობის განვითარება

ბაქო, 20 ივლისი. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა უმაღ. მეურნ. საბჭოს წარმომადგენელს მოხსენება სამთამადნო მრეწველობის განვითარების შესაძლებლობის, დაშკესანის რკინის მადანის დამუშავებისა და აგრეთვე თუთიას, ტყვიის, გოგირდის და დარიშხანას ადგილ-მდებარეობის გამოკვლევის შესახებ.

ბრძოლა კალიასთან

ბაქო, 20 ივლისი. სპარსეთის საზღვარ-გარეთელ მდებარე ადგილებში კალიასთან ბრძოლის მიზნით, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა საკავშირო საშუალებებიდან გადასდო 30.000 მან.

წვიმის გამომწვევი აპარატი

ბაქო, 20 ივლისი. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა განჯაში გაგზავნა ლენინგრადის სამეცნიერო-მელიორაციული ინსტიტუტიდან მიღებული წვიმის გამომწვევი აპარატი, რომლითაც მოახდენენ ცდებს აზერბეიჯანის პირობებში მისი გამოყენებისა.

ახალი დისპანსერი

ბაქო, 20 ივლისი. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საბჭომ, კუსარაში ახალი დისპანსერის გახსნისათვის გადასდო 10.000 მანეთი.

გზების ფონდი

ბაქო, 20 ივლისი. სახ. საგეგმო კომისიამ სცნო, რომ ყველა თანხები, რომლებიც აზერბეიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოდის რკინის გზებზე და ზღვებზე გადატანილ ტვირთის გადასახადისაგან, მთლიანად უნდა შევიდეს რესპუბლიკანურ ადგილობრივ გზების აღმშენებლობის ფონდში.

ნახიჩევანის მხარე

წყალ-საცავის გარღვევა

ნახიჩევანი, 20 ივლისი. სალვარტის წყალ-საცავი, რომლის შესაკეთებლადაც დახარჯულია 8.000 მანეთი, წყლით ავსების დროს გაირღვა; მიზეზი სამუშაოს ტეხნიკური პერსონალის დაუდევრობაა. დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

თათბირი მებამბეობის შესახებ

აზერბეიჯანის მებამბეობის კომიტეტის მოხსენება

აზერ. მებამბეობის კომიტეტის გამგის—ამხ. ჯაფაროვის მოხსენებიდან გაირკვა, რომ ნედლი ბამბის შესყიდვის გეგმა აზერბეიჯანში წარმატებით ყოფილა შესრულებული ყველგან, გარდა ნახჩევანის მხარის და მუღანლოსი, სადაც უწყლობის და მავნებლების გამო ნათესები ძალზე დაზარალებულან. 1925—26 წლის მოსავალი განირჩევა თავისი საუკეთესო ღირსებით. საანგარიშო წელს გადიდებულია ნედლი ბამბის ფასი, რომელიც საშუალოდ უდრიდა 4 მან. და 83 კაპეიკს ყოველ ფუთზე.—ბამბის საშუალო მოსავლიანობა საანგარიშო წელს უდრიდა თვითეულ დესეტინაზე 41 ფუთს. წელს მებამბე გლეხებს დაურიგდათ ავანსები, რომლებსაც გლეხები თავის დროზე ისტუმრებენ. მიმდინარე 1926—27 წლისათვის აზერბეიჯანში დათესილია 94.000 დესეტ. დაუთესელი დარჩა მხოლოდ 1,4%. (ჩვეულებრივ კი დაუთესელი რჩება დაახლოებით 10%).

კამათი

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის და რესპუბლიკანური კომიტეტების მოხსენებათა გარშემო გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა გამოცვლა. ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ხიდირმა ხაზი გაუსვა მებამბეობის საქმის მექანიზაციის საჭიროებას, მისი აზრით, საჭიროა მებამბეობის რაიონებში დაგზავნილ იქნეს, რაც შეიძლება მეტი მანქანა-ტრაქტორები და სხვა სასოფლო სამეურნეო იარაღები.

ამხ. ფიშერი აღნიშნავს, რომ ამ.-კავკასიაში ბამბის მოსავლიანობა არ იზრდება. 1923 წლიდან 26 წლამდე მოსავლიანობა არა თუ გადიდდა,—იკლო კიდეც. წარმატება არ ეტყობა აგრეთვე ბამბის მოწყვის საქმეს. გლეხობასთან კავშირი მოუგვარებელია და სხვა. საჭიროა ღონისძიებები ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ გლეხობა არ ეტანება ბამბის ყანების ხელოვნურ განაყოფიერებას და გასანოყიერებელი მასალის დიდი ნაწილი იზიდება საზღვარ-გარეთ მაშინ, როცა ამ მასალის დიდი ნაკლებობაა თურქესტანში და მებამბეობის სხვა რაიონებში.

სომხეთის წარმომადგენელი ამხ. ალამალიანის აზრით ბამბის საშუალო მოსავლიანობა ამ.-კავკასიაში აღემატება 30—40 ფუთს (ოფიციალური ცნობით), ნამდვილათ მოსავალი უდრის საშუალოდ—60 ფუთს, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს მოსავლის ასეთი მცირე ნორმა გამოყვანილი აქვს იმიტომ, რომ გლეხები ავანსების მიღების მიზნით და სხვა მოსაზრებით მეტს უჩვენებენ, ვიდრე ნამდვილათ სთესენ. ამხ. ალამალიანს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე, რომ მებამბეობის კომიტეტებმა გლეხობას აღმოუჩინონ აგრონომიული დახმარება არა მარტო მებამბეობის, არამედ მეურნეობის სხვა დარგებშიაც.

აგრონომ ტარატინოვის აზრით ბამბის ნაკლები მოსავლიანობის მიზეზი წყლის ნაკლებობა კი არ არის, არამედ ბამბის ყანების დამუშავების უცოდინარობა. ჩვენში ზომაზე მეტს სთესენ, ზომაზე მეტად რწყავენ, მაგრამ ნაკლებ ამუშავებენ ბამბას, როგორც მზის მოყვარულ მცენარეს ზედმეტი მორწყვა დიდათ ვნებს და ხელს უწყობს მავნებლების გამრავლებას. საერთოდ მებამბეობაში საჭიროა მეტეოროლოგიური ცნობებით და ბამბის კულტურის თავისებურებით ხელმძღვანელობა.

სომხეთის მებამბეობის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. რატნერი საჭიროდ სცნობს, გაძლიერდეს ბრძოლა ბამბის მავნებლებთან და ბამბის ყანების ხელოვნური განოყიერება, რისთვისაც გლეხებს უთანადოდ უნდა მიეცეთ როგორც აგრონომიული დახმარება, ისე გასანოყიერებელი მასალა, რომელიც ამ უკანასკნელ დროზე ძალიან ძვირად უჯდება გლეხობას.

ამ.-კავ. მებამბეობის კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. კრიშტაუ აღნიშნავს, საბჭოთა სამეურნეო მანქანების ნაკლებობას მებამბეობის დარგში. გლეხებს აუცილებლად სჭირიათ სანიმუშო-საჩვენებელი მეურნეობა ამ დარგში. თურქესტანის მებამბეობ. კომ. [illegible] აქვს 18 მშვენიერი პლანტაცია, რომელიც დიდათ ხელს უწყობს გლეხური მებამბეობის რაციონალიზაციას.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის წევრი ამხ. ლუზენცევი ამბობს, რომ ა.-კ. მებამ. კომიტეტი არსებობს სამეცნიერო-საცდელ-[illegible] მუშაობისათვის და არა იმისათვის, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს გლეხობას ბამბის მოყვანის დარგში. ეს უკანასკნელი საქმე ეკისრება რესპუბლიკანურ მიწსახკომ. სახ. კომისარიატებს, რომელთაც ამ მუშაობის საწარმოებლათ კომიტეტისაგან ეძლევათ საგანგებო თანხები. ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის ამოცანას შეადგენს: მისცეს გლეხობას ბამბის კარგი თესლი და ასწავლოს მას მუშაობა ამ თესლის აღმოსაცენებლად.

თათბირის დასკვნა

გუშინ, 20 ივლისს, დამთავრდა ა.-კ. მებამბეობის თათბირის მუშაობა. ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, მებამბეობის მთავარი კომიტეტის მიერ ამიერ-კავკასიისთვის თანხების შეუწყვეტელი მიწოდება მიუხედავად ამისა არსებული ფინანსიური სიძნელეებისა. ამასთან ერთად რეზოლიუციაში გამოთქმულია იმედი, რომ მებამბეობის მთავარი კომიტეტი მომავალშიაც გააგრძელებს თანხების შეუწყვეტელ მიწოდებას ამიერ-კავკასიაში მებამბეობის საქმის განსავითარებლად.

ა.-კ. სასოფლო მეურნეობის აღდგენის და განვითარების გეგმა

ა.-კ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება სასოფლო - სამეურნეო სექციის მიერ სასოფლო-მეურნეობის აღდგენის და განვითარების 5 წლის გეგმაში შეტანილ შესწორებების შესახებ. მომხსენებლის ამხ. ვასილევსკის ცნობით საოპერაციო გეგმა 1926—27 წლისათვის უნდა დამთავრდეს 20 აგვისტოსათვის, ხოლო საბოლოოდ დამუშავებული ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა წარდგენილი უნდა იქნეს სექტემბრის შუა რიცხვებისათვის. გენერალური გეგმის წარდგენის უკანასკნელი ვადა არის 1927 წლის აპრილი.

ამხ. გაჯიევსკი შეჩერდა საბჭოთა კავშირის სასოფლო - სამეურნეო სექციის შენიშვნებზე და საჭიროდ სცნო, რომ ა.-კ. აზრი გამოითქვას ორი საკითხის — საფინანსო და საორგანიზაციო საკითხების შესახებ. ამიერ - კავკასიის თავისებურება საჭიროებს სხვა გვარ მიდგომას სასოფლო - მეურნეობისადმი, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა მხარეები.

ამჟამად საბჭოთა კავშირში აღებულია კურსი მრეწველობის განსავითარებლად და კრედიტებიც ამის და მიხედვით იქნება განაწილებული. ამ.-კავკასიაში კი მდგომარეობა სხვაგვარია. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში სასოფლო მეურნეობაში სჭარბობს მარცვლეული კულტურა, ამიერ - კავკასიაში უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ისეთი კულტურების გაშენება, რომელნიც საფუძვლად ედება თვით მრეწველობის განვითარებას. მეურნეობის ასაღორძინებლად საჭირო თანხების ნახევარი დანიშნულია სამელიორაციო სამუშაოებისათვის, რომელიც ძირითადი კულტურის განვითარების წინასწარ პირობას წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირში სასოფლო მეურნეობამ მიაღწია ომის წინა დროინდელ დონეს, აქ კი ამ დონემდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია. ამ მოსაზრების თანახმად ამიერ - კავკასიის სასოფლო მეურნეობის აღსადგენათ შედარებით უფრო მეტი თანხები უნდა იქნეს გამოთხოვილი.

კამათის შემდეგ ა.-კ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა სცნო პირველ ოქტომბრისათვის წარდგენილ იქნეს ცენტრში დასკვნა საკონტროლო ციფრების შესახებ.

ამ დადგენილების მიღების შესახებ ა.-კ. საგეგმო კომისიის სასოფლო - სამეურნეო სექციისთან რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიების წარმომადგენლებთან ერთად შესდგა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი ა.-კ. საგეგმო კომისიისა და რესპუბლიკების საგეგმო კომისიებს შორის უახლოეს წლისათვის საოპერაციო გეგმის შესადგენი მუშაობის განაწილების და ვადების შესახებ.

დაწესებული იქნა აგრეთვე მუშაობის ჩატარების საკალენდარო ვადები.

ფასების დაკლება მანუფაქტურაზე

საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ საფეიქრო განყოფილების კომისიამ შეიმუშავა პროექტი ფასების დაკლებისა მანუფაქტურაზე. ამ პროექტის თანახმად, ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა პირველ აგვისტოდან საფეიქრო ნაწარმოებზე საცალო ფასები უნდა შეამცირონ 10 პროცენტით. ფასების დაკლება აბრეშუმისა და საგალანტერეო საქონლის ნაწარმოებზე სწარმოებს მეკავშირე ორგანიზაციების შეხედულებით.

რათა ადგილებზე საცალო ფასები რეალურათ იქნეს დაკლებული, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში პირველ აგვისტოდან შემოღებული უნდა იქნეს საკალკულაციო და მაქსიმალური ზედნართი ფასები ტრესტების საბითუმო ფასებზე.

საკავშირო რესპუბლიკების შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატებმა წინადადება უნდა მისცენ ადგილობრივ ორგანოებს, რათა ამ უკანასკნელებმა მაქსიმალური საზღვრითი ზედნართი ფასების მიხედვით, შეიმუშავონ საცალო ფასები რაიონების მიხედვით. მაგრამ ეს ფასები არ უნდა აღემატებოდეს დაწესებულს.

ხელის ნაწარმოებზე და შალეულობაზე, მათი ხელოვნური ხასიათის გამო, ნება დართულია ზედნართი ფასის გადიდება არა უმეტეს 5 პროცენტისა.

სხვა დანარჩენ შემთხვევებში ზედნართი ფასის გადიდება შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვით. ზედნართი ფასის გადიდება შესაძლებელია კოოპერატიულ და სახელმწიფო წარმოებათ გამგეობის მეპაიეთა და რწმუნებულთა კრებების დადგენილებით. ეს დადგენილება უნდა წარედგინოს ადგილობრივ შინა-ვაჭრობის კომისარიატს, რომელიც თუ საჭიროდ სცნობს, აწესებს დროებით გადიდებულ საზღვრითი ზედნართ ფასებს და დაუყონებლივ უდგენს ამის შესახებ შესაფერ მასალებს საკავშირო შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს. საქონლის გამტარებელ ნორმალურ ინსტანციათ უნდა ჩაითვალოს ორი ინსტანცია საწყობის ოპერაციებით და არა უმეტეს ორი ინსტანციის სატრანზიტო და საკომისიო ოპერაციებით.

არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა, მანუფაქტურის ყოველ ნაჭერზე მიკრული უნდა იყოს პატარა ბარათი, რომელზედაც აღნიშნული იქნება: 1) ტრესტის ფასი, 2) ქსოვილის განი და სიგრძე, და 3) დატოვებული უნდა იქნეს ადგილი გასაყიდი ფასის აღსანიშნავად.

ტირიფონის ველის დასახლება

დაიწყო მუშაობა ტირიფონის ველზე (გორის მაზრა) საკოლონიზაციო ფონდის გამოსაყოფად და იმ კომლების მდგომარეობის გამოსარკვევად, რომლებმაც მიწ. მოქ. სახ. კომისარიატი წინაშე შუამდგომლობა აღძრეს საკოლონიზაციო ფონდიდან მიწის მიცემის შესახებ.

ტირიფონის ველზე საკოლონიზაციო ფონდათ სულ განზრახულია 3.817 დეს. მიწის გამოყოფა—1.888 დეს. მიწათმოწყობის წესით და 1.434 დეს. სამელიორაციო სამუშაოთა შესრულების შემდეგ. ეს მიწები შესდგება მცირე ურწყავ მიწის ნაკვეთებიდან, უმთავრესად ტირიფონის ველის სამხრეთ ნაწილში. აქედან, ტირიფონის არხის გაყვანის შემდეგ, შესაძლებელი იქნება 1.783 დეს. მიწის მორწყვა, დანარჩენი მიწიდან 1.002 დეს. მეორე და მესამე კატეგორიების მიწებია, 402 დეს. მეოთხე კატეგორიისა. საბოლოოდ ანგარიშით, ზემოხსენებულ მიწებიდან სოფლების მოსაწყობად, გზების გასაყვანად და სხვ. საჭირო ხივრცის გამოკლებით და დარჩენილი მიწების პირველ კატეგორიაზე გადატანით, ტირიფონის ველზე საკოლონიზაციო ფონდათ გამოიჭრება არა უმეტეს 2.200 დესეტინისა.

საქართველოს მიწის კოდექსის თანახმად, გორის მაზრაში საშუალო კომლს უნდა მიეცეს 3 დეს. მიწა, ისე რომ ტირიფონის ველზე, სამელიორაციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ შეიძლება არა უმეტეს 700—750 კომლის დასახლება, ნამდვილათ კი დასახლების მსურველთა რიცხვი ერთი-ხუთად მაინც აღემატება ნავარაუდევ საკოლონიზაციო ფონდს, სახელდობრ, უკვე აღძრულია შუამდგომლობა ტირიფონის ველზე დასახლების შესახებ: სამხრეთ-ოსეთიდან—800 კომლის, ბორჯომის რაიონიდან —200 კომლ., გორის მაზრის დანარჩენი რაიონებიდან—500 კ., ქვიათურის რაიონიდან—1.900 კომლ., რაჭის მაზრიდან—120 კ., ახალციხის მაზრიდან—220 კ., თელავის მაზრიდან—80 კ. და თბილისის მაზრიდან—50 კომლის შესახებ.

ამიტომ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიწათმომწყობმა განყოფილებამ თანამშრომლები გაგზავნა ჩამოთვლილ განცხადებათა ადგილობრივ შესამოწმებლად, ტირიფონის ველზე გადასახლების მსურველთა მიწის სიმცირის მხრივ ყველაზე უფრო გაჭირვებულთა გამოსარკვევად.

აბრეშუმი

საზოგადოება „აბრეშუმმა“ მიმდინარე სეზონში დაამზადა და მეაბრეშუმეებს დაურიგა 90.100 კოლოფი თესლი; წელს შარშანდელთან შედარებით დარიგებულია 12.100 კოლოფით მეტი. საერთო რაოდენობიდან 80 პროც. დამზადებულია საქართველოში, დანარჩენი კი შემოტანილია საზღვარ-გარეთიდან.

მიმდინარე წელში აბრეშუმის თესლის დამზადებას აწარმოებს ქუთაისის და ვანის სადგური. ორივე ეს სადგური ამზადებს 40.000 კოლოფ თესლს. ამას გარდა, 53.000 კოლოფს ამზადებენ კერძო პირები და 7.000 კოლოფს ამზადებს მიწათმოქმედების კომისარიატის საბრეშუმო სადგური ქუთაისში.

ამას გარდა, გადაწყვეტილია საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ იქნეს 10.000 კოლოფი თესლი; საერთოდ, წელს დამზადებული იქნება 110.000 კოლოფი თესლი, რომელიც დაურიგდება მეაბრეშუმე-გლეხებს.

გასული წლის განმავლობაში საზ-ბა „აბრეშუმმა“ დაამზადა 104.000 ფუთი ნედლი პარკი, წელს კი დღევანდლამდე დამზადებულია—126.453 ფუთი და დამზადებული იქნება კიდევ 3.546 ფუთი. ჯერ-ჯერობით სულ დამზადებულია 2.722.716 მანეთის პარკი. პარკის ღირსების მხრივ პირველ ადგილი უჭირავს ქუთაისის მაზრას, მეორე—ლეჩხუმს.

წელს სულ დამზადებული იქნება 130.000 ფუთი ნედლი პარკი, აქედან მიღებული იქნება 48.000 ფუთი ხმელი პარკი. ამ რაოდენობიდან 3.000 ფუთი უკვე შეიძინა აბრეშუმის ტრესტმა, 15.000 ფუთი გატანილი იქნება საზღვარგარეთ, 6.500 ფუთი კი გამოყენებული იქნება ადგილობრივ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

საზ-ბა „აბრეშუმის“ წარმოებებში ამჟამად მუშაობს 8.000 კაცი, აქედან სასეზონო მუშაა—600, დანარჩენი დღიურად მუშაობს. მუშა-ქალების საშუალო ხელფასი უდრის 60 კაპ.—1 მან. 30 კაპ. დღეში. მუშაობენ მხოლოდ ქალები.

საზ-ბა „აბრეშუმმა“ გახსნა თუთის ხეების ხუთი პლანტაცია: ოთხი დასავლეთ-საქართველოში და ერთი ერთი აღმოსავლეთ საქართველოში. ამ პუნქტებს განაგებს გამოცდილი აგრონომი.

სამეცნიერო ექსპედიცია

ძირულაში ჩავიდა გეოლოგიური ექსპედიცია ძირულის ხეობის მთამადნის სიმდიდრეების გამოსაკვლევად. ექსპედიცია უკვე შეუდგა მუშაობას, რომელიც 2 თვეს გასტანს. ექსპედიციაში შედის პროფ. თვალჭრელიძე, გეოლოგი სმირნოვი და სამთამადნო დარგის ლიც 2 თვეს გასტანს. ექსპედიციაში გი სმირნოვი და სამთამადნო დარგის სტუდენტი ვ. ციცქიშვილი.

ენგურის ადიდება

კოკისპირული წვიმების გამო ენგური გადმოვიდა ნაპირებიდან. გადარეცხილია ყველა ყანები მდინარის ნაპირებზე ჯვარიდან მორიათამდე. წაღებულია ყველა ხიდები, შამკონახის ბორანი, რკინის-გზის დროებითი ხის ხიდი და გამზადებული ხე-ტყის ნაწილი. ენგურის შენაკადმა მაგანამ წაიღო ორი წისქვილი და შენობები 8 გლეხის ეზოდან ჯვარში და [illegible]. ზარალის რაოდენობა ირკვევა.

შაქარი

თბილისის საქონლის ბირჟის საპროდუქტო სექციის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი შაქრის ტრესტის ალაფების შესახებ.

გამოირკვა, რომ ტრესტს თბილისში აქვს ორი ალაფი და აქედან კერძო მეწვრილმანეებზე შაქრის გაცემის პირობები გაცილებით უკეთესია, ვინემ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე. იმდენად მძიმეა უკანასკნელთათვის ეს პირობები, რომ შეუძლებელს ხდის შაქრით ვაჭრობას.

ამის გამო სექციამ სცნო, რომ შაქრის ტრესტის ალაფების არსებობა დღევანდელ ფასების დროს მიზანშეუწონელია და შესაძლებელია მათი შეცვლა არსებულ მოვაჭრე სახელმწიფო ორგანიზაციების სავაჭრო წერტილებით.

პარტიული ცხოვრება

მუშაობა „ვიდვიჟენცებს“ შორის

მუშების და გლეხების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე წამოყენება ს. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციაში, რომელიც აერთიანებს ქ. თბილისის ტერიტორიის და მაზრის 12 თემს, დაიწყო 1923 წლიდან. ამ დროიდან დაწყებული 1925 წლის 1 ოქტომბრამდე თბილისის ორგანიზაციაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენებულია 220 ამხანაგი, რომელთაგან პარტიის წევრია—123, კანდიდატი—13, კომკავშირელი—8, უპარტიო—76, კლასიური მდგომარეობის მიხედვით—მუშა—131, გლეხი—17. ეროვნების მიხედვით—ქართველი—95, სომეხი—66, რუსი—37.

1925 წლის ოქტომბრიდან 1926 წლის აპრილამდე წამოყენებულია 45 ამხანაგი; აქედან პროფმუშაობის დარგში—19, საბჭოთა ადმინისტრატიულ მუშაობის დარგში—3, სამეურნეო დარგში—8 და პარტიულ მუშაობის დარგში—13.

მუშების და გლეხების წამოყენების საკითხების გადაწყვეტას ასრულებენ უმთავრესად პარტუჯრედები, რომელნიც ამ დარგში მუშაობას უთანხმებენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ან საბჭოს ფრაქციებს.

უმრავლეს შემთხვევაში ამხანაგების წამოყენების ინიციატორნი არიან უშუალოდ უჯრედები და საერთოდ პარტიული ორგანოები.

ცალკე ამხანაგების მიერ ამა თუ იმ ამხანაგის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენების შესახებ წინადადება აღრიცხული არ არის.

შემოღებული სისტემა — „ვიდვიჟენცების“ მიერ უჯრედების სხდომებზე ანგარიშის წარდგენა და „ვიდვიჟენცების“ პირად საქმეების შესახებ დაგროვილი მასალა პარტორგანოებს საშუალებას აძლევს შეაფასოს ამა თუ იმ წამოყენებული ამხანაგის მუშაობის უნარი და დროზე მოხსნას ისეთი, რომელიც ვერ ამართლებს დაკისრებულ მოვალეობას.

სპეციალური მუშაობა „ვიდვიჟენცების“ მოსამზადებლად არ წარმოებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თბილისის ორგანიზაციის მიერ თბილისის სამს რაიონში მოწყობილ „ვიდვიჟენცების“ ცალკე თათბირებს, რომელთაც პარტორგანოებს მისცეს ძვირფასი მასალა „ვიდვიჟენცების“ ღირსების, მათი წარმოებაში მონაწილეობის, „ვიდვიჟენცების“ სპეცების ურთიერთობის მუშაობის პირობები და სხვა.

„ვიდვიჟენცების“ მიერ უჯრედების სხდომებზე და აგრეთვე თათბირებზე გაკეთებულმა საანგარიშო მოხსენებებმა გამოააშკარავეს შემდეგი დამახასიათებელი მომენტები: შემჩნეულია ზოგიერთი პარტიულის მხრივ ინტრიგა „ვიდვიჟენცების“ წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთა ინიციატივის ჩახშობა ზოგიერთი სპეცების მიერ პარტიული და პროფესიული ორგანოების მხრივ—„ვიდვიჟენცების“ მუშაობის ხელმძღვანელობის უქონლობა; თუმცა ამ მოვლენებს არ აქვთ მასიური ხასიათი და არ წარმოადგენენ საფრთხეს მუშათა და გლეხთა წამოყენების საქმისათვის. „ვიდვიჟენცების“ საანგარიშო მოხსენებაში მთავარი ადგილი უჭირავს წარმოებათა რაციონალიზაციის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების და სხვ. საკითხებს. ამგვარად უნდა აღინიშნოს, რომ „ვიდვიჟენცების“ გავლენა წარმოებასა და სახელმწიფო აპარატზე ნაყოფიერი და მნიშვნელოვანია.

მუშათა და გლეხთა წამოყენების დარგში მუშაობის ხელმძღვანელობა ნაკისრები აქვს საორგანიზაციო გამნაწილებელ განყოფილებას და სარაიონო კომიტეტებს. მათ მუშაობის შესახებ ანგარიშები მოიპოვება 1923 წლიდან მაგრამ სრული არ არის.

„ვიდვიჟენცების“ აღრიცხვა პირადი საქმეების წარმოების და დამახასიათებელი მასალების დაგროვების მიხედვით და აგრეთვე იმ პირთა აღრიცხვა, რომელნიც საპასუხისმგებლო საქმეებზე არიან წამოსაყენებელი, დაიწყო 1925 წლის დამლევიდან.

მიღებული გამოცდილების მიხედვით დამტკიცებულია, მუშა-გლეხთა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე წამოყენება მიზანშეწონილი გამოდგა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად.

უფრო სუსტად არის მუშათა და გლეხთა წამოყენების საქმე საფინანსო, კოოპერატიულ და სავაჭრო დარგებში. უახლოეს პერიოდისათვის მუშათა და გლეხთა წამოყენების საქმეში მთავარ ამოცანად უნდა ჩაითვალოს:

იმ პირთა აღრიცხვის საქმის დაყენება, პირადი საქმეების შემოღების და ამ საქმეების შესწავლის საშუალებით, რომელნიც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უნდა დაინიშნონ, სახელმწიფო და პარტიული აპარატების მბრძანებელი სიმაღლეების მწვერვალების „ვიდვიჟენცებისათვის“ გეგმაშეწონილი და თანდათანობით ჩაბარება; „ვიდვიჟენცების“ მომზადება და პარტიულ ორგანოების მიერ მათი აღრიცხვა და შესწავლა.

მუშათა და გლეხთა წამოყენების საქმეში მთელ მუშაობას საფუძვლად უნდა ედებოდეს პარტიული და პროფესიული უჯრედები. პარტკომების საინფორმაციო განყოფილებებმა სპეციალურად უნდა დაამუშაონ მასალები, რომელნიც „ვიდვიჟენცებს“ შეეხებიან იმ მიზნით, რომ თავის დროზე ეცნობოს პარტკომებს ადგილებზე წამოყენების დარგში შემჩნეული ავადმყოფური მოვლენები, ს. კ. პ. თბილისის განყოფილებისათვის მიმდინარე 26 წელი უნდა ჩაითვალოს სერიოზულ მუშაობის დასაწყისად.

გორის პარტკომის ქალთა განყოფილების მუშაობა

გორის მაზრის ქალთა განყოფილება აწარმოებს ამჟამად სდელეგატო პუნქტების მუშაობის გამოკვლევას. მუშაობის ნორმალურად წარმოებას აძნელებს შტატის სიმცირე, რასაც თავის დროზე უნდა მიექცეს ყურადღება, ვისთანაც ჯერ არს. ზოგიერთ თემებში მუშაობა სწარმოებს თემკომის მდივნების და უჯრედებიდან გამოყოფილი ორგანიზატორების საშუალებით. გორის მაზრაში არის დაარსებული ქალთა ცხრა არტელი ბოსტნეულობის, აბრეშუმის მოსაყვანი და სხვა. დელეგატი ქალები მუშაობენ წრეებში და კლუბებში. კუთხეების მუშაობა იქ ძლიერ სუსტია, რაც დიდ ნაკლათ უნდა ჩაეთვალოს გორის მაზრის ქალთა განყოფილებას. მუშაობას მოზარდ ქალებს შორის აფერხებს სათანადო მასალების უქონლობა, რასაც დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. გორის მაზრაში ზამთრის განმავლობაში წერა-კითხვა შეისწავლა 120 ქალმა. სხვადასხვა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებათ ითვლება გორის მაზრაში 20 დელეგატი ქალი. დელეგატი ქალები იწერენ გაზეთებს, ჟურნალებს კითხულობენ და ავრცელებენ მას. აგრეთვე სწერენ გაზეთებში, უშვებენ ადგილობრივ კედლის გაზეთს და სხვა.

მშრომელი ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით მაზრაში დაარსებულია საბავშო სახლი და ბაღები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუშაობა ვერ მიმდინარეობს წესიერად. ეს სახლები და ბაღები ვერ არიან უზრუნველყოფილი ნივთიერად, რაც აფერხებს მათ მუშაობას.

ს. ჩხენკელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გამსვლელი სესია სვანეთში

მესტია. 20 ივლისი. მესტიაში დაიწყო დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამსვლელი სესიის სხდომები. მცხოვრებნი დიდ ინტერესს იჩენენ სასამართლოს სხდომებისადმი.

სვანეთის კომკავშირი სამუშაოზე

მესტია, 20 ივლისი. სვანეთის გზის გასაყვანი სამუშაოები დაამთავრეს მესტიის, ლენჯერის, ლატალის და [illegible] კომკავშირის უჯრედებმა. ყველა ისინი სამუშაოდ იგზავნებიან ლენხერის ხიდზე.

სუბტროპიკული ნამყენები

ოზურგეთი, 20 ივლისი. 1924—25 წლის ზამთარში ყინვების დროს განადგურებულ სუბტროპიკული ნამყენები (მანდარინის, ლიმონის და სხ.) რიცხვიდან გლეხებმა აღადგინეს საშუალოდ 15 პროც. ამ ნამყენებიდან მოსავალი უნდა მოვიდეს 1928 წელში.

თამბაქოს პლანტაციებზე

ოზურგეთი, 20 ივლისი. თამბაქოს მდგომარეობა ნათესების მავნებლების წინააღმდეგ კამპანიების ჩატარების შემდეგ, დამაკმაყოფილებელია.

საბჭოთა სასტუმრო

ახალ-ქალაქი, 20 ივლისი. კომუნალური განყოფილება ამთავრებს საბჭოთა სასტუმროს შენობის აგებას.

მომჭირნეობის რეჟიმი

ქუთაისი, 20 ივლისი. მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი კომისია, რომელიც არჩეულ იქნა სამაზრო კომიტეტის მიერ 9 კაცის შემადგენლობით, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულის თავმჯდომარეობით უკვე შეუდგა მუშაობას. კომისიამ გამოიმუშავა მუშაობის გეგმა. შესწავლილ უნდა იქნან ყველა დაწესებულებანი, წარმოებანი და კოოპერატიული ორგანიზაციები. ადგილებზე იწყობა დამხმარე უჯრედები. მუშავდება პრაქტიკული ღონისძიებანი და შესაფერი დირექტივები. კომისიის თავმჯდომარემ მოხსენება გააკეთა მომჭირნეობის რეჟიმზე ქუთაისის სამაზრო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე და კომუჯრედის კრებაზე.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დარღვევა

ქუთაისი, 20 ივლისი. „საქართველოს ბამბის“ ბამბის გამწმენდმა ქარხანამ დასავლეთ საქართველოს პროკურორს მიმართა დახმარების აღმოსაჩენად გლეხების წინააღმდეგ, რომელნიც ბოროტად იყენებენ ხელშეკრულებებს.

გამოირკვა, რომ დადებულ ხელშეკრულებების ბოროტად გამომყენებელნი და დამრღვევნი, რომელთაც ავანსები აქვთ მიღებული, უმთავრესად არიან კულაკური ელემენტები. განსაკუთრებით ეს მოვლენა შემჩნეულია ამაღლების და ზეკარის რაიონებში.

პროკურატურამ ქარხანას აღუთქვა დახმარება,—ამ საქმეების საჩქაროდ გარჩევით სასამართლოს ინსტანციებში.

ბამბის კამპანია

ქუთაისი, 20 ივლისი. ქუთაისის ბამბის ქარხანამ კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით ხელშეკრულება დასდო გლეხებთან 1.125 დესეტინაზე ბამბის დასათესად და ავანსად გასცა 20 მანეთი თვითეულ დესეტინაზე. ეხლა ჩატარებულ იქნა ხელშეკრულების შესრულების შემოწმება და გამოირკვა, რომ კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა ხელშეკრულება დასდვეს გლეხებთან 820 დესეტინის დასათესად.

საერთოდ უნდა აღინიშნულ იქნას, რომ წრეულს ბამბის საქმისადმი გლეხების ინტერესი ძლიერ მატულობს.

ქუთაისის მაზრის რაიონში არის 250 დესეტინამდე დათესილი ბამბა, ავანსის მიუცემლად.

ნათესების მდგომარეობა

ქუთაისი, 20 ივლისი. ნათესების მდგომარეობა ა.-წ. 15 ივლისისათვის 5 ნიშნიანი სისტემის მიხედვით გამოიხატება შემდეგ ციფრებში: სიმინდი—4.0, (რომელმაც გაუმჯობესება მოგვცა ივნისის თვესთან შედარებით 0,3 ნიშნით). ბაღები—3.0 (აქ მდგომარეობა გაუარესდა ძლიერი ქარების გამო. პირველ ივლისისათვის ბაღები შეფასებული იყო 3.6 ნიშნის მიხედვით), ვენახი—4.2; ბამბა—3.0; თხილი—3.3; ბაღჩა—3.3; ბოსტნეული—3,4. საზაფხულო ხორბალი ყველგან მომკილია.

წერილები

მანგლისის საბავშო სანატორიუმი

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას მანგლისში ორ წელზე მეტია გახსნილი აქვს საბავშო სანატორიუმი. მთელ საკავშირო რესპუბლიკაში ორი საბავშო სანატორიუმია: ერთი ყირიმში, მეორე კი საქართველოში, სახელდობრ: მანგლისის სანატორიუმი.

ამჟამად მანგლისის სანატორიუმში მოთავსებულია 33 ბავშვი,—6-დან 16 წლამდე.. სანატორიუმი გაშენებულია ფიჭვნარში საუკეთესო ადგილზე. ბავშვები უმეტესი ნაწილი უპატრონო და ქუჩაში შეგროვილთაგან შესდგება, მცირედი ნაწილი კი მშობლებიანია,—მუშებისა და საბჭოთა მოსამსახურეების შვილები. 33 ბავშვიდან, 26 დუშეთის საბავშო ახალშენიდან არის. ისინი ფიზიკური სისუსტის გამო, მანგლისის სანატორიუმში იქნენ გაგზავნილი გასაჯანსაღებლად.

ბავშვების კვება შემდეგნაირად სწარმოებს: დილის რვა ნახ საათზე ჩაი, კარაქით, შემდეგ ექიმის დათვალიერება, 9-დან 11 საათამდე—მზის ვანების მიღება ექიმის დანიშვნით, დღის 1-ლ საათზე სადილი. შემდეგ აუცილებელი 2 საათი მოსვენება საწოლებზე დაწვენით; დაწვენების შემდეგ ფიჭვნარში სეირნობა საღამოს 5 ნახ. საათზე საუზმე, 8 საათზე კი ვახშამი, შემდეგ ძილი.

ბავშვებს უვლის განსაკუთრებით მათთვის დანიშნული შტატი მოსამსახურეებისა, რომელთა შორის არიან ერთი ექიმი-ზედამხედველი, სამი თერძალი, სამი ძიძა, ბავშვებისათვის განსაკუთრებული აღმზრდელი. სამზრო ნაწილის გამგე, დიასახლისი, სამზარეულოში მოსამსახურე პირები და სხვ. მანგლისის საბავშო სანატორიუმი ზაფხულ-ზამთარ არსებობს: ბავშვები აქ არიან მანამდი, სანამ სრულიად არ განიკურნებიან. განკურნების პროცესი კი გრძელდება 2—3 თვე. ყოფილა შემთხვევა, როცა მომაკვდავი ბავში აქიდან სრული ჯანსაღი წასულა 2 თვის ყოფნის შემდეგ.

სანატორიუმში არის სხვადასხვა გასართობები: წიგნები სხვადასხვა ენებზე, ჟურნალები, პიანინო და საბავშო სათამაშოები. მეტი ნაწილი ბავშვებისა ქართველებია და დანარჩენი სხვა ეროვნებათა.

რაც შეეხება სანოვაგეს, უნდა ითქვას, რომ ის ყოველთვის საღია და კარგი ხარისხის, საჭმელი მზადდება ექიმის მეთვალყურეობით და ზედამხედველობით. ბავშვები ყოველთვის იკვებებიან სხვადასხვა ხორცეულით. დღეში ეძლევათ ¼ გირ. მეტი თეთრი პური, რძე, მაწონი, კარაქი, ხანდამოშვებით რძის ფაში და სხვ. კვერცხს ბავშვები არ ღებულობენ, მაგრამ სამაგიეროდ კვერცხს ურთავენ წვნიან საჭმელში; რაც შეეხება პურს, მისი პორცია უნდა ჩაითვალოს მცირედ, რადგან კლიმატიური პირობების გამო, ბავშვებს ჭამის მადა ძლიერ კარგი აქვთ და კარგი იქნება, თუ თბ. აღმ. ჯანმრთელობის განყოფილება გამონახავს წყაროს და მანგლისის სანატორიუმის ბავშვებს პურის პორციას 1 ნახ. გირვანქამდე გაუდიდებს. მოსამსახურენი ბავშვებს კარგათ უვლიან.

საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავს საერთოდ მშრომელთა ჯანმრთელობისათვის; განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ მანგლისის საბავშო სანატორიუმს უჭირავს მთელ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაში. ამისათვის საჭიროა ამ სანატორიუმის გასაფართოებლად გამოინახოს საჭირო თანხა და ის მოწყობილ იქნას უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე ესაა, რომ შეიძლებოდეს არა თუ უპატრონო ბავშვთა კლიმატური მკურნალობა, არამედ მუშა-მოსამსახურეთა ავადმყოფ ბავშვების ნაწილის სანატორიუმში მოთავსება და მკურნალობა.

განსაკუთრებული მადლობის ღირსია თბ. ჯანმრთელობის განყოფილება ამ სანატორიუმისათვის.

მეუჯკორი ყ—ნი.

წერილებიდან

მუხური (ზუგდ. მაზრა)

გზები არავარგა. ზემო სამეგრელოს გლეხობისათვის სენაკ-მუხურის გზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სამეგრელოს ამ ნაწილის მოსახლეობა ეკონომიურად მჭიდროდ დაკავშირებულია ქ. ახალ-სენაკთან. გლეხს, რაც კი აქვს თავის ზედმეტი ნაწარმოები, ამ ქალაქის ბაზარზე ჰყიდის და ამიტომ გზაზე ყოველდღე დიდი მოძრაობაა.

სამწუხაროდ, ეს გზა ძალიან გაფუჭებულია. ბოგირები და ხიდები სულ არ არის და თუ ცუდი ამინდი შეხვდა, მგზავრი იძულებულია ტვირთით მუხლამდის იაროს ტალახში. ამას კიდევ როგორმე გადაურჩება კაცი, რომ მდინარეები არ იყოს მისი ჯანის გამტეხი. ოჩხომურისა და ზანას ადიდებისას, მგზავრები რამოდენიმე დღეს ელოდებიან ნაპირზე მათ დავარდნას.

ამ გზის ნახევარი ეკუთვნის სენაკს, ხოლო მეორე ნახევარი ზუგდიდის მაზრას ეკუთვნის. ჯერ-ჯერობით არც ერთი მათგანი არ სცდილობს მის შეკეთებას. ამ გზის ასე უყურადღებოდ დატოვება შემდეგში დაუშვებელია. ჩვენ მივაქცევთ ამაზე საქართველოს გზა-ტკეცილების სამმართველოს ყურადღებას და მისგან მოველით ხსნას.

ი. მიჯაშვილი.

წავკისი (თბილისის მაზრა)

აღმშენებლობა ჩვენს სოფელში. დღემდის წავკისში არ იყო წყალსადენი და გლეხები დიდათ შევიწროებულნი იყვნენ ამის გამო. თემაღმასკომმა მიაქცია ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და შეუდგა მუშაობას. ეხლა წყალსადენი უკვე გამოყვანილია და გლეხებს სახლში მიუდით წყალი. ჩვენს სოფელში არის ქოხ-სამკითხველო, რომელთანაც კლუბია დაარსებული. კლუბს ცოტაოდენი შეკეთება სჭირდება. თემაღმასკომი ალბათ ამ საქმესაც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს.

ნიავი.

ს. ქინჩხა (ქუთ. მაზ.)

ნადირობა ძაღლებზე. ჩვენი სოფელი მთაშია, ნადირი ხშირად ეცემა ხოლმე მცხოვრებლებს.

მხეცისაგან თავის დასაცავად მცხოვრებთ ჰყავთ ძაღლები. ცხადია, ძაღლი თვითეული გლეხისათვის აქ დიდათ საჭიროა. ამას წინად სოფელს „ესტუმრა“ ერთი მილიციელი (გვარი ვერ გავიგეთ) თავის „კარაბინით“. ამას რა თქმა უნდა, ძაღლებმა ყეფა დაუწყეს. ამ „ვაჟკაცმა“ გადმოიღო თოფი და მოკლა დიმიტრი ჯაიანის ძაღლი. ხონის რაიონულ მილიციის სამმართველოს უკვე აცნობეს ეს ამბავი. ვნახოთ რა ზომებს მიიღებს ის ძაღლებზე მონადირის წინააღმდეგ.

ზ.

მუშათა ცხოვრება

მუშა ვანოს თავგადასავალი

(ერთი სურათი სინამდვილიდან)

მუშა ვანო სტამბაში დიდი ხნის შავ მუშად ითვლებოდა. ჯერ კიდევ ნეტარხსენებულ ნიკოლოზის დროს, როცა მანქანებს ხელით აბრუნებდენ, ისიც სხვებთან ერთად თავჩაქინდრული ატრიალებდა საბეჭდი მანქანის ჩარხს და ოფლში იწურებოდა. მან იცოდა, რომ სტამბაში მუშაობს, მაგრამ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა სტამბის მნიშვნელობაზე. მოვიდოდა შაბათი თუ არა, სამი—ოთხი მანეთი ავანსი და მისი ჯანი! მერე ჯამაგირის დარიგების დროს ანგარიშს როცა გაუსწორებდენ, ისიც ორიოდე გროშით ბუზღუნით დაღალულ-დაქანცული წყალობას სარდაფში შეივლიდა, მეღვინეს ნისიას გაუსწორებდა, „მალარიის“ გადააკვრევინებდა მიკიტანი კეთილსინდისიერობისთვის და ვანოც ცარიელ-ტარიელი ბრუნდებოდა თავის ცოლშვილში, რომლებიც მშივრები ელოდებოდნენ მის შინ დაბრუნებას...

გადატრიალდა ნიკოლოზის ტახტი თუ არა, ვანომაც თვალები აჭყიტა და იმედით დაუწყო მომავალს ყურება. ვანო უკვე მანქანას ხელით აღარ ატრიალებს; ჩარხის მაგიერ მის მანქანას ერთი პატარა მოტორი მიუდგეს, ზედ ბრტყელი ტყავი გაუკეთეს და ელექტრონის საშუალებით მანქანაც ახრიალდა, რაც უსაზღვრო სიხარულს იწვევდა ვანოში. ხუმრობა ხომ არაა, იმდენი ხანი მას წელი მოსწყდა ჩარხის ტრიალით და დღეს კი მოსვენებულად გრძნობს თავს,—მის მაგიერობას პატარა ელექტრონის მოტორი ასრულებს!

თუმცა ვანომ გულში გაიფიქრა არ დამითხოვონო, მაგრამ ის მაინც სტამბაში შავ მუშად დასტოვეს და ჩარხის ხელით ტრიალის მაგიერ აწყობილი ფორმების გადაზიდ-გადმოზიდვა და რეცხვა დააკისრეს, რასაც იგი სინდისიერად ასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ ვანოს ცოტა გადაკვრა უყვარდა, ის მაინც სამუშაოს არასოდეს არ აკლდებოდა და ყოველთვის თავის ადგილზე იმყოფებოდა. სტამბაში ყოფნის დროს ის მოწინავე მუშებში ტრიალებდა და სრულიად წერა-კითხვის არ მცოდნემ, კარგად შეითვისა გაზეთების და წიგნების კითხვა მცოდნე ამხანაგების დახმარებით, რომლებიც ვანოს პოლიტიკურ საკითხებსაც უხსნიდენ და სოციალიზმზედაც ხშირად ებაასებოდენ.

ნიკოლოზის გადასკუპებას თან მოჰყვა მენშევიკ-ესერების ტახტზე დასკუპება, არსებითად მუშების საკეთილდღეოდ არაფერი ცვლილება არ მომხდარა და ვანოსაც არაფერი შემატებია. თუმცა სულ ერთობაზე და ძმობა-თანასწორობაზე გაჰკიოდენ, მაგრამ მუშები უარეს პირობებში ჩავარდნენ. რაც ვანოს ძლიერ აბრაზებდა და ბოღმით გულს უსივებდა; ის ხშირად ჩაფიქრებული იყო და ამხანაგებს შესჩიოდა:

— მუშებისათვის არც გათენებულა და არც გათენდება!

— არა უშავს-რა, ვანო! სულ ხომ ასე არ იქნება, ამათაც ბოლოს მოუღებთ შეერთებული ძალით და მუშებისათვისაც მაშინ გათენდება!—აიმედებდენ ვანოს მოწინავე მუშები და იმედს უნერგავდენ მას მომავალი გამარჯვებით.

დიდხანს არ გაუვლია, რომ მენშევიკების ბატონობასაც წყალი შეუდგა; მათაც ბარგი-ბარხანის შეკვრას მოჰკიდეს ხელი და ბათომისაკენ მოჰკურცხლეს, რომ უკანაც არ მოუხედიათ ბოლშევიკების მოახლოების შიშით.

ვანოსაც ეს უნდოდა. მან ყურები ცქვიტა და თოფით ხელში საბჭოთა წყობილების სადარაჯოზე დადგა. ქუჩებში მის ყურადღებას იპყრობდა კედლებზე გაკრული პლაკატები და გაზეთები, რომლებითაც უხვად იყო აჭრელებული ყველა თვალსაჩინო ადგილები საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში. თუ მენშევიკების დროს მას საშუალება არ ჰქონდა გაზეთები გამოეწერა და ეკითხა, ეხლა ეს სულ მუქთად ქუჩებში იყო გამოფენილი და ვანოც თავიდან ბოლომდე აბულბულებდა იქ მოთავსებულ საყურადღებო წერილებს. მან ამ გზით შეითვისა გაზეთების კითხვა და ეს ყოველდღიურ მოთხოვნილებად გადაექცა.

როცა ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა და ქუჩებში გაკრული გაზეთებიც მოისპო, ვანომ ადგილკომის საშუალებით თვიურად დაიწყო გაზეთის გამოწერა თავის ბინაზე. ადგილკომს ვანო ყოველი თვის ბოლოში სიყვარულით აძლევდა ნისიად გამოწერილი გაზეთის საფასურს და უმეორებდა:

— შა, არ დაგავიწყდეს, უგაზეთოდ არ დამტოვო, ამხანაგო! გინდა ფული ეხლავე წინდაწინვე წაიღე. ნაღდი! რა ვიცი, ვაი თუ დაგავიწყდეს და მე კი უგაზეთოდ ერთს საათს ვერ გავძლებ ხომ იცი?!

ვანოს ადგილკომი ყოველთვის აიმედებდა, მაგრამ შეფერხებაც ხშირი იყო, რადგან ვანოს გარდა ბევრი სხვა მუშებიც იწერდენ გაზეთებს ნისიად, მხოლოდ გადახდის დროს ზოგიერთები გაზეთის საფასურს „ივიწყებდენ“ და შეტანას აგვიანებდენ რედაქციის კანტორაში.

ვანო კი დღესაც სამაგალითო ხელისმომწერია გაზ. „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს ყოველთვის ნაღდათ იწერს მათ და სხვებსაც სულ იმას ჩასჩიჩინებს, რომ გაზეთები ნაღდი ფულით გამოიწერონ.

წარსულში შავი მუშა, ვანო საბჭოთა წყობილების დროს ერთ-ერთ კულტკომისიის ხელმძღვანელობს სტამბაში.

მუშკორი ყ—ნი.

ესეც მომჭირნეობის რეჟიმია?

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოთ)

თბილისის შრომის ბირჟაში ამჟამად ირიცხება 12.000 უმუშევარი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა გაჭირვებას განიცდიან საერთოდ უმუშევრები. ამ გაჭირვებას ზედ ერთვის კიდევ ისეთი საქმის მოუგვარებლობა, რომელიც გამოიწვევს მცირე ხარჯებს, მაგრამ საქმისათვის კი დიდი მნიშვნელობა ექნება. მთელ ზაფხულის პერიოდში უმუშევრებისათვის არ არის სასმელი წყალი, ვინაიდან ონკანი დაკეტილია აღმასკომის მიერ.

ასეთ უზარმაზარ შენობას, როგორიც არის შრომის ბირჟა (აქვეა მოთავსებული დამზღვევი სალარო), ჩანგრეულია ფეხისადგილი. (ჩანგრევის დროს მოჰყვა ერთი ადამიანი, რომელიც ძლივს გადაარჩინეს სიკვდილს). კეთილმომწყობ განყოფილების მიერ შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, რომელიც არ აღემატება 400 მან.

მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ ყოფილა მიმართვა წერილობით თუ სიტყვიერათ შრომის ბირჟის კომიტეტის მიერ კეთილმომწყობ განყოფილებისადმი შემდეგი შინაარსის: 12.000 უმუშევარს არა აქვს წყალი და ფეხისადგილი, რის გამო უმუშევრები აფუჭებენ და აბინძურებენ მთელ შენობას და აწუხებენ ახლო-მახლო მდგმურებს, მაინც არავითარი ზომები დღემდე არ არის მიღებული. შეკეთება კი შედის ქალაქის აღმასკომის ბიუჯეტში.

გთხოვთ შეაკეთოთ. ერთი წელია მიწერ-მოწერა სწარმოებს. მეტი ღირებულების ქაღალდი და სამუშაო დროა დაკარგული, ვიდრე თვითონ შეკეთება ღირს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შენობის გაფუჭებას, უმუშევრების და მდგმურების შეწუხებას.

ნუთუ მომჭირნეობის რეჟიმია.

დ. თ.

„ნათლიმამობის“ კიდევ ერთი მსხვერპლი

თბილისის რკინის გზის საყუდში მსახურობდა პროფკავშირის წევრი ა. მეგრელიშვილი. თბილისის საყუდში, მიუხედავად უმაღლესი ბრძანებისა, დღემდის არ ტარდება ქართულ ენაზე საქმის წარმოება. მეგრელიშვილი ერთად-ერთი კაცი იყო ქართულის კარგად მცოდნე და ამასთანავე 8 წლის სამსახურის სტაჟიც ჰქონდა. რაღაც გამოურკვეველ მიზეზების გამო მეგრელიშვილი იქნა გადაყვანილი სალიანდაგო დარგის მე-6-ე უბანში დროებით სამუშაოზე და მის მაგიერად კი მიიღეს ახალი მოსამსახურე. მეგრელიშვილის გადაყვანა არ ყოფილა შეთანხმებული ადგილობრივი ადმინისტრაციასთან და ადგილკომთან, არც მე-6 უბნის ადმინისტრაციასთან ყოფილა შეთანხმებული მიღება. ამ საქმეს „ნათლიმამობის სარჩული უდევს“.

საყუდს მეგრელიშვილის სახით მოაკლდა ერთი საუკეთესო მცოდნე თავის საქმის და მე-6-ე უბანში კი დროებით მიღებულია სრულიად უცხო პირი. შესაძლებელია, სულ მალე სამსახურიდანაც დაითხოვონ.

საუბნო კომიტეტმა უნდა მიაქციოს ამას ყურადღება და უმიზეზოდ დასჯილი კავშირის წევრი აღადგინოს თავის უფლებებში და დამნაშავე კი პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული.

დ. თ.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **მოჯამაგირეთა შორის მუშაობა უმჯობესდება** (ლეჩხუმის მაზრა) ლეჩხუმის მაზრაში გასულ წელში მოჯამაგირეთა შორის მუშაობა თითქმის არც კი არსებობდა. ამ წელს კი მას მაგარი საძირკველი ჩაეყარა. ჩატარებულია მიწა-ტყის კავშირის სამაზრო განყოფილების მიერ მოჯამაგირეთა ხელახალი აღრიცხვა; დადებულ იქნა ხელოსან მოჯამაგირეთა და დამქირავებელთა შორის ხელშეკრულებები. ზოგიერთ—თემებში კი ადგილობრივი აღმასკომები ვერ უწევენ დახმარებას მაზრის წარმომადგენელს იმ მხრივ, რომ დროზე გამოუძახონ დამქირავებელს აგრეთვე მოჯამაგირის ხელშეკრულების დასადებად, მაზრის წარმომადგენელს კი ყოველდღე არ შეუძლიან იაროს ერთ და იმავე თემში, რითაც ბრკოლდება მუშაობა. საჭიროა ადგილკომებმა შემდეგში მეტი ყურადღებით აწარმოონ მუშაობა კავშირთან ერთად მოჯამაგირეებში.

დ—ლი.

— **გაუგებრობა თუ დაუდევრობა?!** თელავიდან მომავალი მატარებელი გურჯაანში სტოვებს საფოსტო რონოდას და მის ნაცვლად კი მიაქვს სხვა რონოდა. სად. გურჯაანში მანევრები რამოდენიმე საათობით სწარმოებს. ხან საღამოს დაწყებული მანევრები დილამდე გრძელდება, მანევრების დროს ორთქლმავალს უბამენ აქ დატოვებულ რონოდას და ტყუილ უბრალოდ დათრევენ, მუშები კი მოუსვენრობისაგან შეწუხებული არიან და გამოთქვამენ უკმაყოფილებას. ერთხელ კიდეც სთხოვეს სად. გურჯაანის უფროსს ამ რონოდის მოხსნა და თავისუფალ ლიანდაგზე ჩაყენება. მაგრამ დღემდე უყურადღებოდ არის დატოვებული. რას მივაწეროთ? გაუგებრობას თუ დაუდევრობას?

ვ. ნ—ლი.

— **სახელი ჩვენი და ხარჯავს სხვისი.** პროლეტარულ სტუდენტობის უზრუნველყოფის საკითხს დღის დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, მაგრამ მრავალ დაბრკოლებებს მაინც აქვს ადგილი. ავიღოთ მაგალითისათვის ბინის საკითხი. ბელინსკის ქ. სახ. № 2 გადაეცა პროლეტარულ სტუდენტობას, მაგრამ ფაქტიურად აქ სტუდენტებზე მეტი სივრცე უკავიათ კერძო პირებს და დაწესებულებებს. მათი გამოსახლება კი შეუძლებელი შეიქნა.

საჭიროა ქალაქის აღმასკომმა მიაქციოს ყურადღება, რათა ეს ოთახები შეკეთდეს და დაგვებრუნოს საერთოდ ამ შენობიდან როგორც კერძო პირთა, ისე დაწესებულებებისგან შენობის განთავისუფლებით.

გაჭირვებული.

მუშათა ქრონიკა

— **სამუშაოს მიზანშეწონილად განაწილება.** სალიანდაგო სამსახურის მე-6-ე უბნის მომჭირნეობის კომისიამ მიზანშეწონილად აღიარა ამავე დარგში გატარდეს წინასწარ ფუნქციების და სამუშაოს განაწილება.

— **დარბაზის შეკეთება.** დაიწყო სადგურ თბილისის მე-2-ე კლასის დარბაზის შეკეთება.

— **ადგილკომის ბინის გადატანა.** სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბნის მომჭირნეობის კომისიამ საჭიროდ სცნო ადგილკომის ბინის წარმოებასთან გადატანა, წარმოებასთან უშუალოდ დაახლოვების მიზნით.

— **ძრავის ამოქმედება.** სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბნის მომჭ. კომისიამ დაადგინა, რათა აღძრულ იქნეს საკითხი ძრავის მოძრაობაში მოსაყვანად.

ქრონიკა

უსარგებლო ქონების გასაღება

ს. მ. უ. ს. საბჭომ დაადგინა ჩაატაროს ტრესტებში თავმოყრილ უსარგებლო ქონების (რკინის ნატეხები, ძველი გამოუსადეგარი ნივთები და სხვ.) განაღდება.

განაღდებული თანხებიდან ტრესტები მოვალენი არიან 50 პროცენტი შეიტანონ ს. მ. უ. ს. სამრეწველო ფონდში.

ქონებათა განაღდების დასაჩქარებლათ დაარსებულია არალიკვიდურ ქონებათა სარეალიზაციო ბიურო და ამავე მიმართულებით დავალებები მიეცათ ტრესტების სარევიზიო კომისიებს.

საქონლის განაღდება უნდა დასრულდეს მომავალი საანგარიშო წლისათვის.

უშიშროების ტეხნიკის დარღვევისათვის

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გამოსცეს ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის და ა.-კ. პროფსაბჭოს შეთანხმებული დადგენილება უშიშროების ტეხნიკის და სამრეწველო სანიტარიის დარღვევის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად დამქირავებელნი უშიშროების ტეხნიკის და სამრეწველო სანიტარიის დარღვევისათვის პასუხისგებაში ეძლევიან ადმინისტრატიული წესით.

სახ. განათ. კომისარიატში

— **სპეცტეხნიკუმებში.** მისაღები გამოცდები დაიწყება 15 სექტემბრიდან შემდეგ საგნებში: სამშობლო ენა, წერა, რუსული ენა, მათემატიკა და ფიზიკა.

— **განცხადებების მიღება ტეხნიკუმებში** დაიწყება 15 აგვისტოდან და გაგრძელდება 8 სექტემბრამდე. განცხადებასთან ერთად უნდა წარდგენილ იქნას შემდეგი საბუთები: შვიდწლედის დამთავრების მოწმობა, წლოვანების და სოციალური მდგომარეობის მოწმობა, მიცემული სამაზრო, ან სათემო აღმასკომის ან სათანადო პროფკავშირების მიერ.

— **უმაღლეს სასწავლებელში მიღება.** უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის დაწესებულებებიდან მივლინების მოწმობა საჭირო არ იქნება. მსურველი აძლევს განცხადებას ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლის მიმღებ კომისიაში; განცხადებებს თან უნდა ჰქონდეს დართული სხვადასხვა საბუთები, რომლებიც აღნიშნულია უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების 4-ე მუხლში (წესები დაბეჭდილია გაზ. „კომუნისტში“ ამა წლის 2 ივლისის ნომერში). განცხადებები მიღება 1-დან, 15 აგვისტომდე.

დამზღვევ სალაროში

— **პენსიონერთა რიცხვი.** თბილისის დამზღვევ სალაროში პენსიონერთა რიცხვი 1 ივნისისათვის უდრიდა—1731., მათ შორის შრომის ინვალიდია—1169.

— **დახმარებაზე ჩარიცხულნი.** თბილისის დამზღვევ სალაროში დახმარებაზე ჩარიცხულ უმუშევართა რიცხვი ივნისში უდრიდა 5.114; აქედან მამაკაცი 3949; დედაკაცი—1165.

სხვადასხვა

— მელითონეთა კავშირის უმუშევარ წევრებს ივლისის დახმარება დაურიგდებათ 22—30 ივლისს.

შემთხვევები

— **მკვლელობა.** (ლენინის ქ. № 3) აღმოჩენილია დანით ყელგამოჭრილი გიორგი ავაკოვის გვამი, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **ქურდობა.** მოქ. ნინოშვილს „ცეკავშირი“-ს სამმრეწველოში მოჰპარეს პორტფელი, რომელშიაც იყო სხვადასხვა საბუთები და ფულად 2.080 მან., რომელიც ეკუთვნოდა ახალქალაქის ეპოს. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **თავდასხმა.** თბილისიდან მიმავალ მგზავრებს ს. ნადაკრევის მცხოვრებთ მოქ. ლუკა წიკლაურს და მიხმაიძეს საგურამოს გზაზე თავს დასხმია იოსებ გ. მაღრაძე სოფ. წესოფნის (დუშეთის მაზრა) მცხოვრები, რომელსაც აღნიშნულ მგზავრებისათვის უცემია გაძარცვის მიზნით, რის შემდეგ მიმალულა. ზაჰესის რაიმილ. უფროსის მიერ მიღებული ზომებით ბოროტგამზრახველი დაპატიმრებულია.

— **ქალის მოტაცება.** ს. თხანში (ერწოს თემი) ლექსო ქირტიაურმა, მიხა ქირტიაურმა, გორა გოცირიძემ და ილიკო გოცირიძემ მოიტაცეს ფეფო წიკლაური, რომელიც ტოლაანთ სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ დაატოვებინა გამტაცებლებს. და ბოროტმოქმედნიც შეიპყრო.

— **თვითმკვლელობა.** გუშინ „ნაგანის“ სისტემის რევოლვერით თავი მოიკლა ნადია უჯმაჯურიძემ.

— **თავის მოწამვლა.** გუშინ დილით ბერთოლეს მარილის სიმჟავით თავი მოიწამლა ბარბარე დიმიტრენკომ (დიდუბის ქ. № 17). მას სასწრაფო საექიმო დახმარება აღმოუჩინეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

ხელოვნების ქრონიკა

— საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის საზაფხულო კლუბში 23 ივლისს გაიმართება ვანო მარკოზოვის საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო.

სასამართლო

უზენაეს სასამართლოს პლენუმი

ამ დღეებში შესდგა საქართველოს უზენაეს სასამართლოს პლენუმი. პლენუმმა დაადგინა: განემარტოს ქვემდებარე სასამართლოებს, რომ ხარჯთ-აღრიცხვით განსაზღვრული მიზნისათვის გათვალისწინებული თანხების დაწესებულების სხვა საჭიროებისათვის გამოყენება, შედგენილ ანგარიშებში კი ცნობის იმ სახით შეტანა, თითქოს თანხა ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულ მიზნისათვის ყოფილიყოს გამოყენებული—უნდა ჩაითვალოს ს. ს. კოდ. 119 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად და კვალიფიკაცია ქმნილ უნდა იქნეს, როგორც თანამდებობრივი სიყალბე.

ს. ს. კოდ. 335 მუხლის განმარტება

უზენაეს სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, ეცნობა ქვემდებარე სასამართლოებს, რომ უკეთუ ბრალდებულს წაყენებული ექნება სხვადასხვა დროს ჩადენილ ერთგვარ ხასიათის დანაშაულობაში რამოდენიმე ბრალდება, სასამართლომ თვითეული ბრალდება უნდა განიხილოს და სოციალურ დაცვის ღონისძიება დაუნიშნოს თვითეულ ბრალდებისათვის ცალ-ცალკე, აგრეთვე ცალკე უნდა შეუფარდოს თვითეულ დანაშაულს ამნისტია და ს. ს. საპრ. კოდ. 47 მუხლის თანახმად, უნდა აირჩიოს უმძიმესი დანაშაულისათვის მიღებული სოციალური დაცვის ღონისძიება.

დასაფლავებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება

ამავე პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომლითაც განიმარტა ქვემდებარე სასამართლოებს, რომ სასამართლოს უფლება აქვს აუნაზღაუროს დაზარალებულს მოკლულის დამარხვით გამოწვეული ხარჯები. ხარჯების განსაზღვრის დროს სასამართლომ არ უნდა იხელმძღვანელოს ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებით და ადათებით, არამედ ის უნდა გამოდიოდეს იმ აუცილებელ ხარჯებიდან, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის დასაფლავებით. სასამართლო ვალდებულია აუნაზღაუროს მძიებელს—სასაფლაოს გათხრით, მიცვალებულის გადატანით, სამგლოვიარო განცხადებით, კუბოს და სუდარის შეძენით გამოწვეული ხარჯები.

მუქთათ ქეიფს მოყვარულნი

მოქ. მარკარიანი მოწყენილი დასეირნობდა რუსთაველის პროსპექტზე. ხან გამოშვებით შლიდა ხელებს და თავის თავს მუნჯურათ ელაპარაკებოდა. მერე ხელს ჩაიქნევდა თითქო ფიქრებს არ ეთანხმებაო და განაგრძობდა სეირნობას. ეს „მძიმე ფიქრები“ მარკარიანს მას შემდეგ გაეფანტა, როცა მის კარგ მეგობარს ნიკოლოზ ქავთარაძეს შეხვდა.

ანდრონიკ მარკარიანი და ნიკოლოზ ქავთარაძე რესტორანში შევიდნენ და სუფრას შემოუსხდნენ.

— ანდრონიკ, ფული გაქვს?

— რის ფული—როდის მქონია ეხლა, რომ მექნება—იყო პასუხი.

— მაშ, ეხლა რა ვქნათ ჩემო ანდრონიკ.

— საჭმელი მოვითხოვოთ, შევჭამოთ და გზა შემდეგ გამოჩნდება. მართლაც მოითხოვეს და შეზარხოშდნენ. რესტორანის მეპატრონემ რომ ანგარიში მოსთხოვა მათ აყალ-მაყალი ასტეხეს და ანდრონიკა სადღაც გაქრა. იქ დარჩენილი ნიკოლოზი კი ირწმუნებოდა, რომ ფული ანდრონიკას აქვს თანაო. ნიკოლოზ რომ რესტორანიდან გავიდა ანდრონიკაც გამოჩნდა. შემდეგ ნაცნობს გარმონი გამოართვეს და ნიკოლოზმა მხიარული ხმით უამღერა. ღამის პირველი საათი იქნებოდა. მილიციელმა მათ წინადადება მისცა სიმღერისათვის თავი დაენებებინათ და სახლში წასულიყვნენ. ეს იწყინეს მათ და შეაგინეს მილიციელს.

რის ვაი-ვაგლახით მიიყვანეს ისინი კომისარიატში.

სასამართლოს საბრალდებლო სკამზე დაღვრემილი იჯდენ მარკაროვი და ქავთარაძე.

სასამართლოში განაცხადეს—სულ ყველაფერი ღვინის ბრალია ამხ. მოსამართლეო. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ამ გარემოებას მიიღებ მხედველობაში და გაგვიშვებთ სახლში

სასამართლომ ქავთარაძეს და მარკარიანს მიუსაჯა სამი თვით გამსახლში დაპატიმრება.

ქ.

ხორცის ბაზრის მოწესრიგება

თბილისის ბირჟასთან არსებული ხორცეულის სექციის სხდომაზე განხილულ იქნა ხორცით სავაჭრო მოედანის საკითხი, სხდომაზე აღნიშნულ იქნა, რომ ამჟამად არსებული ხორცით სავაჭრო მოედნები ვაჭრობისათვის დიდ უხერხულობას წარმოადგენს და აუცილებელია მათი გადატანა ცენტრში, მით უფრო, რომ ქალაქის ცენტრში მოიპოვება თავისუფალი ადგილები და მოედნის გადმოტანა იქ არ გამოიწვევს დიდ ხარჯებს.

სექციამ მიაქცია ყურადღება აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ გარიგებათა მოხდენის დროს, ახლა არსებულ ხორცის მოედანზე (სასაკლაოზე) გამოდიან ხშირად ისეთი პირები, რომელთაც არა აქვთ ვაჭრობის უფლება და ეს კი იწვევს ფასების აწევას ცოცხალ საქონელზე.

სექციამ ასეთი მოვლენა არა სასურველად ჩასთვალა და დაავალა ხორციელის სექციის მაკლერებს, რათა მათ სექციის მორიგ სხდომაზე წარმოადგინონ თავისი მოსაზრებები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ბიუჯეტის შესრულება

ა.-კ. სავეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მოიწონა საერთო-საკავშირო დადგენილების პროექტი 1925—26 წლისათვის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წესის შესახებ იმ პუნქტების გამოკლებით, რომელნიც ითვალისწინებენ ახალი მშენებლობისა და კაპიტალური რემონტებისთვის კრედიტების გამოყენების და აგრეთვე საგანგებო კრედიტის შეღავათიან ვადებს. პროექტით ამ კრედიტების გამოყენების ვადა გაგრძელებულია დეკემბრამდე.

ვინაიდან საამშენებლო სეზონი ამიერკავკასიაში მეტად ხანგრძლივია, აგრეთვე ალაგ-ალაგ მალარიის გამო შუა ზაფხულობით ჩერდება მუშაობა, ხოლო ალაგ კი მეტად სჭირს საამშენებლო მუშაობა, საამშენებლო მასალის სიმწირის გამო, ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ მიზანშეწონილად და აუცილებლად სცნო გააგრძელოს კრედიტების გამოყენების ვადა ზემოხსენებულ დარგებში დეკემბრის დამლევამდე.

ფონდების განაწილება

პროფტეხნიური განათლებისათვის

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ რესპუბლიკებს შორის განაწილა პროფტეხნიკურ განათლების ფონდიდან 528.328 მანეთი—პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების საჭიროების დასაკმაყოფილებლად 1924—25 წლისათვის.

ზემოხსენებული თანხიდან აზერბეიჯანის პროფტეხნიკური განათლებისათვის დანიშნულია 290.580 მანეთი (55%), საქართველოს—158.498 მან. (30%) და სომხეთის—79.249 მანეთი (15%).

აზერბეიჯანისათვის დანიშნულ თანხაში ჩათვლილია 239.094 მანეთი, რომელიც დახარჯულია იმ ანარიცხების ჯამიდან, რომელიც გადადებულია „აზნავთის“-აგან აზერ. პოლიტეხნიკურ - ინსტიტუტის სტიპენდიანტებისათვის.

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რომ „აზნავთ“-მა ანარიცხების 1 პროცენტი უნდა შეიტანოს პროფგანათლების საერთოსაკავშირო ფონდში, რომელიც განაწილებული უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

საბიუჯეტო ნაკრები

ვინაიდან საბიუჯეტო ნაკრებები რესპუბლიკებში შედგენილ იქნა ისეთ პირობებში, რომელიც მეტად განსხვავდება ამჟამად არსებულ მდგომარეობიდან, ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო მათი გადასინჯვა-გადათვალიერება.

ამ.-კავკასიის ქალაქებში საბიუჯეტო ნაკრებების შესახებ საკითხის დასამუშავებლად ამ.-კავკასიის სახ. კომ. საბჭოსთან მოწყობილ იქნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის, ა.-კ. საგეგმო კომისიის, ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის, ა.-კ. სტატისტიკის ცენტ. სამმართველოს, ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს და შრომის სტატისტიკის ა.-კ. ბიუროს წარმომადგენლები. კომისიამ მუშაობა უნდა დაამთავროს 30 აგვისტოსათვის.

ახალი საბიუჯეტო ნაკრებები საგეგმო კომისიის საშუალებით დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ა.-კ. ეკონომიურ საბჭოს.

შრომის სტატისტიკის ა.-კ. ბიუროს დაევალა ახალი საბიუჯეტო ნაკრების მიხედვით, გამოიანგარიშოს გასავალი წლის ყველა თვეების ინდექსებით.

ა.-წ. პირველ ოქტომბრიდან ინდექსები გამოანგარიშებული უნდა იქნეს ახალი საბიუჯეტო ნაკრებების მიხედვით.

ახალი ტრესტი

მეაბრეშუმეობის საქმის გასაუმჯობესებლათ და განსავითარებლად განზრახულია საქართველოში არსებულ მეაბრეშუმეობის ორგანოთა ერთ ტრესტში გაერთიანება.

ტრესტის დასაარსებლათ სათანადო ორგანოების მიერ უკვე აღძრულია შესაფერი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე.

ტრესტს ეწოდება „აბრეშუმის ტრესტი“ და იგი ჩაირიცხება ს. მ. უ. ს. ტრესტების ქსელში.

სპეცფონდები

საქართველოს ც. ა.-კ.-ის მიერ საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა სპეცფონდის შექმნის შესახებ, ამას წინად მიღებულ დებულების ცხოვრებაში გასატარებლად, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველო იმუშავებს დაწვრილებით წესებს და ხარჯთაღრიცხვებს.

სპეცფონდი შეიქმნება 15 საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებასთან, ამ დაწესებულებათა შემოსავლიდან, მოხმარდება მათსავე საჭიროებათ. ეს დაწესებულებებია: თბილისის ბოტანიკური ბაღი, საცდელ აგრონომიის სახელმწიფო ინსტიტუტი, ცენტრალური საბრეშუმო სადგური, სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორია, ვეტბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, ყარაიაზის საცდელი სადგური, კახეთის საცდელ სადგური, საქარის საცდელი სადგური, აჯამეთის საცდელი მინდორი, ქუთაისის საბრეშუმო სადგური, ოზურგეთის საცდელი პლანტაცია, თბილისის საცდელ-საკულტურო სატყეო სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოსაცდელი სადგური, მერეთის მეხილეობის სადგური. ზოოტეხნიკური სადგური და ციხისჯვრის საქონლის საჯიშე.

საბაზრო კომიტეტი

თბილისში კერძო-მეწვრილმანე ვაჭრებს განზრახული აქვთ საბაზრო კომიტეტის დაარსება. ეს საკითხი ივლისის შუა რიცხვებში გაირჩა თბილისის ბირჟის კერძო ვაჭრობის სექციაში.

სხდომაზე გამოირკვა, რომ ამ კომიტეტის წესდება ამჟამად დასამტკიცებლად იმყოფება ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოში.

წესდების თანახმად, საბაზრო კომიტეტი, როგორც იურიდიული ორგანიზაცია, მიიღებს შემოზიდულ სამრეწველო საქონლის განსაზღვრულ პროცენტს და გაანაწილებს მას კერძო მეწვრილმანე ვაჭრებს შორის, შინა-მრეწველობის კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებში.

საბაზრო კომიტეტების მიზანია კერძო ბაზრის ნორმალურ მდგომარეობაში ჩაყენება და შეძლების და გვარად ფასების დაკლება.

ამის გამო სექციის სხდომაზე წამოიჭრა კერძო ვაჭრების მიერ საქონლის გადამყიდველობისაგან საქონლის შეძენაზე უარის თქმის საკითხი.

ამ საკითხის გადაწყვეტა მიენდო მომავალ საბაზრო კომიტეტს.

სახალხო ჯანმრთელობა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ახლო ხანში შეუდგება რესპუბლიკაში სახალხო ჯანმრთელობის საქმის შესწავლას. ასეთივე მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში.

შესწავლის კამპანიის ჩატარების შემდეგ ყველა მასალები გადაეგზავნება საკავშირო ცაკს მომავალი მუშაობისათვის გეგმების გამოსამუშავებლათ

სწარმოებს შემდეგი მასალების შეგროვება: მასალების რიცხვი, წლოვანება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, დაბადებანი, სქესთა სიჭარბე (მამრობ. და მდედრ. სქესის დანაწილებით), სიკვდილიანობა და მისი გამომწვევი მიზეზები, ავადმყოფობანი, (სიკვდილიანობა სოციალური სნეულებებიდან, მალარია, ჭლექი და სხ.) მოსახლეობის გამრავლების სტატისტიკა, ქორწინება და ქორწინების გარეშე დაბადებათა რიცხვი, ხალხის ზნე-ჩვეულებანი და ექიმბაშობა.

მასალებში მოყვანილი უნდა იქნეს ცნობები აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებულ ადგილების რიცხვის შესახებ, მოსახლეობის ცხოვრების წესი (ხიზნობა, მობინადრეობა და მეხეტიალენი) მცხოვრებთა ძირითადი ხელობა, ვაჭრობა, მრეწველობა, კოოპერაციის მდგომარეობა, სკოლების რიცხვი, საექიმო პერსონალის რიცხვი, საექიმო პუნქტები და სხვა.

ამ დღეებში ჯანსახკომში გაიმართება თათბირი შესწავლის კამპანიის ჩატარების გარშემო. მუშაობის დამთავრება გადაწყვეტილია 20 აგვისტოსათვის.

ქუთაისის ამბები

სასოფლო ყრილობები

ქუთაისის გლეხკომმა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ჩაატარა სათემო და სასოფლო ყრილობები 106-ჯერ.

დახმარება ღარიბ გლეხებს

ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში დახმარება გაუწია ერთდროულად 105 წევრს; ამას გარდა სესხი მიეცა 80 წევრს და იურიდიული დახმარება აღმოუჩინა 65 წევრს.

ინვალიდები

აპრილის, მაისის და ივნისის განმავლობაში ქუთაისის სამაზრო აღმასკომთან არსებულ სოც. უზრუნ. ინსპექციის აღრიცხვაზე ყავდა აყვანილი ომის და შრომის 515 ინვალიდი და 87 გაჭირვებული, რომლებსაც მიეცა დახმარება პენსიის სახით 3.656 მანეთი.

ამას გარდა, აღრიცხვაზე იყო აყვანილი 24 რევოლიუციის წინაშე დამსახურებული ოჯახი, რომელთაც დახმარების სახით მიეცა 1022 მანეთი.

დახმარება ინგლისის მუშებს

ქუთაისის სამაზრო პროფბიურომ წინადადება მისცა იმ კავშირებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ წარმოუდგენია სავსებით ინგლისის სამთამადნო მუშების სასარგებლოდ შეგროვილი ფული საჩქაროდ წარმოადგინონ იგი პროფბიუროებში დანიშნულებისამებრ გადასაგზავნად.

მოჯამაგირეთა სამაზრო კონფერენცია

ქუთაისის სამაზრო პროფბიურომ დაავალა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირს შეიმუშაოს პროექტი დრო და მოამზადოს ნიადაგი მოჯამაგირეთა სამაზრო კონფერენციის მოსაწვევად.

ქიმიური „ომი“ თბილისში

19 ივლისს, დილის 10 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე ავიოქიმის საზოგადოებამ მოაწყო საჩვენებელი ქიმიური ომი.

მთელ პროსპექტზე დაწყობილი იყო „გაზის ხმლები“ და თითეულს მათგანს მიჩენილი ჰყავდა ქიმიზმელები ავიოქიმიდან. ასეთივე ხმლები ეწყო საქ. პროფკავშირთა სასახლის თავზე.

დღე ქარიანი იყო, და ამის გამო დააგვიანა აეროპლანის გამოფრენამ. ბოლოს „იუნკერს“-მა დასძლია.

მის დანახვაზე ატყდა განგაში ქალაქში, აზმუვლდენ ორთქლმავლები და მთავარ სახელოსნოს საყვირი და წითელი არმიელთა რაზმა და ბატარეამ „დაუშინეს“ აეროპლანს, უკანასკნელი ყრის „ბომბებს“ (ფურცლებს).

ამასობაში წაუკიდეს გაზის ხმლებსაც და მთელი პროსპექტი კვამლში გაეხვია.

გაზების გაშვებისთანავე მოვიდა ცეცხლის მქრობელთა რაზმი, რომელმაც სწრაფად მოაქრო ყველგან ანთებული გაზები. ამ საქმეში გამოიჩინა მან მთელი თავისი სიმარდე და გამოიყენა ტეხნიკური გაუმჯობესებანი.

„ომის“ დემონსტრაციას ხალხი ბლომად დაესწრო.

ექსკურსია ბორჯომში

შაბათს სპეციალური მატარებლით თბილისიდან ბორჯომ-ბაკურიანში გაემგზავრა პროფკავშირთა წევრების მასიური ექსკურსია 350 კაცის შემადგენლობით.

ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღეს სახალხო კვების, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა, მბეჭდავთა, ტრანსპორტელთა და სხვ. პროფკავშირების წევრებმა.

ექსკურსანტებმა ბორჯომში დაათვალიერეს პარკი, შუშის და ხე-ტყის ქარხნები და ლიკანის სასახლე.

ექსკურსანტების ნაწილი კვირას გაემგზავრა წაღვერში და ბაკურიანში, სადაც დაათვალიერა პარკი და ბოტანიკური ბაღი.

ბორჯომში ექსკურსანტებს ბორჯომის კურორტის მნიშვნელობის შესახებ ლექცია წაუკითხა პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინმა.

ექსკურსიას ხელმძღვანელობდა ამხ. ქშონძერი.

იმავე დღის თბილისიდან ექსკურსია გაემგზავრა ბათომში. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღეს ქიმიკოსებმა და საამშენებლო დარგის მუშებმა.

შემდეგი ექსკურსია განზრახულია გაიმართოს შაბათს, 31 ივლისს (2 აგვისტო დასასვენებელი დღეა).

ფიზკულტურა

სამხედრო-სასპორტო ოლიმპიადა

კვირას, 18 ივლისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიხსნა კავკასიის წითელდროშიან არმიის მეხუთე საიუბილეო სამხედრო-სასპორტო ოლიმპიადა, რომელიც გაგრძელდება 25 ივლისამდე.

ოლიმპიადის გახსნას დაესწრენ კავკასიის წითელდროშიან არმიის სარდალი ამხ. ლევანდოვსკი და არმიის შტაბის წევრები.

ამხ. ლევანდოვსკის მისალმების შემდეგ გაიმართა ფიზკულტუროსნების აღლუმი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულმა ფიზკულტუროსნებმა. ამას გარდა აღლუმში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ქვეითა სკოლის ყველა მოვარჯიშეებმა. სულ აღლუმში მონაწილეობდა 700-მდე მოვარჯიშე.

კავკასიის წითელდროშიან არმიის თვითეული ნაწილიდან ოლიმპიადაზე გაგზავნილია საუკეთესო მოვარჯიშეთა გუნდები. ამას გარდა ოლიმპიადაში მონაწილეობას იღებენ ინდივიდუალურად, გუნდების გარეშე, კავკასიის წითელდროშიან არმიის საუკეთესო მოვარჯიშენი.

პირველი სამი დღის განმავლობაში სტადიონზე გაიმართა შემდეგი ვარჯიშობანი:

სამხედრო უმაღლეს სასწავლებლების თავისუფალი ვარჯიშობა, სასტაფეტო რბენა, ხტომა სიმაღლიდან, ყუმბარების სროლა, ფეხბურთი, კალათბურთი, ხტომა სიგრძეზე, ფრანგული ჭიდაობა, ფარიკაობა და სხვა. დღეს სტადიონზე გაიმართება: საბარიერო რბენა 110 მეტრზე, ფრანგული ჭიდაობა, ფარიკაობა, რბენა 1.500 მეტრზე, ფეხბურთი 1 შეჯიბრი, კალათბურთი, საბარიერო რბენა 110 მეტრზე (ფინალი), რბენა 1.500 მეტრზე (ფინალი), ბოქსი, ფეხბურთი და კალათბურთი. შეჯიბრები იწყება დილის 8 საათზე და საღამოს 5 საათზე.

„დინამო“-ს გამგზავრება

საქართველოს პროლეტარულ სასპორტო საზოგადოება „დინამო“-ს ფეხბურთელთა გუნდი შეჯიბრების გასამართავად მიემგზავრება რუსეთში. გუნდი შეჯიბრს ჩაატარებს კრასნოდარში, ნიკოლაევში და სხვა ქალაქებში.

გუნდი მიემგზავრება შემდეგი შემადგენლობით: ცომაია, ფოჩხუა, ბლანკმანი, ჟორდანია, ანიკინი, გონელი, პოიავა, ვახ. ამბოკაძე, გალპერინი, თედეევი და ვლ. ცომაია.

იურიდიული დახმარება

სადერბო გადასახადის შესახებ

კითხვა

გთხოვთ, გვიპასუხოთ, მუშა-მოსამსახურეთ გადახდებათ თუ არა სადერბო გადასახადები (გამოსაღებები) დაბადების და გარდაცვალების მოწმობის მიღების დროს?

პროვინციელი.

პასუხი

თანახმად არსებულ წესებისა, მუშა-მოსამსახურეთა, წითელ-არმიელთა, სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფთა და უმუშევართა და ყველა ამათ ოჯახის წევრთა გარდაცვალების ან დაბადების შესახებ პირვანდელი მოწმობები სრულიად თავისუფალი არიან ყოველგვარი გადასახადისაგან.

უვარგისობის გამო სამსახურიდან მოხსნის შესახებ

კითხვა

მე ვმუშაობდი ლუდის ქარხანაში მთელი სამი წლის განმავლობაში. ამ ბოლო ხანებში, არ ვიცი, რა მოსაზრებით, ადმინისტრაციამ უვარგისად გამომაცხადა და მომხსნა სამუშაოდან.

გთხოვთ განმარტებას კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება და თუ არაა კანონიერი, ვის მივმართო ჩემ უფლებებში აღსადგენად?

ძველი მუშა ტრ. ე—ლი.

პასუხი

თანახმად შრ. კანონთა კოდექ. მუხ. 47-ის შენიშვნა პირველის უვარგისობის მიზეზით სამსახურიდან დათხოვნა შესაძლებელია მხოლოდ იმის შემდეგ, როცა შემცველ იქნეს ფასებ-საკონფლიქტო კომისია გამოიძიებს და დაადასტურებს ამა თუ იმ მუშა-მოსამსახურის უვარგისობას და გამოიტანს ამის შესახებ სათანადო დადგენილებას. თქვენი დათხოვნა კი, როგორც თქვენი განცხადებიდან სჩანს ყველა ამ პროცედურის გარეშე „მოუწყვია“ ადმინისტრაციას, ამიტომ ადმინისტრაციის მოქმედება უკანონოა. თქვენ უნდა იქნეთ თანამდებობაზე აღდგენილი შრომის სასამართლოს საშუალებით, რომელსაც გირჩევთ მიმართოთ დაუყოვნებლივ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 21 ივლისს, საღამოს 5 საათზე ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა

დასწრება ქვემოდ აღნიშნულ ამხანაგების სავალდებულოა

1. ქართველიშვილი ლავრენტი, 2. ლოლობერიძე, 3. მაშკევიჩი. 4. ინსტრუქტორები: მირიმანოვი, ხაცკევიჩი, ჯაფარიძე. 5. ხუნდაძე, 6. ინფორმატორები, 7. ლიცინოვი, 8. ჯაფარიძე (ც. კ. ქალთა განყოფილება), 9. ინსტრუქტორები ქალთა განყ. ს. კ. პ. (ბ): ჩერქეზიშვილი და გაგიევა. 10. მუშიშვილი, 11. აკოპოვი, 12. საყვარელიძე, 13. მურავიოვი, 14. მელნიკოვი. 15. ინსტრუქტორები: ხუხუა, ცაბაძე, შოგირაძე, ჩალიანი. 16. გოგლიძე, 17. ჯავახიძე, 18. მარკაროვი, 19. ბოგდანოვი, 20. აფციაური, 21. ფანცხავა (ს. პ. .კ. ს.).

მოწვეული არის ამხ. გობეჩია და ტაბიძე (კ. კ. ცეკადან) ამხ. კვიცარიძე (განათლების კავშირი).

ცეკას საორგანიზ. განყ. მდივანი მეთითაიშვილი.

ხუთშაბათს, 22 ივლისს, საღამოს სრულ 5 საათზე, საქ. რემედასის შენობაში შესდგება **რემედასის ტ. კ. პრეზიდიუმის სხდომა.**

დასწრება ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა: ასრიბეკოვი, ჯიჯაძე, ბელიაევი, არაზაშვილი, ნაცვლიშვილი, მუმლაძე, გენელიძე, ალიხანოვი და ხომერიკი.

რემედასის ტ. კ.

სახელ. უნივ. და მუშათა ფაკულტეტის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ბიურო კოლექტივი აცხადებს აღნიშნული უნივერსიტეტის უჯრედების წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ ხუთშაბათს, 22 ივლისს საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება უჯრედების გაერთიანებული კრება, დასწრება წევრებისა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა დაუგვიანებლად.

დღეს, 21 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქ. რემედასის შენობაში შესდგება **რემედასის ც. კ. პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.**

დასწრება ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა: ჩოდრიშვილი, იმედაძე, ბელიაევი, არაზაშვილი, მუმლაძე, ნაცვლიშვილი, ჯიჯაძე, მუშიშვილი, რუხაძე, ათაბეგოვი, ჯაიანი, გენელიძე, გუდავაძე, პეტიძე, ნუცუბიძე და ხომერიკი.

რემედასის ც. კ.

საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით ეგებება აჭარისტანის წითელი მთვარის მთავარ კომიტეტის წევრის, საზოგადო მოღვაწისა და სახელ-მოხვეჭილ ექიმის

კონდრატი არჩილის ძე მზეიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას ბათუმში 3192

დედა ოლია ვარლამის ასული ერისთავისა, და მერი ალექსანდრეს ასული, ძმები გიორგი და დათიკო ალექსანდრეს ძენი და ბიძა მიხეილ ვარლამისძე ერისთავები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა | წ. 14 ივლისს ქალ. ტაშკენტში უდროოთ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი და საყვარელი

ვერა (ვერიჩკა) ალექსანდრე ერისთავის ასული ჭაფარიძისა

რომლის პანაშვიდი გადახდილ იქნება ქ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში ამა 23 ივლის დღისით პარასკევს საღამოს 6 საათზე. ცხედრის ჩამოსვენება ცალკე იქნება გამოცხადებული.

2—1 ნ. 1580

ღრმად დამწუხრებული დედ-მამა ნინო და ალალო, შვილებით—რუბენ, მანია, ჟორა და სურენი და დეიდაშვილი—კარაპეტ ზაქარიასძე არუთინოვი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 22 ივლისს თბილისში ვანქის ეკლესიაში საღამოს 6 საათზე სოფ. ურიათ-უბანში (თელავის მაზრა) დასაფლავებულ საყვარელი

მიხეილ ალალოს ძე ავეტიკოვის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილი იქნება წირვა-პანაშვიდი ლ. ფ.

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ზოლეი
ნ. 1446 0—15

მეორე კვირა ყოველდღიური ანშლაგებით მიდის საუკეთესო სურათს
რობინ გუდ.
დუგლას ფეირბენქსის მონაწილეობით
კინოს ბილეთებით შეიძლება ბაღში შესვლა
ანონსი: ამ დღეებში „ქალი ნიღაბში“
პირველად თბილისში
„შოპენის მე-15-ე პრელიუდია“
მხატვრული დრამა 7 ნაწილად
კოვანკოს, იუაგაკოვას, ანდრე ნოქსის მონაწილეობით.
საუკეთესო სურათი უშიშარ ედი პოლოს მონაწ.
საბედისწერო ხანჯალი
3 და 4 სერია ერთად.
ანონსი: ამ დღეებში „ქალი გზაჯვარედინზე“ (მონიკა ლერბიე)

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

თბილისის დამზღვევი კასა

ამით აუწყებს ყველა დაზღვეულებს, წარმოება-დაწესებულებებს და სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომ დამზღვევ კასაში ა წ. 20 ივლისიდან მუშაობა იწარმოებს დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 5 ნახ. საათამდე.

4—1 ნ. 1578 გამგეობა.

სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—3

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ექიმი ა. დ. [illegible]
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
მიღება დილის 8—11, სად. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

იცემა იჯარით
ქ. თბილისში
ახლად კაპიტალურათ შეკეთებული 3 სართულიანი შენობა
(ყოფილი „ორიანტი“)
სასტუმროსათვის
ქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, სახალ. კომის. საბჭოს შენობის წინ.
70 საუცხოვოთ დამზადებული ოთახი (ამათგან 10 აპარტამენტი სამი განყოფილებისაგან შემდგარი), ელექტრონის განათებით, წყალსადენით და კანალიზაციით; ყველა ოთახში ყოველ დროს თბილი და ცივი წყალი. ქვედა სართულში ახლად მოწყობილი განყოფილება რესტორანისთვის.
სახურავზე ვერანდა—ბაღი
თვითეულ სართულში მოთავსებულია სალონი სტუმრების მისაღებათ.
ცნობების მიღება შეიძლება თბილისში, რუსთაველის გამზ. № 23, შავიძვის წარმოების სამმართველო:
ნ. 1576

წარმოკავშირის გამგეობა

ივლისის 24-ს დღის 12 საათზე იწვევს რწმუნებულთა

საგანგებო ყრილობას

დღის წესრიგი:

1. გამგეობის საინფორმაციო მოხსენება.
2. წარმოკავშირის ლიკვიდაციის საკითხი.

ნ. 1581 გამგეობა

სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციის და კერძო პირთა საყურადღებოთ მიწად მომქმედთა წარმოკავშირის, შრომის არტელის „ბაღის შრომას“ გამგეობა, ამით აცხადებს, რომ გამგეობა და მისი კანცელიარია დროებით მოთავსებულია (ყ. ვერის) ელბაქიძის დაღმართზე სახლში № 12 დარაბა № 410—8

3—11552 გამგეობის თავმჯდომარე შალვა მურავიოვი.

საქართველოს ს. მ. უ. ს. ტყავტრესტი

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 23 ივლისს, პარასკევს, დღის 12 საათზე ტრესტის გამგეობის ბინაზე კომუნალურ ქ. 82,

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა დარჩენილ ქონების და მასალების გასასყიდათ. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ დაათვალიერონ გასასყიდი ქონება ყოველდღე საჯარო ვაჭრობის დღემდე.

2—1 ნ. 1574 გამგეობა.

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში გელათის ქუჩაზე სახლი № 30 დანიშნულია 27 ივლისს 1926 წ. დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობა შამუელ ჩიკვაშვილის შკაფების, მაგიდების, ტანისამოსის, პირის საბანის, სამოვრის, სარკის და სხვების შეფასებულების 172 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახელმწიფო სავაჭროს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. 3186

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვების და დიდების) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის
მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

ექიმი მ. ა. ლუკიჩეეცი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან
აგარაკ მანგლისში. 25—1

პროფ. გ. მ. მუხაძე
ზაფხულში მიიღებს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათამდე გარდა შაბათისა და კვირა დღისა. მისამართი პლეხანოვის პროსპ. № 58. ტელ. 5—77 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმეცვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—3

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

დაკარგა ატესტატი გაცემული ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლის მიერ გალაკტიონ ილიასძე კოჩხიძის სახელზე, ჩ. გ. 3184

დაკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი ფ. № 4. ვარლამ იაკობისძე სილაგაძეს სახელზე, ჩ. გ. 3193

დაკარგა სტუდენტობის ბილეთი, პროფკავშირის წევრობის წიგნაკი, შეღავათების და სამგზავრო ლიტერ ხოია გიორგის ასული ლევანოვის სახელზე, ჩ. გ. 3194

დაკარგა პირადობის მოწმობა № 778 ნიკო წამალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3185

დაკარგა მედსანშრომის პროფკავშირის წიგნაკი მოცემული მორმაზრიდან ექიმ კახიძის სახელზე, ჩ. გ. 3188

დაკარგა საარიცხო ბარათი № 18 პარმენ პაატისძე ყაველაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3187

დაკარგა დროებითი მოწმობა თბილისის კომუნალური ბანკის ოთხი აქციისა № 408 ივანე ნოდიას სახელზე, ჩ. გ. 3189

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68